

კახა გაბუნია  
ლალი ეზუგბაია  
ჭაბუკი ქირია

ენობრივი სიტუაცია  
თანამედროვე საქართველოში

ქართველური ენები

თბილისი

2010

2006 წლის 16 ოქტომბერის ხელი მოეწერა ფოლკსგაგენის ფონდის მიერ დაფინანსებულ პროექტს „სოციოლინგვისტური სიტუაცია თანამედროვე საქართველოში“ (პროექტის ავტორები - ი. გიაზრტი, მ. თანდაშვილი; განმარტველი - მაინის ფრანკფურტის უნივერსიტეტი); პროექტი საერთაშორისო და მის განხორციელებაში მონაწილეობას იღებდნენ რამდენიმე ქვეყნის (გერმანია, დიდი ბრიტანეთი, საქართველო) წამყვანი მეცნიერები. პროექტი მიზნად ისახავდა, უპირველეს ყოვლისა, ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის თანამედროვე სტატუსისა და ფუნქციონირების საკითხის სოციოლინგვისტური ასპექტის შესწავლის; მეორე მხრივ, საქართველოში მცხოვრები ეთნიკური ჯგუფების ენათა (სამეტყველო კოდების) სოციოლინგვისტურ ანალიზს. საკითხის კომპლექსურობიდან გამომდინარე აღნიშებდი პროექტი მულტიდისციპლინური ხასათისაა: პროექტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს საქართველოში ბოლო ასწლეულის მანძილზე მიმდინარე მიგრაციული პროცესებისა და თანმდევი ენობრივი ცვლილებების შესწავლა.

გარდა თეორიულ-სამეცნიერო შედეგებისა, პროექტი მიზნად ისახავდა ქართული დიალექტოლოგიური კორპუსის კომპარტერული ბანკის შექმნას, კოდების ცვლისა და ინტერფერენციების კვლევას, აგრეთვე ენობრივი რეკების ციფრული ვერსიების დამუშავებას.

პროექტი 6 ჯგუფისაგან არის დაკომპლექტებული და მის განხორციელებაში 12 სამეცნიერო დაწესებულების 42 მეცნიერი იღებდა მონაწილეობას.

წინამდებარე ნაშრომში ქართველურ ენათა ჯგუფის მიერ 2006-2008 წლებში განხორციელებული სამუშაოს წინასწარი შედეგებია თავმოყრილი.

## რედაქტორი:

ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი  
**მანანა თანდაშვილი**

## შესავალი

ქართული ენა სახელმწიფო ენაა საქართველოს მთელ  
ტერიტორიაზე (აფხაზეთში ქართულთან ერთად  
სახელმწიფო ენის სტატუსი მიცემული აქვს აფხაზურს);  
ქართულის გარდა, საქართველოში სხვა იძერიულ-  
კავკასიური, ინდოევროპული, თურქული და სემიტური  
ენებია გავრცელებული; აქედან გამომდინარე,  
მკვლევართა წინაშე დგება საქართველოს ტერიტორიაზე  
გავრცელებული ამ ენების სახელმწიფო ენასთან  
მიმართების ანალიზი სოციოლინგვისტური  
თვალსაზრისით.

საზოგადოდ, სოციოლინგვისტური კვლევა  
გულისხმობს არა საკუთრივ ენის, მისი შინაგანი  
სტრუქტურა-შედგენილობის ანალიზს, არამედ იმის  
აღწერას, თუ როგორ გამოიყენებენ ადამიანთა  
სოციალური ჯგუფები ამ ენას. ენის შინაგანი სტრუქტურა  
„აპრიორი“ მიიღება, როგორც არსებული მონაცემი და  
სპეციალურ ანალიზს არ კვეთდებარება;  
სოციოლინგვისტიკისთვის საინტერესოა ის, თუ  
სოციალური ცხოვრების რომელ სფეროებში გამოიყენება  
საკვლევი ენები; როგორია მათ შორის  
ურთიერთმიმართება სტატუსისა და ფუნქციონალური  
გადანაწილების თვალსაზრისით; რომელი ენა, ასე ვთქვათ,  
„მეთაურობს“, ანუ რომელია სახელმწიფო ენა, ანდა

სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს შორის ურთიერთობის ძირითადი (თუმცა არაოფიციალური) საშუალება; რომელი ენები იხმარება რელიგიური, საოჯახო თუ ყოფითი ურთიერთობის ენების ფუნქციით...

ამ საკითხებზე პასუხის გაცემა საკმაოდ რთულია და ამ მიმართულებით საქართველოში კვლევა-ძიება მხოლოდ უკანასკნელ ხანებში დაიწყო. ისიც უნდა ითქვას, რომ ამ პრობლემებისადმი მიძღვნილ არსებულ ნაშრომებში აქცენტი ძირითადად გადატანილია დიაქტონიულ სოციოლინგვისტიკაზე, რომელიც შეისწავლის ენის განვითარების პროცესს საზოგადოების განვითარებასთან მიმართებით. სხვადასხვა ობიექტურ თუ სუბიექტურ მიზეზთა გამო, სინკრონიული სოციოლინგვისტიკის განვითარების ხელშეწყობა, განსაკუთრებით საბჭოთა პერიოდში – არ ხდებოდა.

\* \* \*

ეთნიკური მრავალფეროვნების კვალდაკვალ, საქართველოს ლინგვისტური მრავალფეროვნებაც ახასიათებს.

ქართული ენა, მეგრულ-ლაზურ და სვანურ ენებთან ერთად, მიეკუთნება ქართველურ ენათა ჯგუფს. ინდოევროპული ენების სხვადასხვა ჯგუფს მიეკუთვნება საქართველოში არსებული ენები, კერძოდ, რუსული (სლავური ჯგუფი), სომხური, ბერძნული (ჯგუფები ინდოევროპულ ენათა ოჯახიდან), ოსური (ირანულ ენათა ჯგუფი) - ინდო-

ევროპულ ენათა ოჯახის წევრები არიან; აზერბაიჯანული მიეკუთვნება თურქულ ენობრივ ჯგუფს ალათაურ ენათა ოჯახში.

საგანგებოდ უნდა გამოვყოთ 4 რეგიონი, სადაც კომპაქტურად არიან განსახლებულნი უმცირესობათა წარმომადგენლები: **აფხაზები** (აფხაზეთი), **ოსები** (სამხრეთ ოსეთი), **აზერბაიჯანელები** (ქვემო ქართლი) და **სომები** (სამცხე-ჯავახეთი და ქვემო ქართლიდან – წალკის რაიონი).

1. **აფხაზები** საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში სახლობენ – მდ. ენგურიდან მდ. ფსოუმდე, შავი ზღვის გაყოლებაზე. 1989 წლის გამოკითხვის მიხედვით, მათი რიცხვი 100 000-მდე აღწევდა (მთლიანად საქართველოს ტერიტორიაზე, დისპერსიული განსახლების ადგილების ჩათვლით); დღეს მათი რიცხვი თითქმის განახევრებულია (საომარი მოქმედებებისა და მიგრაციული პროცესების შედეგად).

2. **ოსები** კომპაქტურად ცხოვრობენ შიდა ქართლში – ჩრდილოეთ ნაწილში, აგრეთვე რამდენიმე სოფელში სამხრეთ საქართველოსა და კახეთში. საკმაოდ დიდი ნაწილია დისპერსიულად განსახლებული საქართველოს მთელს ტერიტორიაზე. 1989 წლის აღწერის მიხედვით, მათი რაოდენობა 165 000-მდე აღწევდა. კონფლიქტების შედეგად, დღეს ოსურენოვანი მოსახლეობის რიცხვი უაღრესად შემცირებულია.

აფხაზებისა და ოსების საკითხი განსაკუთრებულია (არსებული პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით) და დღეს ამ რეგიონებში არსებულ ენობრივ მდგომარეობაზე საუბარი ძალიან როგორია: შესაბამისად, რეკომენდაციების შემუშავება კონფლიქტურ რეგიონებში ვითარების სტაბილიზაციამდე არ იქნება ეფექტური და შედეგის მომცემი; თუმცა, შესაძლებელია შეთავაზებათა გარკვეული პაკეტის შემუშავება ამ მიმართულებით.

\* \* \*

ბოლო აღწერის მიხედვით, საქართველოში უმცირესობათა ორი დიდი ჯგუფი გამოიყოფა, რომლებიც კომპაქტურად არიან განსახლებულნი საქართველოს ტერიტორიაზე და, ამასთან, რიცხოვნობით ბევრად სჭარბობენ სხვა ეთნიკურ ჯგუფებს:

3. **აზერბაიჯანელები** ძირითადად ქვემო ქართლსა (საქართველოს სამხრეთ ნაწილი) და შიდა ქართლში სახლობენ. აზერბაიჯანულებინან მოსახლეობა რომელიც ცხოვრობს შიდა ქართლსა და ქვემო ქართლში, მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისგან. თუნდაც ის ფაქტია მნიშვნელოვანი, რომ შიდა ქართლისა და ქვემო ქართლის აზერბაიჯანელი ეთნიკური ჯგუფი ზოგად განათლებას იღებს განსხვავებულ ენებზე (შიდა ქართლში – ქართულად, ქვემო ქართლში – აზერბაიჯანულად).

4. **სომხები** ძირითადად სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლის რეგიონიდან წალკის რაიონში არიან კომპაქტურად განსახლებულნი (საქართველოს სამხრეთა დამოსავლეთი ნაწილი). უმცირესობათა შორის ისინი II ადგილზე არიან აზერბაიჯანლების შემდეგ.

აღსანიშნავია, რომ ამ ეთნიკური ჯგუფების კომპაქტური განსახლებები ესაზღვრება მათ ეთნიკურ სამშობლოს. მაგალითად, ქვემო ქართლის რეგიონი, სადაც კომპაქტურად სახლობენ ეთნიკურად აზერბაიჯანელები, ესაზღვრება სახელმწიფო აზერბაიჯანს, ხოლო სამცხე-ჯავახეთი, სადაც კომპაქტურად სახლობენ ეთნიკურად სომხები – ესაზღვრება სახელმწიფო სომხეთს. ვფიქრობთ, ამ ორი ენის სტატუსი (მათი რიცხოვნობისა და განსახლების თავისებურებათა გათვალისწინებით) განსხვავებულ მიღვომას მოითხოვს.

\* \* \*

კომპაქტური განსახლების გარდა, საქართველოში გვხვდება ისეთი ეთნიკური ჯგუფების დისპერსიული განსახლებები, როგორებიცაა რუსები, ბერძნები, უკრაინელები, პოლონელები, ქურთები, იეზიდები, ებრაელები, ასირიელები, აგრეთვე ჩრდილო-კავკასიურ ენათა წარმომადგენლები: ქისტები, ჩეჩენები, ლეპები, უდიები, ყაბარდოელები, ჩერქეზები და სხვა.

\* \* \*

განსაკუთრებით სპეციფიკურ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე ზანურ-სვანურ-ქართული სოციოლინგვისტური ურთიერთმიმართებების თვალსაზრისით; ტრადიციულად, ქართველურ ენგბში აერთიანებენ საკუთრივ ქართულს, მეგრულ-ლაზურს (მათ საერთო სახელწოდებად გამოიყენება ზანური, აგრეთვე კოლხური); მკვლევართა ერთი ნაწილი ლაზურს (უწოდებენ აგრეთვე ჭანურს) ცალკე ენად განიხილავს.

ზანურის მეგრულ დიალექტზე მოლაპარაკე ჯგუფი მთლიანად საქართველოს ტერიტორიაზეა განსახლებული. ისინი კომპაქტურად ცხოვრობენ დასავლეთ საქართველოში, კოლხეთის დაბლობსა და ოდიშის ზეგანზე, ისტორიულ სამეგრელოსა და სამურზაყანოში, მდინარეებს – ცხენისწყალსა და დალიძგას შორის. ისტორიული სამურზაყანო (გალისა და ოჩამჩირის რაიონები) ამჟამად აფხაზეთის ტერიტორიაზეა მოქცეული, რაც სოციოლინგვისტური თვალსაზრისით სპეციფიკურ სიტუაციას ქმნის.

ლაზებით კომპაქტურად დასახლებული მხოლოდ ერთი სოფელია (სარფი) საქართველოს ტერიტორიაზე, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში. ლაზების ძირითადი ნაწილი განსახლებულია თურქეთის ტერიტორიაზე, შავი ზღვისპირა ზოლში, თითქმის ქალაქ რიზემდე.

სვანები კომპაქტურად სახლობენ დასავლეთ საქართველოს ჩრდილოეთ ნაწილში, კავკასიონის ქედის

სამხრეთ კალთაზე, მდინარეების – ენგურისა და რიონის ზემო წელზე დასავლეთით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე, სოლივითად შექრილი სვანებით დასახლებული კოდორის ხეობა (ე. წ. დალ-სვანეთი). აღმოსავლეთით სვანეთს რაჭა ესაზღვრება, სამხრეთით – სამეგრელო და ლეჩეუმი.

სვანების, მეგრელებისა და ლაზების რაოდენობის შესახებ ზუსტი სტატისტიკური მონაცემების მოპოვება ამჟამად შეუძლებელია: ჯერ ერთი, დღემდე ჩატარებული არც ერთი სახელმწიფო აღწერა არ ითვალისწინებდა შიდაქართველურ ენობრივ დიფერენციაციას; გარდა ამისა, ქართულ-აფხაზური კონფლიქტისა და ურბანიზაციის შეუქცევადი პროცესის მოქმედებით, სრულიად შეიცვალა ამ ეთნიკურ ჯგუფთა განსახლების სურათი. მარტო ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დროს 300 000-მდე ქართველი იძულებით ადგილმონაცვლე პირის სტატუსით იცვლის საცხოვრებელ ადგილს, რომელთაგან უმეტესობა ზანურენოვანია. მათი განსახლება მოხდა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

\* \* \*

საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა 1991 წელს საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ. პალდატანებითი მიგრაციის კომუნისტურმა პოლიტიკამ საბჭოთა კავშირის ნგრევის შემდეგ გამოიწვია არაერთი ეთნიკური პრობლემა ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში. საბჭოთა კავშირის დროს მოსახლეობას და ეთნიკურ ჯგუფებს შორის

საკომუნიკაციო ენას წარმოადგენდა რუსული ენა. საბჭოთა საგანმანათლებლო და ენობრივი პოლიტიკის შედეგად საქართველოში მცხოვრები ეთნიკური ჯგუფები - რუსები, სომხები, აზერბაიჯანელები, აფხაზები, ოსები, ბერძნები, ქურთები და სხვები გახდნენ რუსული პოლიტიკური და ენობრივი საზოგადოების ნაწილი. საბჭოთა კავშირის ნგრევამ და საქართველოს დამოუკიდებლობამ აუცილებელი გახდა ეთნიკურ უმცირესობებთან მიმართებით გატარებულიყო შესაბამისი პოლიტიკა, რამეთუ პოლიტიკური რეალობა იყო აბსოლუტურად განსხვავებული. მნიშვნელოვანი იყო, ერთი მხრივ, სახელმწიფო ენის სტატუსის გაძლიერება და, მეორე მხრივ, უმცირესობათა ენების განვითარების ხელშეწყობა. საბჭოთა კავშირის ნგრევის შემდეგ საქართველოში ორი ეთნიკური კონფლიქტი გადვიდა. რა თქმა უნდა, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტებს პქონდათ პოლიტიკური სარჩული, თუმცა ეთნიკურმა დაპირისპირებამ მისცა უფრო მკვეთრი სახე ამ კონფლიქტებს. ამასთანავე, ენობრივი საკითხები იყო ერთ-ერთი გადამწყვეტი ეთნიკური დაპირისპირების გადვივებისას და ზოგიერთი ექსპერტი ამ კონფლიქტებს „ენობრივი ომების“ კლასიფიკაციასაც აძლევს. სწორი ენობრივი პოლიტიკა საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მნიშვნელოვანი გარანტია იქნება ამ კონფლიქტების მოსაგვარებლად.

# 1. მნობრივი ანალიზის საპუთივი ლინგვისტური და სოციოლინგვისტური ასახელები

1. 1. სოციოლინგვისტიკა ენათმეცნიერების ერთ-ერთი წამყვანი დარგია; ენათმეცნიერების ამ დარგის ძირითადი მიზანი, ამოსავალი დებულებანი და კვლევის მეთოდები სოციოლოგიასთან პოულობენ შემხებ წერტილებს.

ენას, ისევე, როგორც ნებისმიერ მოვლენას, ორგვარი რაობა მოქმედება, ორი ასპექტით განიხილება: ერთია მისი შინაგანი, **იმანენტური** რაობა, შეპირობებული მისი ფორმობრივი და სემანტიკური სისტემებითა და სტრუქტურებით; ამ სტრუქტურათა მათსავე დინამიკაში გამოვლენა, მათ შორის მიზეზ-შედეგობრივ ურთიერთდამოკიდებულებათა გარკვევა, მათი ცვლილებებისა და განვითარების კანონზომიერებათა დადგენა არის ენათმეცნიერების, კერძოდ კი, **საკუთრივ ლინგვისტიკის** ძირითადი ამოცანა.

მეორეა ენის დანიშნულებითი, **პრაგმატული** მხარე. ენის ამ დანიშნულებითი ასპექტის განსაზღვრა, ენის გამოყენებითი ფუნქციის შესწავლა, ენის საზოგადოებრივი დირებულების გარკვევა, ენის სოციალურ, საზოგადოებრივ პროცესებთან მიმართების, მასზე ამ პროცესების ზეგავლენისა და მის მიერ ამ პროცესების ასახვის კვლევა, ანუ, ზოგადად, ენის ჩამოყალიბების, არსებობისა და განვითარების სოციალური შეპირობებულობის შესწავლა აქვს მიზნად **სოციოლინგვისტიკას** (ბ. ჯორბენაძე, 1989, გვ. 197).

ჯერ კიდევ XIX საუგუნის ლინგვისტები ამტკიცებდნენ, რომ შესაძლებელია ენის განვითარების ტენდენციის გონივრული წარმართვა. ენა საჭიროებს გონივრულ ჩარევას. მისი დახვეწისათვის აუცილებელია მართებული ენობრივი პოლიტიკის გამომუშავება. ენათმეცნიერება არა მხოლოდ ენაში არსებულ კანონებს უნდა იკვლევდეს, არამედ აღმოჩენილ კანონთა საფუძველზე წარმართავდეს კი-დეც ენის შემდგომი განვითარების გეზს.

თანამედროვე სოციოლინგვისტიკის პოზიტიური მონაკოვრები შესაძლებლობას იძლევიან, წარმატებით გადაწყდეს ეს რთული და მნიშვნელოვანი ამოცანა.

ტერმინი „ენობრივი სიტუაცია“ აღნიშნავს ენის გამოყენების საერთო კონფიგურაციას მოცემულ დროსა და მოცემულ ადგილზე და მოიცავს ისეთ მონაცემებს, როგორებიცაა: რამდენი ენა და რომელი ენები (დიალექტები) გამოიყენება მოცემულ არეალში, რამდენი ადამიანი ლაპარაკობს მათზე, რა ვითარებაში, რა განწყობები და დამოკიდებულებები აქვთ მოცემული საზოგადოების წევრებს ამ ენების მიმართ” (ჯ. ფერგიუსონი, 1971, გვ. 157).

**ენობრივი პოლიტიკა** ოფიციალური ქმედებაა, რომელიც ცდილობს, ჩაერიოს ნებისმიერი ტიპის ენის (სახელმწიფო, რეგიონული, უმცირესობათა, უცხო და მისთ.) ფუნქციონირების სფეროში (მაგალითად, წერის სისტემა, ოფიციალური ენის არჩევა) ან განათლებაში ამ

ენების ადგილის საკითხებში. მოქალაქეებმა ან მოქალაქეთა ჯგუფებმა, შესაძლებელია, ნებაყოფლობით გაატარონ ენობრივი პოლიტიკა სახელმწიფო დონეზე ან კერძო სექტორში. ენებზე ზემოქმედებას ადგილი აქვს კონკრეტული სოციალური სიტუაციების ან მოვლენათა კონტექსტში, რომელსაც ის მიეკუთვნება. თუმცა ასეთი ენობრივი პოლიტიკა ეყრდნობა გარკვეულ პრინციპებს (ეკონომიკა და ეფექტურობა, ეროვნული იდენტურობა, დემოკრატია და ა. შ.), რაც მათ ისეთ მნიშვნელობას ანიჭებს, რომელიც არსებულ პირობებს სცილდება.

ენობრივი პოლიტიკა რიგი კომპონენტებით შემოიფარგლება (ერის კონცეფცია, განათლების მიზანი და მისთ.), მოქმედი პირებისაგან (პოლიტიკოსები, აქტივისტები, პროფკავშირის წევრები და მისთ.) და ჩარევის დონისაგან (საკანონმდებლო, მარეგულირებელი და მისთ.). ენისა და ენის სწავლების საკითხების პოლიტიკური ბუნების აღიარება არის ამ სფეროში ნებისმიერი ქმედების წინაპირობა, რადგანაც ტექნიკური სირთულეები (სტრუქტურული, ადმინისტრაციული, ფინანსური და მისთ.), რომლებიც მთავრობებმა ინდივიდუალურად ან ერთობლივი მოქმედებით უნდა დაძლიონ, ვერ გადაიღახება, სანამ საკითხები ამ პრინციპებთან დაკავშირებით არ დაზუსტდება.

ენობრივი საკითხების პოლიტიკური ბუნების გაგებისადმი ზერელე მიდგომა ცვალებად ხასიათს ატარებს

სხვადასხვა ქვეყანაში და ყურადღებას იმიტომ ამახვილებენ, რომ, მიუხედავად საუკუნეების განმავლობაში მისი არსებობისა, შეგნებული ჩარევა ენებთან დაკავშირებით მხოლოდ ბოლო დროს დამკვიდრდა პოლიტიკისა და სოციოლინგვისტიკის სფეროში. ფაქტია, რომ სოციოლინგვისტიკა ცოდნას აღრმავებს, რომლის გათვალისწინებაც აუცილებელია გადაწყვეტილების მიმღებისთვის.

ზოგიერთი ეგროპული პოლიტიკური ფილოსოფია გვთავაზობს თეორიას, რომლის მიხედვითაც **სახელმწიფო, ეროვნება** და **ენა** ერთმანეთთან მჯიდროდაა დაკავშირებული: **სახელმწიფო ენა** არის ეროვნულობის სიმბოლო და კომპონენტი და, ამასთანავე, მოქალაქეობის განმსაზღვრელი ფაქტორი. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ ის მკაფიოდ განისაზღვროს და გამოიყოს სხვა ენობრივი **სახესხვაობებისაგან** (ამ ტერმინთა შესახებ იხ. ქვემოთ), რომლებიც გამოიყენება მოცემულ გეოგრაფიულ ტერიტორიაზე. ევროპის ისტორიის განმავლობაში თანდათანობით შეიქმნა **ეროვნული ენების** განსაზღვრისა და მათი სტაბილურობის უზრუნველყოფის ინსტრუმენტები (ლექსიკონები, გრამატიკა, აკადემიები და ა. შ.). ამ ენობრივ ორგანოებს გააჩნიათ ოფიციალური და/ან აკადემიური თუ კულტურული უფლებამოსილება და ავრცელებენ ენობრივ ნორმებს სხვა ინსტიტუტებისათვის, როგორიცაა, უპირველეს ყოვლისა, განათლების სისტემა. სახელმწიფო

გამონაკლისის სახით ამ სტანდარტული ენობრივი სახესხვაობის (სახესხვაობების) კანონიერებას მხოლოდ მისი (მათი) გამოყენების მეშვეობით აძლიერებს, რასაც მოქალაქეებთან და განათლების სფეროში ურთიერთობისათვის ნერგავს (ენობრივი განათლების პოლიტიკის განვითარება ევროპაში - სახელმძღვანელო პრინციპები, 2008, გვ. 21).

ყველაზე უფრო ფართოდ გავრცელებული იდეოლოგია დაიბადა მარტივი გრძნობიდან, რასაც არანაირი განსაკუთრებული საფუძველი არ გააჩნია – ენები ერთნაირები არ არიან. ეს იდეოლოგია გვასწავლის, რომ ენები არსობრივად არათანაბარია მათი ლირებულების თვალსაზრისით. ეს არათანაბარი მდგომარეობა თავისი წარმოშობით ეთნოცენტრულია, რაც აუცილებელს ხდის სხვების მიერ ნალაპარაკევი ენის გაკრიტიკებას ამა თუ იმ კონკრეტული ენისა და ჯგუფის უპირატესობის გასამყარებლად. სხვა ენები წარმოდგენილია არასასიამოვნო, რუდიმენტულ ან ძირებული არასათანადოდ დახვეწილი გამოყენებისათვის, მაგალითად, ლიტერატურული ან მეცნიერული გამონათქვამებისთვის.

ტერმინი „ენებისადმი დამოკიდებულება“ მრავალ-ასპექტიანია. ის მოიცავს კოგნიტურ (ენების მიმართ ჩამოყალიბებული დამოკიდებულება), ემოციურ (გრძნობა ენების მიმართ), ან ქცევით (გარკვეული ენობრივი ქცევის მიმართ მიღებები) კომპონენტებს. ამგვარად, ენებისადმი

დამოკიდებულება ვლინდება ისეთ სფეროებში, როგორიცაა  
**შეფასება** (რამდენად კეთილგანწყობით აღიქმება ესა თუ ის  
ენა), **ენობრივი უპირატესობა** (მაგ. რომელ ენას ეძლევა  
უპირატესობა ამა თუ იმ მიზნის მისაღწევად ან რაიმე  
გარკვეულ სიტუაციაში), **არჩევის მიზანშეწონილობა** და ამა  
თუ იმ ენის შესწავლის საფუძველი, იმ სოციალური ჯგუ-  
ფების შეფასება, რომლებიც იყენებენ ერთ, ან რამდენიმე  
ენას, ბილინგვიზმის, ან ბილინგვური განათლების აუცილე-  
ბლობა, აგრეთვე თვალსაზრისები ენების ცვლის ან არსე-  
ბული ენობრივი პოლიტიკის მიმართ.

არ არის აუცილებელი, რომ ურთიერთობათა ყველა  
მოდელს გარკვეულ სიტუაციაში ჰქონდეს ცალსახა ხასია-  
თი. სინამდვილეში, ენობრივი უმცირესობების წარმომად-  
გენდები, როგორც წესი, აფასებენ რა თავიანთ ენას, რო-  
გორც ეთნიკური თვითიდენტიფიკაციის ინდიკატორს, ამავე  
დროს ავლენენ ნებატიურ შეხედულებებს მისი პრაქტიკული  
გამოყენებისა და **სოციალური პრესტიჟის** მიმართ.

ხშირად ზოგიერთი ენა ითვლება უფრო **პრესტიჟულად**  
და აქეს უფრო მაღალი **სტატუსი**. ამავე დროს, უნდა გვახ-  
სოვდეს, რომ ყველა დროში ენა გვევლინება გარკვეული  
სოციალური ჯგუფის მახასიათებლად. ენის პრესტიჟი, რო-  
გორც ამას პრაქტიკა გვიჩვენებს, დაკავშირებულია არა  
თვით ენასთან (როგორც ლინგვისტიკის კვლევის ობიექტ-  
თან), არამედ სოციალურ კლასთან და მასზე მოლაპარაკე-  
თა **სტატუსთან**.

უმრავლესობის ნეგატიური დამოკიდებულება უმცირესობათა ენების მიმართ ხშირად ასახავს მათს დამოკიდებულებას ამ ენაზე მოლაპარაკეთა და არა მათი ენის მიმართ. ასეთ შეხედულებებს მივყავართ ენის სოციალურ შეფასებამდე (რომელიც ეყრდნობა სოციალურ სტრატეგიებს) და არა ზოგადად ენის შეფასებამდე.

მიუხედავად ამისა, ენა თამაშობს საკვანძო როლს ამათუ იმ სოციალური ან რეგიონულ-ეთნიკური ერთობის კუთვნილების განსაზღვრაში. **მშობლიური ენის** ღირებულების გრძნობა არის ფუნდამენტური შემადგენელი იმ ადგილის გააზრებისა, რომელიც ადამიანს უკავია საზოგადოებაში. რადგანაც ენები წარმოადგენს ჯგუფური კუთვნილების თვალსაჩინო ნიშანს, ისინი შეიძლება ადვილად გადაიქცენ ამ ჯგუფის სიმბოლოდ. ენა შეიძლება იყოს ინდივიდისა ან ჯგუფისთვის ის ფასეული რესურსი, რომელსაც სჭირდება გაფრთხილება და შენახვა, რაც თავის ასახვას ჰპოვებს ამ ენის მიმართ დამოკიდებულებაში (პ. რიაგენი, ჯ. ლუდი, 2008, გვ. 29).

სწორედ ამიტომაც იყენებენ უკანასკნელ ხანებში ტერმინს **ენობრივი სახესხვაობა**, რათა თავიდან აიცილონ სიტყვა ენა, რომელიც უკვე გულისხმობს ღირებულებებით მსჯელობას. ყველა ენობრივი სახესხვაობა შესაძლოა იმ ფუნქციების შესასრულებლად აღიჭურვოს, რომელთა განხორციელებაც მათ ადრე არ მოეთხოვებოდათ.

**ენობრივი სახესხვაობა** ეს არის ტერმინი, რომელიც ნეიტრალური, მახასიათებელი ტერმინია; მისი დანიშნულება ის არის, რომ თავიდან ავიცილოთ ტერმინ **ენის** ხმარება, ამასთანავე, თავიდან ავიცილოთ ფასეულობითი განსჯა (ენა = რეალურ ენას). ენობრივი სახესხვაობის ნებისმიერი განსაზღვრება, როგორც შემადგენელი ან არაშემადგენელი რეალური ენისა, ეფუძნება გარე ფაქტორებს და არა სახესხვაობის რეალურ (ლინგვისტურ) მახასიათებლებს. ენობრივი სახესხვაობის სახელდება მოიცავს სოციალურ ფსონებს ინდივიდუალური თუ ჯგუფური მოლაპარაკებისთვის.

საკუთრივ ლინგვისტური თვალთახედვით, ნებისმიერი ენობრივი სახესხვაობა, მიუხედავად მისი სოციალური სტატუსისა, **ნიშანთა სისტემაა** (ფ. დე სოსიური), რომელიც გამოიყენება ადამიანთა ჯგუფის მიერ ურთიერთობის საფუძვლად, როცა ყველა ენა კაცობრიობის დამახასიათებელი ლინგვისტური შესაძლებლობების გამოხატულებაა. თუმცა კონკრეტულ საზოგადოებაში ენებს სხვადასხვა ლირებულებებს მიაკუთვნებენ. ასეთი მსჯელობა, როგორც ჩანს, ეფუძნება, თავის მხრივ, ენების ბუნებას, მაგრამ, ფაქტობრივად, საზოგადოებაში მათი ფუნქციონირების სფეროებიდან ან იმ ხალხის სტატუსიდან გამომდინარეობს, რომლებიც ამ ენაზე მეტყველებენ. ერთი ენობრივი სახესხვაობის ლეგიტიმაცია მეორესთან შედარებით მოცემულ ადგილას დამოკიდებულია გარე

ფაქტორებზე, რაც ნათლად დადგინდა სოციოლინგვისტური პლევებით:

- ურთიერთობის ენის გამოყენება დომინანტური სოციალური ჯგუფების (სამხედრო, ეკონომიკური, კულტურული, რელიგიური, მეცნიერული, სიმბოლური ან ელიტარული) ან ცენტრალური მთავრობის მიერ;
- სტანდარტიზაცია წერილობითი ფორმით, გრამატიკით, ლექსიკონებითა და მისთ;
- ენობრივი სახესხვაობის ისტორიული დაკანონება, რომელიც ამა თუ იმ ტერიტორიის კულტურულ ჯგუფს განეკუთვნება და მათი თუნდაც მცირე ნაწილის იდენტურობის გამოვლენის აღიარებაა;
- კულტურული ლეგიტიმაცია, რაც მიღწეულია ლიტერატურული, ხელოვნების, სამეცნიერო, ფილოსოფიური, რელიგიური და სხვა ნაშრომებით;
- შესასწავლი ენის სტატუსი და მისი როლი - როგორც სწავლების ენა, რომელზეც საკოლო და საუნივერსიტეტო საგნები ისწავლება.

1. 2. სხვა ენებისა და მათზე მოლაპარაკეთა შესახებ საკმაოდ საზიანო მოსაზრებები შეიძლება წამოიწიოს ენების კლასიფიცირებისას, მათი დახასიათებით (ენებს აღიქვამენ, როგორც მეტ-ნაკლებად გასაგებს, მარტივს, როგორც მდიდარ, ლამაზ ენებს და მისთ.) ან მათი გამოყენებისას გარკვეული მითითებით ეროვნული ენების

„აქცენტით“ ლაპარაკზე „დაბალ ფენაში“ ან „გულგარულად“, „არასწორად“ და მისთ. მაგალითად, ზოგიერთი ემიგრანტი ბავშვი ამბობს, რომ მას შეუძლია მხოლოდ ერთ ენობრივ სახესხვაობაზე ლაპარაკი – მაგალითად, მასპინძელი ქვეყნის სახელმწიფო ენაზე,; ეს იმიტომ, რომ მათ განიცადეს მძლავრი ზეწოლა, რომლის მიხედვითაც მათი მშობლების ენა არ ითვლება „ნამდვილ“ ენად იქ, სადაც ისინი ახლა ცხოვრობენ.

ენის აღმნიშვნელი სიტყვები, თავის მხრივ, მათს აღიარებაზე მომუშავე ჯგუფის უმთავრესი საკითხია: კონკრეტულ რეგიონულ დიალექტს სურს მიიღოს აღიარება, როგორც სრულყოფილ ენას, რომელსაც აქვს ლეგიტიმაციის უფლება. ეს ენობრივი იდეოლოგია მედიასა და პოლიტიკურ მსჯელობებში ისევ საქმაოდ ცოცხალია, თუმცა, ისეთ ფორმებში, რომლებიც ნაკლებად სახიფათოა, ვიდრე წინათ იყო. აშკარაა, რომ ამან შესაძლოა მიგვიყვანოს ენობრივ შეუწყნარებლობამდე (ენობრივი განათლების პოლიტიკის განვითარება ევროპაში - სახელმძღვანელო პრინციპები30).

თუ ისევ ინდივიდუალური მომხმარებლის თვალთახედვით იქნება გამოკვლეული, ენობრივ სახესხვაობათა ფუნქციების კლასიფიცირება შეიძლება მოხდეს მათი მნიშვნელობის ან გამოყენების სფეროების მიხედვით.

ტერმინი ჩვეულებრივი (ან ძირითადი) ენა გამოყენებული იქნება ყველა ან ყველაზე მნიშვნელოვან კომუნიკაციურ სიტუაციებში ენებთან მიმართებით

(სამსახურის, საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ა. შ.) და ეს იქნება შედარებული იმ სახესხვაობებთან, რომლებიც გამოიყენება ცალკეულ შემთხვევებში ან ერთ კონკრეტულ სფეროში (მაგალითად, **ოჯახის ენა**). ტერმინი **დომინანტი ენა** გამოყენებული იქნება ამ მნიშვნელობით, რათა მივმართოთ ენობრივ სახესხვაობებს, რომლებშიც მეტყველი ყველაზე კომპეტენტურია; მაგალითად, კომუნიკაციის ზოგად ან ცალკეულ სახეობებში. თუმცა ეს ტერმინი განეკუთვნება ენობრივი სახესხვაობის განსაბუთრებულ სოციალურ სტატუსებს (ენობრივი განათლების პოლიტიკის განვითარება უკროპაში - სახელმძღვანელო პრინციპები, გვ. 62); საქართველოში საბჭოური გადმონაშთის სახით არსებული სპეციფიკის გათვალისწინებით, ზოგიერთ რეგიონში (მაგ. ქვემო ქართლში, ჯავახეთში) საჭიროდ მიგვაჩნია ტერმინ **ჰიპერდომინანტურის** გამოყენება (სამწუხაროდ, რუსული ენა ჯერ კიდევ ამ სტატუსით სარგებლობს).

1. 3. ენათა ნომენკლატურა აკადემიური და პოლიტიკური დებატების საგანია (მათ შორის, როგორც ზემოთ ითქვა - თვით სიტყვა „ენაც“). სასურველია გადაიდგას ნაბიჯები ტერმინოლოგიის ჩამოყალიბებისთვის, სულ მცირე, ენათა ტიპების განსაზღვრისთვის (**გშობლიური ენა, უცხო, მეორე ენა** და სხვ. თუმცა, ყველა ამ

კატეგორიის ობიექტური განსაზღვრა შეუძლებელია. მაგალითად, პიროვნების ენა (language of identity) (აგრეთვე ცნობილი, როგორც ენობრივი ენაობა (linguistic identity), შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც მემკვიდრული ენა (heritage language); მაგრამ ეს უფრო ვიწრო ტერმინია და მხოლოდ **იმიგრანტთა ჯგუფებისთვისაა** არსებითი. წინამდებარე კვლევის ერთ-ერთი მიზანი სწორედ ამ კონცეფციის განმარტებაა. ამ მიზნით, გადავწყვიტეთ აღგვეწერა არა მხოლოდ ენათა როლი პიროვნების ფორმირებაში, არამედ ის, თუ საერთო სოციალურ-კულტურული ფონის პირობებში ენობრივი მახასიათებლების მიხედვით როგორ ახასიათებენ ადამიანები საკუთარ თავს (თვითპატეგორიზაცია) ან როგორ ახასიათებენ მათ სხვები (ჰეტეროკატეგორიზაცია) (ქ. ბეჭო, 2008, გვ. 8)

იმისათვის, რომ ენების გამოყენება დავახასიათოთ, შესაძლებელი უნდა იყოს ვისაუბროთ საერთო კატეგორიზაციაზე, რომელიც შეძლებისდაგვარად ობიექტურადაა დაწესებული. ჩვენ ვიცით, რომ, თავის მხრივ, უკვე ენათა სახელდება იდეოლოგიური არჩევანია: „ენებად“ სახელდებას და შესაბამის განსაზღვრებებს ინდივიდებისა და ჯგუფებისათვის სოციალური და პოლიტიკური ულფერი ეძლევა. აქედან გამომდინარე, ეს არ არის ბუნებრივი არჩევანი ტერმინებს შორის **დიალექტი** და ენა, რეგიონული ენები და მეცნიერი ენები, არც ტერმინები მშობლიური ენა, დედაენა და ეროვნული ენა არიან ურთიერთშემცვლელნი (ენობრივი განათლების პოლიტიკის

განვითარება ეკოლოგიური - სახელმძღვანელო პრინციპები, 2008, გვ. 59).

## 2. მშობლიური ენა, დედაენა, ეროვნული ენა

**პირველი ენა** არის აკადემიური ტერმინი, რომელიც გამოიყენება ზოგადად **მშობლიური ენის** აღსანიშნად. ეს

არის ენობრივი სახესხვაობა (სახესხვაობები), რომელიც შეძენილია ადრეულ ბავშვობაში, ორი-სამი წლის ასაკამდე. ამ სახესხვაობას განსაკუთრებული სტატუსი აქვს ბავშვისათვის, რამდენადაც ბავშვი თავისით აღმოაჩენს სამყაროს აღრეული სოციალიზაციის პერიოდში: ლინგვისტური ურთიერთობა სხვა მოლაპარაკებთან აუცილებელია ნორმალური განვითარებისათვის. ბავშვი ლინგვისტური „წესების“ გაცნობიერებასა და შეთვისებას იწყებს მის უშუალო გარემოში და, ამავე დროს, იძენს კომუნიკაციური ქცევის წესებს (მაგალითად, ვის, როგორ და როდის უნდა მიესალმოს?). ეს არის სახესხვაობა, რომელშიც ადამიანის ენობრივი ნიჭი პირველად გამოვლინდება ბუნებრივ ენაზე. პირველი ენა არ არის ყოველთვის მშობლის ენა (მშობლიური ენა).

**მშობლიური ენა** ყოველდღიურად გამოსაყენებელი ტერმინია, რომელსაც, ამის მიუხედავად, აქვს **ემოციური ქვეტექსტი.** უფრო მეტიც, ის ყოველთვის კორექტული არ არის, რადგან ბავშვები პირველ ენას შეიძენ არა მხოლოდ მათი დედებისაგან, არამედ მათ შეუძლიათ შეიძინონ რამდენიმე ენა (ორი ან მეტი) ერთდროულად მრავალენოვან ოჯახურ გარემოში; **მკვიდრი ენა** და **შთამომავლობის ენა** ასევე, ხშირად გამოიყენება ამ მნიშვნელობით, მაგრამ მათ მსგავსი ასოციაციები აქვთ ჯგუფთან, რომელსაც მიიჩნევენ, რომ მიეკუთვნებიან. **მკვიდრი ენა** (ან **ენდემური ენა**): ენის სახესხვაობა,

რომელიც გამოიყენება გეოგრაფიულ ტერიტორიაზე, რომელიც ითვლება რომ არის ისტორიული გამოყენების შედეგი, ახლად ჩამოსული ემიგრანტების ენის საპირისპიროდ. ეს უკანასკნელი სახესხვაობები შესაძლებელია არ ეკუთვნოდნენ იგივე ენობრივ ოჯახებს, როგორიცაა რეგიონული და/ან ოფიციალური სახესხვაობები შესაბამის ტერიტორიაზე.

ენობრივი სახესხვაობისთვის, რომლითაც შესაძლოა განისაზღვროს ამა თუ იმ წევრის მიკუთვნება ჯგუფისადმი, აუცილებელი სულაც არაა პირველი ენის პოვნიერება, არამედ, შესაძლოა, ეს იყოს მოგვიანებით შეძენილი სახესხვაობა (ცნობილი ქართველი მწერლის – დავით კლდიაშვილის მაგალითი, რომელმაც მშობლიური – ქართული ენა ზრდასრულ ასაკში შეისწავლა) (ენობრივი განათლების პოლიტიკის განვითარება ეპროპაში – სახელმძღვანელო პრინციპები).

საინტერესო მიმართებაა ქართულ სინამდვილეში ტერმინებს „მშობლიური ენასა“ და „დედაენას“ შორის.

ევროპულ ენათმეცნიერებაში მშობლიური ენის აღსანიშნავად მეტწილად გამოიყენება დედის სემანტიკის მომცველი შესიტყვებანი (ინგ. *Mother tongue*, გერმ. *Muttersprache*, შვედ. *Modersmål*, ფრანგ. *La langue maternelle*, ესპ. *La lengua materna*, ქართ. დედაენა და ა. შ.); ამავე მნიშვნელობით (პრაქტიკულად, როგორც სინონიმს) განიხილავენ ტერმინს მშობლიური ენა (ინგ. *Native*

*language, რუს. родной язык, ქართ. მშობლიური ენა);* აღსანიშნავია, რომ ომის შემდგომ გერმანიაში გაიმართა სერიოზული დისკუსიაც კი, სადაც განიხილებოდა ისტორიული „დედაენის“ უფრო „ადეკვატური“, ნათარგმნი „მშობლიური ენით“ (ან – ბაზისური ენით) ჩანაცვლების თაობაზე. გერმანიაში სრულიად განსხვავებული იყო მოტივი – ნაციონალიზმი დადანაშაულება (გ. რამიშვილი, 2000, 70); ამ მხრივ განსაკუთრებული სიტუაციაა ქართულ სინამდვილეში.

დედაენა განისაზღვრება, როგორც ლეგიძლი ენა, რომელიც პიროვნების იდენტობის განმსაზღვრელია, მიუხედავად იმისა ბავშვობიდან აითვისა იგი თუ არა. როგორც ზემოთ ითქვა, უკროპულ ენებშიც მოიპოვება შინაარსითა და ფორმით მსგავსი ლექსემა, მაგრამ, ისტორიული სინამდვილიდან გამომდინარე, ისინი უფრო კნინობითი კლფერის მატარებლები არიან და ტრადიციულად ქალების, ბავშვებისა და საზოგადოების სხვა, წერა-კითხვის უცოდინარი წევრების მეტყველებაზე მიუთითებს; ქართულში კი იგი მთავარ ენას აღნიშნავს (გ. რამიშვილი, 2000, გვ. 9; ზ. კიკვიძე, 2004, გვ. 206-212. 6. დენისონი, 1986, დ. პატანაიაკი, 2003, გვ. 23-28).

დედაენის განმარტებისას ხაზი ესმევა ტერმინის სოციოლოგიურ დანიშნულებას: „დედაენა მთავარ ენას ნიშნავს და არა ვისიმე ენას (სოციოლოგიის ობიექტია და არა ინდივიდუალური ფსიქოლოგიისა)“ - იხ. გ. რამიშვილი,

2000, გვ. 9); დედაენა არის წინაპრების მიერ შექმნილი კულტურის ენა, რომელიც, როგორც სამყაროს ხედვა-აღქმის სისტემა, მრავალ თაობას აერთიანებს. დედაენა მთავარი ენაა და არა მაინცდამაინც ბიოლოგიური მშობლის ენა (ტ. ფუტკარაძე, 2005, 324).

როგორც ჩანს, არის მცდელობა, ტერმინ „დედაენას“ განსაკუთრებული ფუნქციები დაეკისროს (ისეთი, რაც, მაგალითად, არ აქვს ინგლისურ *Mother tongue*-ს) და ამას აქვს გარკვეული ობიექტური წანამდლვარიც: აღსანიშნავია ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი – XIX საუკუნის ბოლოს სწორედ ამ სახელწოდებით (**დედა ენა**) დაიბეჭდა ი. გოგებაშვილის მიერ შედგენილი სახელმძღვანელო, რომლითაც მთელი ქართველი ერი იწყებდა მშობლიური ენის შესწავლას და შემთხვევითი არ არის ქართველ მეცნიერთა შორის გავრცელებული მოსაზრება, რომ „სამწიგნობრო ქართული (იგივე სალიტერატურო ქართული) – დედაენას უიგივდება“ (ტ. ფუტკარაძე, 2005, 61).

თავისთავად, თუკი მშობლიური ენის ტრადიციული გაგებით მივუდგებით (ეს არის ენა, რომლის მეშვეობითაც ბავშვი ლინგვისტური „წესების“ გაცნობიერებასა და შეთვისებას იწყებს მის უშუალო გარემოში და, ამავე დროს, იძენს კომუნიკაციური ქცევის წესებს), ტოლობის ნიშნის დასმა ტერმინებს **სალიტერატურო ენასა და მშობლიურ ენას (დედაენას)** შორის შეუძლებელია; მაშასადამე, ცხადია, რომ ტერმინს - **დედაენა** დღეს უკვე

შეძენილ-შეთვისებული აქვს დამატებითი ფუნქციები, რაც ტერმინ **მშობლიური ენისათვის** არ არის დამახასიათებელი.

კიდევ უფრო მეტი კითხვის ნიშნები დაისმის ტერმინ **ეროვნულ ენასთან დაკავშირებით;** ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში მას თრგვარად განმარტავენ:

1. „ყველა ეროვნული ენა ამავე დროს სალიტერატურო ენაც არის“ (არნ. ჩიქობავა);
2. „ეროვნულ ენას ქმნის ერთობლიობა იმ ენობრივი მოვლენებისა და მათში მონაწილე ელემენტებისა, რომლებიც საერთო ყველა (ან უმეტესი წილი) ტერიტორიული და სოციალური დიალექტებისა და აგრეთვე ზედიალექტური წარმონაქმნისთვის სალიტერატურო ენა კი ეფუძნება ამ საერთო მონაცემს და მის ნორმირებულ, დახვეწილ სახეს წარმოადგენს“ (ბ. ჯორბენაძე, 1989, გვ. 150)

ბ. დე კურტენეს განმარტებით, „ეროვნული / ტომობრივი ენა წარმოადგენს გარკვეული რაოდენობის ინდიგიდთა მეტყველების ტოლქმედს“ (ბ. დე კურტენე, 1963, გვ. 76). ამ დეფინიციის მიხედვით მეტად რთულია **ეროვნული ენის** მიმართების დადგენა ისეთ ტერმინებთან, როგორიცაა მშობლიური ენა, დედაენა, სალიტერატურო ენა. ვფიქრობთ, ჩვენი შემდგომი სოციოლინგვისტური კვლევებისთვის გამოვიყენოთ აკადემიური ტერმინი **პირველი ენა**, რომელიც ზუსტად (ყოველგვარი ემოციური თუ პოლიტიკური ფაქტო-

რებისგან თავისუფალი) ასახავს პიროვნების თუ პიროვნებათა გარკვეული ჯგუფის მიერ ამ ფენომენის მფლობელობას (იგულისხმება ენის ფლობა, რაც სხვაობს ტერმინისგან ენის სწავლა – იხ. ქვემოთ).

### 3. მეორე ენა, უცხო ენა; ბილინგუიზმი და დიგლოსია

3. 1. ტერმინი **ბერძენი ენა** გამოიყენება იმ ენობრივი სახესხვაობებისთვის, რომელთა ათვისებაც ბაგშვობაში კი

არ ხდება, არამედ - მოგვიანებით: ამის გამო, ყველა სხვა ენა, გარდა **პირველი ენისა** (რომელზეც მოზარდი იწყებს აზროვნებას), უნდა მოვიაზროთ **მეორე, მესამე** და ა. შ. ენებად მათი შეძენის **თანმიმდევრობის** მიხედვით. პირველი ენის (ენების) შეძენის შემდეგ შეძენილი ენები შესაძლოა სხვადასხვა სახის იყოს, აქედან დიდი ტერმინოლოგიური მრავალფეროვნება მომდინარეობს.

შესაძლებელია ესები იყვნენ სახესხვაობები, რომლებიც მუდმივად და უმეტესწილად გარკვეულ გარემოში ფუნქციონირებენ და მათი შეძენა შესაძლებელია მათთან კონტაქტით, ოფიციალური სწავლების გარეშე. ეს ხშირად რეგიონული ენების შემთხვევაში ხდება. მაგრამ ასეთი სახესხვაობები შესაძლოა ისწავლებოდეს სპონტანური დაუფლების პარალელურად: ასეა მიგრანტებისა და მათი ბავშვების შემთხვევაში, რომელთათვისაც მასპინძელი ქვეყნის ენა არ არის პირველი ენა, რომელიც ავტომატურად შეისწავლება და / ან ინსტიტუციონალური სწავლების ფარგლებშია. **მეორე ენა** ეხება არა მხოლოდ დაუფლების თანმიმდევრობას, არამედ სახესხვაობის სოციოლინგვისტურ სტატუსს, რომელიც შესაძლოა თამაშობდეს ენობრივი კომუნიკაციების როლს, ძირითადად წარმოდგენილი იყოს მედიაში და საზოგადოებრივ ცხოვრებაში (უფრო ხშირად, ვიდრე ოჯახური გარემოს გარეთ, ამის გამო) და ისიც სწავლების ენაა.

აუცილებელია გაიმიჯნოს **მეორე ენისა** და **უცხო ენის** სტატუსები: ტერმინი **უცხო ენები** ხშირად გამოიყენება, რათა მოვიხსენიოთ ენობრივი სახესხვაობები, რომელთა სწავლება შესაძლოა ნაკლები მოტივაციით იყოს გამოწვეული: კერძოდ, შემსწავლელები არ არიან იმ სახესხვაობებთან კონტაქტში, ან არიან მხოლოდ ვირტუალურ ან შეზღუდულ ფორმებში (კინო, ტელევიზია, იმ ქვეყნებში ვიზიტები, სადაც ისინი გამოიყენება და მისთ.). ამის გამო, ისინი, შესაძლოა, ნაკლებად ათვითცნობიერებდნენ მათს მოთხოვნილებებს უცხო ენებზე - ისინი ჩვეულებრივი სკოლის **საგნებად** მიიჩნევენ და რომლებშიც ყოველთვის არა მათი **ფაქტობრივი დაუფლება**, არამედ მათი **შეფასებაა** (ტესტები, გამოცდები) მიღწევების დამადასტურებელი; ეს არის არსებითი განმასხვავებელი **მეორე ენასა** და **უცხო ენას** შორის: მეორე ენას შემსწავლელი ეუფლება, შეითვისებს; უცხო ენას - სწავლობს, როგორც საგანს (აქედან გამომდინარეობს მეთოდიკური მიდგომებისა და სწავლების სტრატეგიების არსებითი სხვაობაც)...

სიტყვა **უცხო** აბსოლუტურია იმით, როთაც ის ხაზს უსვამს გარე სამყაროსთან სხვაობას. ფაქტობრივად **უცხოდ** ცნობილი ენები, შესაძლოა, მეტ-ნაკლებად ახლოს იდგეს მშობლიურთან, მეტ-ნაკლებად ადვილი ან რთული იყოს სასწავლად. ეს არის ტერმინი, რომელიც გამოყენებულია ჩვეულებრივ მსჯელობაში, რათა გამოვხატოთ სხვა

საზოგადოებებთან ან ქვეყნებთან კულტურული და ლინგვისტური სიშორე. შემთხვევითი არ არის, რომ მნიშვნელოვანი კულტურული განსხვავებები ხშირად გაგებულია ხელიხელჩაკიდებული ენების სირთულეებად, რომლებიც გამოიყენება ასეთი კულტურული ჯგუფების მიერ. პირიქით, ერთი და იმავე წყაროდან წარმოშობილი, კულტურულად ახლო მდგრმი ენები (მაგალითად, სემიტური, რომანული და სლავური ენები) შეიძლება უცხოდ მივიჩნიოთ. პირველ ენასა და ყველა სხვა ენას შორის მანძილი შესაძლოა მცირედ იყოს მიჩნეული, თუკი, სულ მცირე, ურთიერთგაგებინება იქნება შესაძლებელი მათ შორის და / თუ მათი მოლაპარაკე ჯგუფები კულტურულად ახლოს მდგომადაა შეფასებული (ენობრივი განათლების პოლიტიკის განვითარება ევროპაში - სახელმძღვანელო პრინციპები, 2008, გვ. 62).

**3. 2. XIX საუკუნის ბოლოს ერთ-ერთი ცნობილი ინ-გლისელი პროფესორი ამტკიცებდა: „ბავშვს რომ ჰქონოდა საშუალება, ერთნაირად სცოდნოდა ორი ენა, ეს იქნებოდა მეტად ცუდი რამ, ვინაიდან ასეთი ბავშვის ინტელექტუალური და სულიერი განვითარება წარიმართებოდა არა თუ**

ორჯერ სწრაფად, არამედ ორჯერ უფრო ნელა. აღნიშნულ გარემოებებში გონიერივი განვითარების ფორმირება და ხასიათის ჩამოყალიბება საკმაოდ შეფერხდებოდა“. ამასთანავე, ეროვნული პოლიტიკის წამყვანი იდეოლოგია თვლიდა, რომ ეროვნული საზღვრები ბუნებრივად ემთხვევა მონოლინგურ ენობრივ ტერიტორიებს: ორი ეროვნების მატარებლობა კი ეჭვს იწვევდა. ორენოვნები (ბილინგვალები) ითვლებოდნენ პოტენციურ მოდალატებად: ნებისმიერი ადამიანი, რომელიც ორ ან მეტ კულტურას მიეკუთვნებოდა, არ უნდა ყოფილიყო სახდო, ვინაიდან ამოსავლად მიჩნეული იყო ის, რომ ადამიანი უნდა ყოფილიყო ერთენოვანი, მრავალენოვნება კი ითვლებოდა დათის რისხვად, რომელიც კაცობრიობას სდევს ბაბილონის გოდოლის დროიდან.

მსგავსი სტერეოტიპები ჩვენს დროში მოძველებულად (შეიძლება ითქვას – სახიფათოდაც) აღიქმება. დღეს მრავალენოვნება ფუნქციონალურად განისაზღვრება, როგორც კომუნიკაციის დამყარების უნარი ორ ან მეტ ენაზე კომპეტენციის დონის, ენის დაუფლების ხერხის, ასაკისა და ენებს შორის იმ ფსიქოლინგვისტური კავშირების მიუხედავად, რომლებიც შედის მოლაპარაკის რეპერტუარში (პ. რიაგენი, ჯ. ლუდი, 2008, გვ. 5).

წვეულებრივ, ადამიანები ერთ და ზოგჯერ ერთზე მეტ ენას ეუფლებიან მცირე ასაკშივე (სოციალიზაციის პროცესში). ენის ასეთი დაუფლება არის ფუნდამენტური ელემენტი ერთი ან უფრო მეტი სოციალური და

კულტურული ჯგუფისადმი მიკუთვნების გრძნობის განვითარებისა. აქედან გამომდინარე, ენის დაუფლება მოიცავს კულტურული კომპეტენტურობის შეძენას და სხვებთან ერთად ცხოვრების უნარის გამომუშავებას. მრავალენოვანი რეპერტუარის განვრცობა მთელი სიცოცხლის განმავლობაში ასევე გულისხმობს სხვა კულტურებისა და კულტურული ჯგუფების შემდგომ განვითარებას, რამაც ინდივიდს შეიძლება ახლად შეძენილ ენაზე მოლაპარაკე საზოგადოებასთან დაკავშირებისკენ უბიძგოს. სხვა ენაზე მოლაპარაკე ჯგუფებთან დაკავშირება დამოკიდებულია არა მხოლოდ შეძენილ ენაზე, არამედ მრავალ სხვა ინდივიდუალურ და სოციალურ ფაქტორებზე და აქ ჩართული სწავლის ფორმაზე.

აქედან გამომდინარე, მრავალენოვანი რეპერტუარის შეძენა ცხოვრების განმავლობაში ასოცირდება გარემოს კულტურული კომპლექსურობის ცოდნის განვითარებასთან, რომელიც ჩანს როგორც ევროპულ ქვეყნებში, ასევე მათ შორისაც. ეს ცოდნა შესაძლებელია ასოცირდეს კულტურული კომპეტენციის ცვლილებასთან. პიროვნებებმა შეიძლება შეძლონ სხვებთან ერთად ცხოვრება ახალ ენობრივ გარემოში და, ამის შედეგად, შეძლონ სხვა ჯგუფების ფასეულობებისა და ქცევის გაგება.

სადაც ადგილი აქვს ასეთ ცვლილებებს, პიროვნებებმა უნდა გაიგონ და გამოსცადონ სხვა ენისა და სხვა კულტურის ხალხთა ცხოვრების თუნდაც რამდენიმე

ასპექტი. ეს იმასაც ნიშნავს, რომ მათ აქვთ შესაძლებლობა, გაიგონ სხვაგვარი ცხოვრება და განუმარტონ მათ, ვინც სხვაგვარად ცხოვრობს. ეს **კულტურათშორისი კომპეტენცია** ძალიან მნიშვნელოვანია სხვადასხვა ჯგუფის ორმხრივი გაგების გასავითარებლად და ყველა სახის კულტურათშორისი მედიატორის როლს თამაშობს, მოგზაურთა გიდობიდან - მასწავლებლობამდე, დიპლომატობამდე და ა.შ. აქედან გამომდინარე, კულტურათშორისი კომპეტენციების და კულტურათშორისი შეამდგომლობის შესაძლებლობა ენის სწავლების მიზანია, რაც მრავალენოვან ინდივიდებს საშუალებას აძლევს, შეიძინონ ცხოვრების უნარები მრავალენოვან გარემოში, ისეთ გარემოში, როგორსაც სთავაზობს მათ თანამედროვე ეკროპა. მნიშვნელოვანია სხვა ენის ხალხებთან და კულტურებთან ურთიერთობა ორმხრივი მხარდაჭერის კონტექსტში პოლიტიკურ საზღვრებში და მის საპირისპიროდ, რომელიც აყალიბებს დემოკრატიული მოქალაქეობრიობის აქტივობებს (ენობრივი განათლების პოლიტიკის განვითარება ეკროპაში - სახელმძღვანელო პრინციპები, 2008, გვ. 42).

**ორენოვნება (ბილინგვიზმი)** – ეს არის ორი (ან რამდენიმე) ენის გამოყენება ერთი და იმავე ენობრივი ერთობის წევრთა მიერ სხვადასხვა საკომუნიკაციო სიტუაციაში (თუმცა ჯერ კიდევ ლეონარდ ბლუმფილდი მასში ორი ან მეტი ენის მშობლიურის დარად ფლობას

გულისხმობდა). ორენოვნება ზოგჯერ მთელს  
სახელმწიფოსთან მიმართებაში იხმარება, ზოგჯერ  
რომელიმე საზოგადოებასთან მიმართებაში, ზოგჯერ კი  
სულაც იმ ინდივიდის მიმართ, რომელიც ერთ, ორ ან მეტ  
ენას ფლობს. პაინც კლოსი გახლდათ პირველი, ვინაც  
მკვეთრად გამიჯნა ერთმანეთისაგან ორენოვნება და  
მრავალენოვნება ეროვნულ და ინდივიდუალურ დონეებზე.

ორენოვნება ზოგჯერ იხმარება განზოგადებული,  
მრავალენოვნების მნიშვნელობით (ჯ. ფიშმანი, 1968, გვ. 21-50;  
ჰ. კლოსი, 1966, გვ. 135-145; უ. ვაინრაიხი, 1968)

ტერმინი ბილინგვიზმი თავის თავში (ამოსავალი  
ფუძისეული lingva) მოიცავს ენის გაგებას; ამერიკელმა  
ენათმეცნიერმა, ჩარლზ ფერგიუსონმა ინდივიდის ან  
ინდივიდთა ჯგუფის მიერ ორი ან მეტი ენობრივი  
სახესხვაობის ფლობის სოციოლინგვისტურ მოვლენას სხვა,  
ვფიქრობთ, უფრო ნეიტრალური და ადეკვატური  
სახელდება გამოუქებნა - **დიგლოსია.**

ჩარლზ ფერგიუსონის მიერ თავდაპირველად  
შემოთავაზებული განმარტება ასე ედერს: „**დიგლოსია**  
წარმოადგენს შედარებით სტაბილურ ენობრივ სიტუაციას,  
რომელშიც ენის პირველადს დიალექტებთან (მათ შორის  
შეიძლება იყოს ენობრივი სტანდარტი ან რეგიონალური  
სტანდარტები) ერთად არსებობს ძალიან განსხვავებული,  
უაღრესად კოდიფიცირებული (ხშირად გრამატიკულად  
ძალიან რთული) ვარიანტი, რომელიც უმეტესწილად

სამწერლო ენად გამოიყენება ან გამოიყენებოდა ან წინა პერიოდში ან სხვა სამეტყველო ერთობაში, და რომელსაც ძირითადად ითვისებენ სასწავლო დაწესებულებებში და გამოიყენება წერითი და ოფიციალური მიზნებით, ოდონდ არ მოიხმარება საზოგადოების რომელიმე ფენის მიერ ყოველდღიური ურთიერთობებისას” (ფერგიუსონი, 1959, გვ. 336). იგივე ავტორი მოგიანებით სხვა პუბლიკაციაში კიდევ გვთავაზობს დიგლოსიის განმარტებას: „ერთი და იმავე ენის ორი ან მეტი სახესხვაობა, რომლებიც გამოიყენება ზოგიერთი მოლაპარაკის მიერ ზოგიერთ გარემოში. . . ენის ორი სახესხვაობა, რომლებიც თანაარსებობენ მოცემულ საზოგადოებაში და თამაშობენ გარკვეულ როლებს“ (ჯ. ფერგიუსონი, 1971, გვ. 11).

დიგლოსიის, როგორც სოციოლინგვისტური სიტუაციის, ფარგლებში ენობრივი ქცევა ერთგვარ სფეროებადაა გადანაწილებული; ეს სფეროები ერთმანეთთან იერარქიულ მიმართებაში იმყოფებიან: გამოიყოფა მაღალი (H) და დაბალი (L) სფეროები. (ჩ. ფერგიუსონი, 1959; გვ. 325-340; დ. ჯარდელი, 1982, გვ. 15-25). მიუხედავად სემანტიკური სიახლოვისა და არცთუ მკვეთრად გამოხატული გამიჯვნის კრიტერიუმებისა, ვფიქრობთ, ბილინგვიზმისა და დიგლოსის გამიჯვნა გარკვეულ შემთხვევებში აუცილებელია; განსაკუთრებით საქართველოში არსებული ენობრივი სიტუაციის გათვალისწინებით; სხვა იერარქიული მიმართება არსებობს, მაგალითად, სომხურ ენასა და

ქართულ ენას (სახელმწიფო ენა) შორის (კლასიკური ბილინგვიზმის მაგალითი) ამ ორ ენის მფლობელი ადგილობრივი მოსახლისთვის და განსხვავებული მიმართებაა სვანური თუ ზანურენოვანი მოსახლისთვის პირველ ენასა და ქართულს შორის: ამ მიმართებას, ვფიქრობთ, დიგლოსის კვალიფიკაცია უნდა მიეცეს.

#### **4. სახელმწიფო ენა; დომინანტი ენა; ენობრივი უმცირესობები**

**სახელმწიფო ენა** ენობრივი სახესხვაობაა, რომელსაც აქვს კონსტიტუციით ან სხვა ლეგალური ინსტრუმენტებით სანქციონებული როლი სახელმწიფოსა და მოქალაქეებს შორის საკომუნიკაციო ენის სახით (სახელისუფლო

სტრუქტურები, იურიდიული სისტემა, სკოლები და ა. შ.). ეს გულისხმობს, რომ კერძო კომუნიკაციებში მოქალაქეებს შეუძლიათ გამოიყენონ ნებისმიერი ენობრივი სახესხვაობა. მაგრამ, ხშირ შემთხვევაში, ოფიციალური ენა (ენები) არის (არიან) მოსახლეობის რიცხობრივად ან სოციალურად მნიშვნელოვანი ნაწილის მშობლიური ენა, თუმცა, მაგალითად, დასავლეთ ევროპული ქვეყნების ყოფილ კოლონიებში ეს როლი შესაძლოა ითამაშოს ენობრივმა სახესხვაობამ (როგორც წესი, კოლონიზატორის ენა), რომელიც არ არის არც ერთი ჯგუფის მშობლიური ენა.

ეროვნულ სახელმწიფოებში (მიუხედავად იმისა, არიან თუ არა ფედერალური მოწყობისა), ოფიციალური ენა შესაძლოა იდენტურობის ანუ ეროვნულ საზოგადოებასთან გაწევრიანების ფაქტორი გახდეს,. სახელმწიფო ენა ყოველთვის არ ემთხვევა მოქალაქეობას (თუ ინგლისურად ლაპარაკობთ, არ ნიშნავს, რომ ხართ ავსტრალიის მოქალაქე; ფრანგულად და ფლამანდიურად მოლაპარაკე ბელგიულები ერთი და იმავე სახელმწიფოს მოქალაქეები არიან), თუნდაც რომ ოფიციალური სახესხვაობის ცოდნა სავალდებულო იყოს მათვის, ვინც ითხოვს მოქალაქეობას. ამის გამო, ტერმინი **სახელმწიფო ენა**, არის უფრო ემოციურად დატვირთული, ვიდრე **ოფიციალური ენა** (ენობრივი განათლების პოლიტიკის განვითარება ევროპაში - სახელმძღვანელო პრინციპები, 2008, გვ. 64)

ტერმინი **დომინანტი ენა** განეკუთვნება სახესხვაობას, რომელსაც უფრო მაღალი ლეგალური ან სოციალური სტატუსი აქვს სხვა სახესხვაობებთან შედარებით მოცემულ გეოგრაფიულ ტერიტორიაზე. უპირატესობა შეიძლება გავრცელდეს სახელმწიფოში ან ეხებოდეს იმავე სახელმწიფოს მხოლოდ ერთ რეგიონს. ეს უპირატესობა არ გაიზოდება მხოლოდ მოლაპარაკეთა რიცხვით. ადგილი, რომელსაც საზოგადოება მიანიჭებს სახესხვაობებს, რომელთაც აქვთ ასეთი სტატუსი, გვპარნახობს, რომ შესწავლილი უნდა იყოს სხვა სახეობებისადმი სივრცის გამოყოფის სათანადოობა და ამ სივრცის მახასიათებლები.

**ენობრივ უმცირესობად** იწოდება ენა, რომელზეც ლაპარაკობს მოსახლეობის გარკვეული ჯგუფი ქვეყნის ტერიტორიის ნაწილზე და რომელსაც შესაძლოა კი პქონდეს ოფიციალური სტატუსი, მაგრამ, შესაძლოა, ეს არ იყოს ოფიციალური ან ლეგალური ენის სტატუსი.

ტერმინი **ენობრივი უმცირესობა** განეკუთვნება ენობრივ სახესხვაობებს, რომლებიც გამოიყენება (როგორც პირველი, ისე მეორე ენა) გარკვეული ჯგუფების მიერ; ეს ჯგუფები თავიანთ თავს განსხვავებულად მიიჩნევენ მათი ტერიტორიის, რელიგიის, ცხოვრების წესის ან ნებისმიერი სხვა მახასიათებლის გამო და არეგულირებენ თავიანთ განსხვავებას უფრო დიდი საზოგადოების ფარგლებში. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ენობრივი უმცირესობა არის კვანტიტატური და არავითარ შემთხვევაში

კვალიტატიური ტერმინი; აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ენობრივი უმცირესობის სტატუსი ზოგჯერ ცალსახად არ შეესაბამება რაოდენობრივ პრიტერიუმს: გარკვეულ გეოგრაფიულ ტერიტორიაზე ან საზოგადოებაში ასეთი სახესხვაობები შესაძლოა ფართოდ იყვნენ გაგრცელებული ან აქტიურად გამოყენებული. სტატუსი განეკუთვნება უფლებებს, რომლებითაც ეს ჯგუფები არ სარგებლობენ: სასამართლოში გამოყენება, ლეგალური ან ადმინისტრაციული დოკუმენტების წარმოება, განათლებაში პირველ ენად (როგორც დაწყებით სკოლაში, ისე უნივერსიტეტში) გამოყენება, ფუნქციონირება ეროვნულ მედიაში, საგზაო ნიშნებში და მისთ.

ენობრივი უმცირესობების წარმოშობა განსხვავებულია და, ამის გამო, გარკვეულ პოლიტიკურ პრობლემას (ენობრივი პოლიტიკის პრობლემას) წარმოადგენს. პერძოდ, როდესაც ის ეხება მათ მოგვარებას და განათლების სისტემის ცვლილებაზე დისკუსიებსა და მოლაპარაკებებს ისე, რომ შესაძლებელი იყოს მათი შეთავაზება სკოლებში. მაგრამ ენობრივი უმცირესობების არსებობა წარმოშობს ერთ მნიშვნელოვან პრობლემას: კერძოდ, მათ გათვალისწინებასთან და განათლების სისტემის პოლიტიკაში ჩართვასთან დაკავშირებით - უნდა ჩაანაცვლონ თუ არა ამ უმცირესობათა სახესხვაობებმა სახელმწიფო ენა ნაწილობრივ, თუ დარჩნენ მხოლოდ ინსტრუქციის (სწავლების პროცესში მასწავლებელსა და

მოსწავლეს შორის არაფორმალური კომუნიკაციის) ენებად? უნდა ჰქონდეთ თუ არა სასწავლო პროგრამებში რაიმე სტატუსი? უნდა იყოს თუ არა ისინი ხელმისაწვდომი მხოლოდ მეორად განათლებაში? უნდა ხდებოდეს თუ არა ამ ენათა მეცნიერული შესწავლა და პოპულარიზაცია? ეს საკითხები უდრესად სენსიტიურია, თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ პრობლემა არ არსებობს და უნდა ხდებოდეს მისი იგნორირება.

## 5. მნობრივი თვითიღენტივიპატია და პეტეროვიღენტივიპატია

ენა, რელიგიასა და ტერიტორიასთან ერთად, ერთ-ერთი რესურსია. თუმცა, განვითარებული ეკრაპის ფორმირება ვერ მოხდება იმავე მოდელით, რომლითაც

ყალიბდებოდა სახელმწიფოები მე-19 საუკუნეში: არ არის მკაფიო, რომ შესაძლო თანხვედრა ადვილად მოხდეს ისეთი საერთო ისტორიული ღირებულებების საფუძველზე, როგორიცაა რელიგიური მემკვიდრეობა, ინდივიდუალური მორალი და ინდივიდუალიზმი ან საერთო პოლიტიკური იდეალები, რომლებიც ჯერ კიდევ საკმაოდ შორსაა ხალხის ჩვეულებრივი ყოფისგან. ზემოთ აღნიშვნული გამოიწვევს რაიმე სხვა ღირებულებების ძიებას, რომლებზეც შეიძლება აიგოს კულტურული ცნობიერება.

ენის მეშვეობით იდენტიფიკაციის საკითხის შესწავლა მხოლოდ იდენტობის ფორმირების პროცესის კონტექსტში უნდა მოხდეს. ეს პროცესი კი, დღევანდელი ევროპის შემთხვევაში, მხოლოდ საწყის ეტაპზეა. საკითხის ამ კონტექსტში შესწავლა მნიშვნელოვანია, რამეთუ ენა არის პოტენციური მექანიზმი იდენტიფიკაციისა და, ამავე დროს, მნიშვნელოვანი ფაქტორი პიროვნებაში გარკვეული ჯგუფისადმი კუთვნილების შიდა და გარე ფაქტორების ჩამოსაყალიბებლად. თუკი ევროპაში კომუნიკაციის საშუალება გახდება ერთი რომელიმე ენა, ეს კონკრეტული ზე-ენა იქცევა ევროპის საიდენტიფიკაციო ენად, რამეთუ ევროპის გაერთიანების ფორმირება წინ უსწრებდა ამ ტერიტორიაზე არაერთი უძველესი ერისა თუ რეგიონული წარმონაქმნის ფორმირება.

ენის როლის განხილვისას, ევროპული ცნობიერების და კუთვნილების ფორმირებისას, როგორც ადრე

აღვნიშნეთ, მნიშვნელოვანია გაპეთდეს ძალიან ვიწრო ფოკუსი ენის მეშვეობით კულტურული იდენტობის ფორმირებაზე და არა იმაზე თუ რა გავლენას ახდენს ენობრივი იდენტობა კოლექტიური კუთვნილების ფორმირებაზე. ამ კონტექსტში მნიშვნელოვანი საკითხია ის, მულტიკულტურული ევროპის სივრცეში იდენტიფიკაციის რა ფორმებმა შეიძლება გაუწიოს კონკურენცია დემოკრატიული მოქალაქეობრივი კუთვნილების ინსტიტუტს. ამ კონტექსტში ორი ტიპის იდენტიფიკაციის ფორმა იქნება განხილული, რომლებიც განსხვავდება ერთმანეთისგან აქტიურობის სარისხით:

- 1) იდენტიფიკაცია ენის მეშვეობით და
- 2) იდენტიფიკაცია რამდენიმე ენის საშუალებით  
(ენობრივი რეპერტუარი) (ქ. ბეჭო, 2008, გვ. 12).

**იდენტობის ენა:** ენის სახესხვაობა, რომელზეც შესაძლოა ლაპარაკობდნენ თავისუფლად, იშვიათად ან თუნდაც არასდროს, მაგრამ რომელიც ფუნქციონირებს როგორც მიკუთვნების დასადგენი საშუალება (სიმბოლური, ემოციური) ხალხის მოცემულ საზოგადოებაში ან ჯგუფში. ამ სახესხვაობის ღირებულება ხალხს ხშირად უმცირებს სხვა ენების ღირებულებას მათ რეპერტუარში.

ენის მეშვეობით იდენტიფიკაცია კულტურული იდენტიფიკაციის ფართოდ გავრცელებული ფორმაა, რადგან ენა არის პირის ამა თუ იმ ჯგუფისადმი მიკუთვნების ინდიკატორი. თუმცა ენის მეშვეობით იდენტიფიკაცია არის უფრო

მეტად **არტიფაქტი** და არა მოულოდნელობა კოლექტიური იდენტობის ფორმირების პროცესში, რადგან ის უგულებელყოფს ისტორიულ რეალობებს. მაგალითად, გალებს გვიანი მეცხრამეტე საუკუნის ისტორიკოსებმა მიანიჭეს უმნიშვნელოვანესი როლი ფრანგების ეროვნული ცნობიერების ფორმირებაში, მიუხედავად იმისა, რომ ფრანგული ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბების საწყისი საკმაოდ მრავალფეროვანია (მრავალეთნიკური და მრავალენოვანია). მხოლოდ ერთი ენის გამოყენება, როგორ იდენტიფიკაციის მახასიათებლისა, წარმოადგენს მცდელობას, უგულებელყოფილ იქნეს ან დაკნინდეს რეალური ლინგვისტური მრავალფეროვნება. ენობრივი იდენტობის ერთფეროვან პროცესად წარმოდგენა არის მიზანმიმართული მცდელობა, მოხდეს ლინგვისტური რეალობის იგნორირება (ჟ. ბეკო, 2008, გვ. 13).

იდენტიფიკაციის ენა, ეს იქნება **თვითიდენტიფიკაცია** თუ **ჰეტეროიდენტიფიკაცია**, ჩვეულებრივ, არის **მშობლიური ენა**. ერთი შეხედვით, ტერმინი „მშობლიური ენა“ საკმაოდ ერთმნიშვნელოვანია, თუმცა, რეალურად არც ისე მარტივ ტერმინთან გვაქვს საქმე (იხ. ზემოთ, თავი 2). პრაქტიკულად, ბავშვი პირველ ენად ეუფლება როგორც დედის, ასევე მამის ენას; თუ მშობლებს აქვთ ერთი საერთო მშობლიური ენა ან ენა, რომლის საშუალებითაც მშობლები ახდენენ კომუნიკაციას ერთმანეთში - პრობლემა არ ჩანს. თუმცა, ზოგჯერ მშობლები ან მშობლების მშობლები,

უფროს დები ან მმები ფლობენ მეტს, ვიდრე ერთ ენას, რომლის მეშვეობითაც ისინი ახდენენ კომუნიკაციას და ეს ენები ყოველთვის არ არის ოჯახის ამ წევრთა მშობლიური (პირველი) ენები. ერთი რამ ნათელია, რომ „მშობლიური ენა“ ყველაზე ხელმისაწვდომია იდენტიფიკაციის მიზნებისთვის, რადგან შთამომავლობისთვის გენეტიკური ხაზით იდენტიფიკაციის მარტივი გადაცემის შესაძლებლობას იძლევა.

Եშირ შემთხვევაში ივარაუდება, რომ იდენტიფიკაციის ენას როგორც თვით- ისე ჰეტერო- აღქმის პროცესში წარმოადგენს **სახელმწიფო (ეროვნული)** ენა. მაგალითად, ფრანგი ხალხი მიიჩნევს, რომ ნორვეგიელები საუბრობენ ნორვეგიულ ენაზე, თუმცა არ არიან ინფორმირებულნი, რომ სინამდვილეში ნორვეგიაში არსებობს კიდევ სამი ენა (ფინური და ნორვეგიული ენის ორი სახესხვაობა: ნინორსკი და ბოკმალი). ანალოგიურად, ნორვეგიელები ფიქრობენ, რომ ფრანგი ხალხი საუბრობს ფრანგულად და ვერ აცნობიერებენ, რომ ფრანგები ამავე დროს შეიძლება საუბრობდნენ კორსიკულ, ალსატიურ თუ ბერბერულ ენებზე. აღნიშნული გამომდინარეობს ხალხის ენობრივი სახესხაობების გათვითცნობიერების დონით, რაც აგრეთვე ეშირად უკავშირდება უცხო ენის ცოდნასაც. ალბათ, უბრალოდ დამთხვევას არ უნდა მიეწეროს ის ფაქტი, რომ **ზოგადუფროპულ ჩარჩო-კონვენციაში ენების შესახებ** აღიარებულია, რომ ენების რეგიონული და სოციალური სახესხა-

ვაობაში გარკვევის უნარი დამახასიათებელია მხოლოდ ენის გამოცდილი შემსწავლელებისთვის (ყველაზე მაღალი დონე - მუხლი C2), სრულიად აღიარებს მშობლიური ენის სოციოლინგვისტურ და სოციოკულტურულ მნიშვნელობას და შეუძლია შესაბამისი რეაგირების მოხდენა. ზოგადად, ეს მართლაც მშობლიური ენაზე მოლაპარაკეთა მახასიათებელია... თუმცა, როგორც გ. ლუდის ტიპოლოგიაშია ჩა-მოყალიბებული, ენობრივ იდენტიფიკაციას განსაზღვრავს რამდენიმე სუბიექტური ფაქტორი:

- პირველი, მეორე და ა. შ. ენები (თანმიმდევრობა მათი შესწავლის მიხედვით): შესაძლებელია, ენის შემსწავლელმა შეისწავლოს სხვა, არამშობლიური ენა გარამაული მიზეზებისა და ინტერა-სების გათვალისწინებით (ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოტივი ამ დროს „ინტეგრირებაა“). მაგალითად, ფრანგმა ოჯახმა, შესაძლებელია, ნებაყოფლობით შექმნას ოჯახში ინგლისურენოვანი გარემო, რათა ბავშვი ადვილად დაეუფლოს ინგლისურ ენას (მშობლებმა გადაწყვიტეს ბავშვის შეყვანა ამერიკულ სკოლაში, მათ სურთ, ბავშვი იყოს ამერიკელი);
- ენები, რომლებსაც იყენებენ მუდმივად, მხოლოდ შემთხვევით ან ძალიან იშვიათად: მაგალითად ჩრდილოეთ აფრიკაში ფრანგულად მოლაპარაკე ოჯახები შესაძლებელია არაბულ ენას ძალიან

- ცუდად ფლობდნენ, მაგრამ იყენებდნენ არაბულს დროდადრო და მათი ენობრივი იდენტიფიკაცია მაინც იყოს დაკავშირებული არაბულ ენასთან;
- ენები, რომლებიც დომინანტურ სოციალურ ურთიერთობებში გამოიყენებიან ან ენები, რომლებსაც ვერ ფლობენ კარგად (მაგალითად, ირლანდიური ირლანდიაში);
  - ენა, რომელზეც საუბრობენ სამშობლოში და ენა, რომელიც არის მასპინძელი სახელმწიფოს ენა იმიგრანტების შემთხვევაში: მაგალითად, იმიგრანტების შვილებმა საკუთარი ენობრივი იდენტიფიკაცია შეიძლება მოახდინონ როგორც მშობლიურ, აგრეთვე იმ სახელმწიფოს ენაზე, რომელშიც ისინი ცხოვრობენ.
  - შესაძლებელია, მათ აგრეთვე იდენტიფიკაცია მოახდინონ ორივე ენაზე ერთდროულად და ჩამოყალიბდნენ ტიპურ მიგრანტ ბილინგვებად, რაც დოგიკური და ბუნებრივია.
- გარდა ამისა, უფრო მეტად სოციალურ, ვიდრე ინდივიდუალურ დონეზე, ენები, რომლებიც ახდენენ პიროვნების იდენტიფიკაციას, ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისგან სტატუსის მიხედვით. **იდენტიფიკაციის ენა** შეიძლება იყოს სახელმწიფო / ოფიციალური / სასკოლო ენა, ფართოდ გავრცელებული და ოფიციალურად აღიარებული რეგიონული ენები, მხოლოდ მცირე ჯგუფის და იშვიათად გა-

მოყენებული რეგიონული ენები, სამართლებრივად აღიარებული ან მარგინალიზებულ უმცირესობათა ენები, გარეშე ენები, იმპორტირებული მიგრანტთა მიერ და სხვა. ნებისმიერი ენობრივი იდენტიფიკაცია ეფუძნება ამ ორი უცნობის ჯგუფს... შესაბამისად, გარკვეული კონტექსტისთვის ეს ენობრივი იდენტიფიკაცია შეიძლება იყოს სტაბილური და უსაფრთხო, თუმცა, სხვა შემთხვევაში შესაძლებელია იყოს არასტაბილური, ცვალებადი გადაფასებათა შედეგად და, შესაბამისად - საფრთხის ქვეშ მყოფი. ენობრივი იდენტიფიკაცია განსაზღვრავს პიროვნების არჩეულ ან მიღებულ მიკუთვნებას ამა თუ იმ ჯგუფისადმი. სოციოლინგვისტურ წარმოდგენებს არანაირი კავშირში არ აქვთ ამ პროცესთან (ქ. ბეჭო, 2008, გვ. 14-17).

ენა უფრო ამბათებს სხვებისგან განსხვავებულობის შეგრძნებას, ენის განსხვავებულობა სიმბოლიზებულია ამა თუ იმ ჯგუფის აბსოლუტურ იდენტურობასთან. მაგალითად, **გარდე** მიუთითებს, რომ ბოსნიელი ეთნიკური ჯგუფის ფორმირებაში რწმენა (ისლამი) იყო გადამწყვეტი ფაქტორი. იგი წერს, რომ „დიალექტებს შორის სხვაობა ნაკლებად რელევენტურია ხორვატების, სერბებისა და ბოსნიელების განსასხვავებლად, რომლებიც ხორვატების სამხრეთ-აღმოსავლეთით მეზობლები არიან. ამ მხრივ, არასოდეს ყოფილა ენობრივი ზღვარი. ყველა ეს ეთნიკური ჯგუფი მიეკუთვნება „სერბო-ხორვატულ“ დიალექტურ ტიპს. დიდი ხნის განმავლობაში ის, რაც ითვლებოდა

მხოლოდ „სერბო-ხორვატული“ დიალექტის სხვადასხვა ვარიანტად, დღესდღეობით მიჩნეულია სერბულ, ხორვატულ და ბოსნიურ სტანდარტულ ენებად. ოუმცა არჩევანი სხვადასხვა სტანდარტულ ენას შორის, რომელთა შორის განსხვავება სიმბოლურია, „უფრო შედეგია, ვიდრე მიზეზი შესაბამისი იდენტობის არჩევანისა“. ექსპლუზიურად ერთ ენასთან დაკავშირებულმა ამ იდენტობამ გამოიწვია სლოვენიაში ბოსნიელების მიერ ბოსნიური ენის იმ კურსების უარყოფა, რომელიც გახსნილი იყო აგრეთვე სერბებისთვის. ამ ტიპის თვითკატეგორიზაცია არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს მხოლოდ თავდაცვით ფაქტორად ან განპირობებული იყოს იმ სოციალური სიტუაციით, როდესაც სოციალური მოთამაშე საფრთხეს გრძნობს. ეს თვითკატეგორიზაცია გახდა ტრადიციული ევროპულ ასპარეზზე, რამაც გავრცელება პპოვა ისეთი ისტორიული ტერმინების მეშვეობით, როგორებიცაა: ეროვნული უმცირესობა / ეროვნები და, უფრო მეტიც, ერები (მაგალითად ბალკანეთში და ცენტრალურ ევროპაში). ერის განსაზღვრის ეს ეთნიკური კოცეფცია (როგორც ხშირად უწოდებენ), რომელიც მკვეთრად განსხვავდება ერის განსაზღვრის სამოქალაქო კონცეფციისაგან, იყო და არის ოფიციალური და ჩვეულებრივი კატეგორიზაციის ბაზისი, რომელიც აღიქვამს ეროვნულ და სამოქალაქო ერთობებს, როგორც ერთსა და იმავეს და აკავშირებს ეროვნულ ერთობას ერთენოვნებასთან (ჟ. ბეკო, 2008, გვ. 19).

## **6. მნა და დიალექტი (ქართველური მნები თუ ქართული მნის დიალექტები)**

**6. 1. დიალექტი, იგივე კილო, ენათმეცნიერებაში შემდგენაირად განიმარტება:**

„ენის ტერიტორიული (ალოლექტი, გეოლექტი), დროითი (ტემპოლექტი) ან სოციალური (სოციოლექტი) სახესხვაობა, რომელსაც ადამიანების მეტ-ნაკლებად შეზღუდული რაოდენობა მოიხმარს და თავისი წყობით (ფონეტიკა, გრამატიკა, ლექსიკური შედგენილობა თუ სემანტიკა) განსხვავდება ენობრივი სტანდარტისაგან,

რომელიც თავად წარმოადგენს სოციალურად შველაზე პრესტიჟულ (დია)ლექტს (ბ. ჯორბენაძე, 1989, გვ. 8). დიალექტი უნდა განისაზღვროს, როგორც ამა თუ იმ ენის მეტყველებრივი ნაირსახეობა, გავრცელებული გარკვეულ ტერიტორიაზე ან ეთნიკურ, სოციალურ, პროფესიულ, ასაკობრივ ჯგუფში. ამის მიხედვით გვაქვს ტერიტორიული, ეთნიკური, სოციალური, პროფესიული დიალექტები. (ბ. ჯორბენაძე, 1989, გვ. 8).

დიალექტი მეტყველების ფაქტია და არა ენისა: ერთი და იმავე სისტემის ნაირგვარი გამოყენება საფუძველს უქმნის ენობრივი სახეობების წარმოქმნას. ეს ნაირსახეობები არსებითად წარმოადგენენ კიდეც დიალექტებს; დიალექტი ზეპირი მეტყველებაა; წერილობით ხდება მხოლოდ მისი ფიქსაცია. (ბ. ჯორბენაძე, 1989, გვ. 9). მთავარი და არსებითი მაინც ის არის, რომ **დიალექტი არის საურთო ეროვნული ენის ნაირსახეობა და არა დამოუკიდებული ენობრივი სისტემა** (ბ. ჯორბენაძე, 1989, გვ. 16);

ენა არის ურთიერთგაგებინების საშუალებათა სისტემა, დიალექტი კი – ენის ერთ-ერთი ნაირსახეობა, მისი შემადგენელი ნაწილი. ენა, როგორც ურთიერთგაგებინების საშუალებათა სისტემა, ამრიგად, არის მასში შემავალ დიალექტთა ერთობლიობა (როცა ენა უმწერლობოა), ან – დიალექტებისა და სალიტერატურო ენის ერთობლიობა (როცა ენას სალიტერატურო ენაც აქვს). სალიტერატურო ენაც, მსგავსად დიალექტისა, ენის ნაირსახეობა და მისი

შემაღენელი ნაწილია (დიალექტისგან ის მხოლოდ საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი ფუნქციით განსხვავდება). (ა. ონიანი, 1,2003, 136-137).

რასაკვირველია, დიალექტი შეიძლება გადაიქცეს ენად, ანუ ჩამოყალიბდეს დამოუკიდებელ ენობრივ სისტემად... ამ დროს იგი თვისებრივად იცვლება – რაოდენობრივი სხვაობაზე თვისებრივ სხვაობებად იქცევა. (ბ. ჯორბენაძე, 1989, გვ. 10).

ურთიერთობა ენასა და დიალექტს შორის შეიძლება შემდეგნაირად განისაზღვროს: აუცილებელი პირობა იმის დასაშვებად, რომ ენობრივი სახესხვაობები ან დიალექტები ერთსა და იმავე ენას მიეკუთვნება, არის ის, რომ ისინი ერთ უწყვეტობას ანუ კონტინუუმს უნდა წარმოადგენდნენ... (ვ. ბოედერი, 2005, გვ. 218).

არსებობს ერთი კი არა, ორი სახის წყვეტილობა ცნება ენის განსასაზღვრად: ენობრივ-კომუნიკაციური წყვეტილობა, რომელიც თვით ენის თვისებებს ემყარება და სოციალური (კულტურული, პოლიტიკური და ა. შ) უწყვეტობა, რომელიც ენობრივი კონტინუუმის გარეშეულ მონაკვეთს რომელიმე სოციალური ჯგუფის მიერ ისტორიულად მიეკუთვნა, იმიტომ, რომ, ა. მეიეს სიტყვები რომ კიდევ მოვიხმოთ, მის წევრებს „გრძნობა და ნება აქვთ“, ცალკე ენაზე ლაპარაკობდნენ (და ხშირად სწამთ, რომ ეს ენა „აბშარინდარახეა“. ამ უკანასკნელი ტიპის ენა, როგორც წესი, აუსბაუშპრახეა (სიტყვასიტყვით: მიშენებით / განვრცო-

ბით [ე. ი. განვითარებით დახასიათებული] ენა) (პ. ბოედერი, 2005, გვ. 221)

**სოციოლინგვისტიკაში** დიალექტს განსაზღვრავენ გამოყენებითი (პრაგმატული) თვალსაზრისით; შესაბამისად, მისი **საკუთრივ ლინგვისტური სტატუსი**, როგორც წესი, მხედველობაში ნაკლებად მიიღება; შესაბამისად, აღიწერება ექსტრალინგვისტური (და არა იმანენტური) ნიშნების მეშვეობით:

**დიალექტი:** ენის სახესხვაობა ოფიციალური სტატუსის გარეშე (ან დაბალი სტატუსი), რომელიც გამოიყენება იშვიათად ან არასდროს წერით ხმარებაში, აღწერს რეგიონულ და/ან უმცირესობათა ენობრივ სახესხვაობას, მაგრამ აღიარებულია, როგორც ეროვნულ ან ფედერალური ტერიტორიის საკუთრება.

**ტერმინი დიალექტი** სოციოლინგვისტიკაში ზოგჯერ გამოიყენება რეგიონულ და ენობრივ უმცირესობებთან მიმართებით (ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, იგნორირებულია მისი, როგორც საკუთრივ ლინგვისტური იმანენტური არსი): საერთოდ, ისინი ფაქტობრივად სახესხვაობებია, რომლებიც განეკუთვნებიან ეროვნულ ან ფედერალურ ტერიტორიას. ისინი მიეკუთვნებიან ძვირის ან აღვიდობრივ მოსახლეობას; მაგალითად, ახლად დასახლებული მიგრანტთა საზოგადოებების საპირისპიროდ. **ისინი აუცილებლად არ მიეკუთვნებიან იმავე ენობრივ**

**ოჯახს,** როგორიცაა დომინანტური / ოფიციალური სახესხვაობები.

**დიალუქტი** გამოიყენება ეროვნული ან ოფიციალური ენების ფუნქციონირებასთან დაკავშირებითაც. სახესხვაობები შესაძლოა წარმოშობით სოციოლოგიური იყოს (ასაკობრივი ჯგუფები, განათლების დონე, კომუნიკაციის ფორმალობა თუ არაფორმალობა და მისთ.) და / ან ტერიტორიული. გადახრები შესამჩნევია, მაგალითად, გამოთქმის ან ლექსიკის თავისებურებებით. ისინი წარმოშობენ ეროვნული ენის ნორმების პრობლემას, საიდანაც „გადახრილად“ გამოიყურებიან. სახესხვაობები შესაძლოა დაკრისტალდეს და მოგვცეს იდენტურობის სუბსტანცია ახალ უმცირესობათა სახესხვაობის შესაქმნელად (კერძოდ, ერთ თაობაში ან პროფესიულ ჯგუფებში).

ასეთი ენობრივი სახესხვაობები საკმაოდ სტაბილურია - მათ შესაძლოა ჰქონდეთ დამწერლობა: მხატვრული ლიტერატურა, ლექსიკონები და საბაზისო გრამატიკა. ამის გამო, საკმაოდ ადვილია, სწრაფად გახდნენ ინსტრუქტირების სუბიუქტი ან საშუალება. მათ აერთიანებთ ის, რომ არ აქვთ არანაირი ოფიციალური ან განსაკუთრებული სტატუსი, მაგრამ მათი აღიარება დანარჩენი ეროვნული საზოგადოების მიერ არაერთგვაროვანია. ეს აღიარება, სხვათა შორის, დამოკიდებულია ურთიერთგაგების შესაძლებლობაზე ამ

ტიპის სახესხვაობასა და ოფიციალურ / დომინანტ სახესხვაობას შორის და ჯგუფის კულტურულ სიახლოვეზე სხვა მოქალაქეებთან. ეს ენობრივი სახესხვაობანი საზოგადოებისადმი მიკუთვნების ფუნდამენტური გრძნობის ჩამოყალიბებაა და მისი ყველაზე ნათელი გამოხატულებაა. ზოგ შემთხვევებში რეგიონული მიკუთვნების აზრი არ ემთხვევა ეროვნულ მიკუთვნებას, მაგრამ ზოგჯერ ის შეიძლება ქმნიდეს ეროვნული პოლიტიკური საზოგადოებიდან გამოყოფის საქმაოდ რადიკალურ ფორმას. ამის გამო, საზოგადოებრივი აზრის გარკვეული ნაწილი შესაძლოა რეგიონულ და უმცირესობათა ენებს ეროვნული ერთიანობის წინაშე მდგომ საფრთხედ მოიაზრებდეს.

სწორედ ამგვარ „საფრთხედ“ მოიაზრებს ქართველ ლინგვისტთა ერთი ნაწილი სვანური და ზანური ენების სტატუსს. უკანსკნელ წლებში გაჩნდა ასეთი მოსაზრება: „ენისა და დიალექტის გამიჯვნის პრობლემა მხოლოდ ლინგვისტიკის სფეროში ვერ მოთავსდება; კულტურული ტრადიციის მქონე არცერთი ენა საკუთრივ ლინგვისტური ნიშნებით არ არის სახელდებული ენად: ჯერ არავის დაუდგენია ენობრივ ცვლილებათა თუ თავისებურებათა ის ზღვარი, რომლის შემდეგაც მონათესავე ენობრივ ერთეულთა შორის არსებული რაოდენობრივი განსხვავებანი გადადის თვისებრივში - სისტემის გარიანტი გადადის ახალ სისტემაში“ (ტ. ფუტკარაძე, 2003, გვ. 119); აქედან გა-

მომდინარე, „არსებული ენების სტატუსი, როგორც წესი, განსაზღვრულია ეთნოკულტურული და პოლიტიკურ-რელიგიური ნიშნის მიხედვით (ტ. ფუტკარაძე, 2003, გვ. 70).

საკითხის პოლიტიზების მცდელობას წარმოადგენს შემდეგი კატეგორიული მტკიცება: „როგორც წესი, ერთ ერს (ეთნოკური გაგებით) ერთი დედაქა აქვს“ (ტ. ფუტკარაძე, 2003, გვ. 62); „ერთი ერი (ეთნოკური ერთობა) ერთ ენაზე მეტყველებს“ (თ. გვანცელაძე, 2003, გვ. 600).

წინამდებარე ნაშრომის ფარგლებში ამ მოსაზრების გა-მოწვლილვითი ანალიზის საშუალება არ გვაქვს, თუმცა, ორიოდე სიტყვით მაინც შევეხებით ამ პრობლემას.

საზოგადოდ, ერთი და იგივე ობიექტი (ჩვენს შემთხვევაში – **ენა**) მეცნიერების სხვადასხვა დარგის შესწავლის საგანი შეიძლება გახდეს; ამის მკაფიო მაგალითია საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფართო სპექტრის არსებობა: ბუნების ესა თუ ის მოვლენა შეისწავლება სრულიად განსხვავებული კუთხიდან (ქიმია, ფიზიკა, ბოტანიკა, ბიოლოგია...). ასევეა ენის შემთხვევაშიც: აუცილებელია, და-ვიცვათ იმანებიტური განსაზღვრის პრინციპი. როცა საუბარია ამა თუ იმ ენის წარმომავლობაზე, მის ნათესაობაზე სხვა ენებთან – უნდა ვისარგებლოთ იმ წეს-კანონებითა და ტერმინოლოგიით, რაც ჩამოყალიბებულია ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების წიაღში; ჯერ კიდევ ა. მეიე წერდა, რომ „ერთადერთი ენათმეცნიერული კლასიფიკაცია, რომელიც ფასეული და სასარგებლოა, ესაა გენეალოგიური

კლასიფიკაცია, დაფუძნებული ენათა ისტორიაზე“ (ა. მეიქ, 1924, გვ. 1). ენად პვალიფიცირება ხდება სისტემური იგივეობა-სხვაობების მიხედვით – ეს არის აქსიომა ენათმეცნიერებისთვის და სხვა მიდგომები უკვე სცილდება ლინგვისტიკის სფეროს. შესაბამისად, ლინგვისტური ცნებებისა (ენის, დიალექტის და ა. შ.) და მათი ურთიერთმიმართების დადგენა ლინგვისტიკაში მხოლოდ საკუთრივ ლინგვისტური კრიტერიუმებით არის შესაძლებელი, ექსტრალინგვისტური ცნებებისა და კრიტერიუმების შემოტანას აქ მხოლოდ ქათსისა და არეგ-დარევის გამოწვევა შეუძლია (ა. ონიანი, 2003, გვ. 136).

სოციოლინგვისტიკა შეისწავლის ენის (ენათა) ფუნქციონირებას სინქრონიულ დონეზე; მისი მიზანი არ არის და არც არასოდეს ყოფილა ამა თუ იმ ობიექტის საკუთრივ ლინგვისტური სტატუსის დადგენა. ფაქტია, რომ ამა თუ იმ ერთეულის სტატუსი განსხვავებული იქნება ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერებისთვის იმისგან, რაც, სხვადასხვა ექსტრალინგვუსტიკური ფაქტორის გათვალისწინებით, „დააკანონა“ სოციოლინგვისტიკამ გვიქრობთ, სრულიად მართებულია მოსაზრება, რომელიც ბ. ჯორბენაძის მიერ არის ფორმულირებული: „ენათმეცნიურული (დავაზუსტებთ – საკუთრივ ლინგვისტური) თვალსაზრისით, მეგრულ-ჭანური და სვანური ქართულის მომენენებია, მაგრამ ეთნიკურ-პოლიტიკური (აქაც დავაზუსტებთ

– სოციოლინგვისტური) თვალსაზრისით, მათ იგივე სტატუსი აქვთ, რაც დიალექტებს (ბ. ჯორბენაძე, 1989, გვ. 36).

**6. 2.** საინტერესოა ეს საკითხი თვითინდეტიფიკაციის თვალსაზრისთ: ენაა თუ დიალექტი მეგრულ-ლაზური და სვანური? – ეს იყო რესპონდენტებთან ჩვენი საუბრის ერთ-ერთი თემა, თუმცა, ცხადია, ამ საუბრის მიზანი არ ყოფილა და კერანაირად კერ იქნებოდა საკითხის ერთხელ და სამუდაშოდ გადაჭრა და სათანადო არგუმენტების მოთხოვნა-წარმოდგენა. საინტერესო იყო უბრალო ადამიანების (რომელთაც ენათმეცნიერებასთან არაფერი აკავშირებო) დამოკიდებულება მეგრულ-ლაზურთან და სვანურთან, მის როლთან დაკავშირებით (ეს და სხვა თემატიკა სპეციალურ კითხვარებშიც ჩამოიწერა, მაგრამ პირადი გასაუბრება მაინც მეტს იძლევა, ვიდრე კითხვარის საკითხებზე მშრალად გაცემული პასუხები).

რესპონდენტებისთვის მეგრულ-ლაზური და სვანური, ჩვეულებრივ, კუთხურ-ტომობრივი ენა ან ქართული ენის დიალექტია (კუთხურ ენად კვალიფიცირებისას თვითიდენტიფიკაციის საკითხიც თავისთავად ამოტივტივდება, ხაზი ესმება ქართველობას):

203. ©.k. (17:34:17:35) megruli ra aris?

204. C.T. (17:35:17:44) megruli es tuTxuri enaa... samegrelos mcxovrebisTvis;

205. C.T. (17:55:18:01) karTuli... kartulad visavle 'era+iTxva da karTveli var (*zugdidi, ingiri, cisana Tordia*).

\* \* \*

546. T.M. (0:33:41.000) me vpikrob, rom taobac, romelic izrdeba, ar unda daivig on tavisi ȝutxuri ena (*Tamar mania, Tbilisi*).  
\*\*\*

32. ±.G. (0:02:30.000) megruli ra aris?

33. G.P. (0:02:32.000) megruli ȝuTxuri enaa, ra Tkma unda, ȝuTxurad.... (չո՞, ցանիցո՞յց, տծոցո՞ե՞)

\*\*\*

545–546. T.M. (0:33:33.000) ai, tundac, gvenma ȝirvelma ledim xom icis svanuri da megruli, amit ra, ȝirikit... me vpikrob, rom taobac, romelic izrdeba, ar unda daivig on tavisi ȝutxuri ena (*Tamarmania, Tbilisi*).  
\*\*\*

13. L.E. (00:01:19.000–(00:01:27.000) margaluri, ,onuri do korTuli re nina Tu... muTuni Ticali, dialek°uri, ȝuTxuri me°veleba? /megrum, svanuri da kartuli enaa tu ... raðac eseti, dialek°uri, ȝutxuri mei veleba?/

15. x.x. (00:01:32.000) korTuli, ra Tkma unda, nina re /kartuli, ra tkma unda, enaa/

16. L.E. (00:01:34.000) margaluri? /megrum?/

17. x.x. (00:01:35.000) margaluri do ,onuri korTuli,i dialek°i /megrum da svanuri – kartulis dialek°i/.

ზოგი მიიჩნევს, რომ ამოსავალი სწორედ ზანურ-სვანურია და ქართული – მისგან მომდინარე:

24. L.E. (00:01:57.000–(00:02:04.000) Tkva xolo Ta,i pikrenT, muCoTi dialek°i korTuli,i, xo? elene a°ivcemuli, Tkva mu azri,i zo°unTu? /tkvenc ase pikrobt, rogorc kartulis dialek°i, xom? ȝaï ivcemulo elene, tkven ra azris brýandebit?/

26. b.x. (00:02:07.000) e, vapipkrenk. ȝirikit, margalure do ,onure gi,arTu korTulk /ase ar vpikrob. ȝirikit, megrulidan da svanuridan gamovida kartuli/ (elene gogiberia, Tbilisi).

საინტერესოა თვითიდენტიფიკაციის თვალსაზრისით  
სხვადასხვა ინტერნეტ-ფორუმზე წარმოებული დისკუსიები.  
ამ, რას წერს ერთ-ერთი ფორუმის ([www.forum.ge](http://www.forum.ge)) წევრი:

„არავითარი დიალექტები, სრულყოფილი ენებია. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დღევანდელი ქართული წარმოშვა სწორედ მეგრულ-ჭანური და სვანური ენებისაგან“.

ხანდახან რესპონდენტები საკუთარი მოსაზრების  
დასაბუთებასაც ცდილობენ და საუბარი ერთგვარი მსუბუქი  
პოლემიკის სახეს იღებს (ჩანს ბოლომდე გაუაზრებელი  
შიშიც: ვაითუ მეგრულ-სვანურის კვალიფიცირება ენად  
სახიფათო აღმოჩნდეს სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის):

mu,enda... mudgaren si<sup>°</sup>vepi... saerTo ¾iri, arTi ¾iri,e mours,  
mudgareni si<sup>°</sup>vepi /raï om da... raðac siï vebi... saerto ýiri,  
erti ýiridan modis raðac siï vebi/

23. m.g. (00:01:55.000) ma xolo Ta,i pipkrenk /mec ase vpikrob/

62. L.E. (00:04:59.000) davarkvaT megruls da svanurs enaa Tu  
ra-aaca dialek°i?

63. x.x.. (00:05:09.000) dam'erloba rom ara akvs am enas, enas Tu  
dialek°s?

64. 3.G. (00:05:13.000) dam'erloba bevr enas ara akvs.

90. x.x.. (00:07:09.000) ai, megruli enis dam+vidreba, svanuri  
enis dam+vidreba... ra-ac...

91. L.E. (00:07:16.000) ai, ras? risi ge,inia?

92. x.x. (00:07:18.000) ras da urTierTu-ls, isev  
da'iris'irebas, isev ra-acas xom?

93. L.E. (00:07:20.000) anu, gulisxmob, rom amiT saprTxe  
eekmneba... ras... karTuli saxelm'ipos erTianobas?

94. x.x. (00:07:22.000) karTuli saxelm'ipos erTianobas, xo ai  
imas, ra-ac...? (elene qoqiberia, Tbilisi).

მეგრულ-ლაზურისა და სვანურისთვის სტატუსის  
განმსაზღვრელად შეიძლება მიიჩნიონ ის ფაქტორი, რომ  
ქართული **სახელმწიფო ენა**:

361–362. K.G. (00:28:05.000) *ēi, tkvani azrit, margaluri nina  
reno tu mure? margaluri do ̄eonuri nina reno? /ise,  
tkveni azrit megruli enaa tu ra? megruli da svanuri  
enaa?/*

363. A.I. (00:28:11.000) *̄eonurio? /svanuri?/*

364. ±.G. (00:28:12.000) *̄eonuri do margaluri /svanuri da  
megruli/.*

365. A.I. (00:28:14.000) *tena re ȝutxurenovani isa... /es aris  
ȝutxurenovani isa.../*

371. ±.G. (00:28: 4.000) *mara guruli do margaluri... anu,  
artdoigive reno? /magram guruli da megruli... anu, erti  
da igivea?/*

372. A.I. (00:28:41.000) *arti do igive vare... /erti da igive ar  
aris.../*

373. ±.G. (00:28:43.000) *mu gansxvaveba re? /ra gansxvaveba  
aris?/*

374–375. A.I. (00:28:50.00) *gansxvavebulie, mara īēeni ojatu  
margaluri sīi vepi. u&unuana sodgarenia, breli, breli...  
/gansxvavebulia, magram mainc urevia megruli sīi vebi.  
gamoureven saddac, bevri, bevri.../.*

376–377. L.E. (00:28:55.000) *ase, gurulīen do imerulīen  
tkuana, ȝutxuri mēi veleba, dialek̄i i renia. margaluri  
do ̄eonurīen i muglo ojgo vtkuat? /axla, gurulze da  
imerulze īi vian, ȝutxuri mēi veleba, dialek̄i i ariso.  
megrulze da svanurze rogor unda vtvat?/.*

378. A.I. (00:29:08.000) *ȝutxuri dialek̄i ie, mēi i araperi...  
ȝutxuri dialek̄i i... /ȝutxuri dialek̄i ia, mēi i araperi...  
ȝutxuri dialek̄i i.../*

379. L.E. (00:29:13.000) *dialek̄i ia megrulic da svanuric?*

380. A.I. (00:29:15.000) *ȝi, tavistavad.*

381. L.E. (00:29:19.000) *anu enis ȝvalipiȝacias ar mivcempt,  
ara?*

382. A.I. (00:29:20.000) *ara.*

383. L.E. (00:29:23.000) *rāi om, tkveni azrit?*

384. A.I. (00:29:25.000) sakartvelōei aris ertaderti ena, rogorc saxelmg̃iposi ena - kartuli ena.
385. L.e. (00:29:31.000) saxelmg̃ipo ena.
386. A.I. (00:29:32.000) es kartuli enis s̃gavleba savaldebuloa, imī om rom kartuli sakmisgarmoeba
387. A.I. (00:29:43.000) da es velaperi midis kartul enaze.
- 388-403. L.E. (00:29:46.000) ȝji, magram exla naxet. kartuli aris saxelmg̃ipo ena da, ase rom vtvat, salīi erāi uro enaa, saxelmg̃ipo enaa, s̃gavla-ganatlebis enaa da a.â., da a.â., magram es xom ar nīenavs imas, rom sakartvelōei ar ȫeiýleba i os iseti enebi, romlebic ar aris saxelmg̃ipo ena, s̃gavlebis ena, magram aris mainc ena. magalitad, kurtebs tavianti ena akvt ȝulü urac akvt tavianti ȝulü urac tavianti akvt da velaperi da exla, rogorc aseti, kurtuli ena ar aris saxelmg̃ipo ak ena, magram tavisi gamo enebis tvalsazrisit kurtuli da megruli ar gansxvavdeba ertmanetisagan. imī om rom, kurtebi ȫinaurulad, ertmanetâi urtiertobisa tu laðaraȝisas gamoi eneben am enas, iseve, rogorc megrelebi megruls vi enebt ertmanettan urtiertobāei. saxelmg̃ipo ena, savaldebulo ena im kurtistvisac aris kartuli ena, magram tkveni azrit, mainc sxvadasxva mimarteba aris megrulsa da kartuls ȫoris, vidre kurtulsa da kartuls ȫoris? და ა.შ. (ალექო იოსავა, თბილისი).

საინტერესო და ერთობ სიმპტომაზური ეროვნული იდენტიფიკაციის საკითხთან დაკავშირებული ერთი, შეიძლება ითქვას, კურიოზული ისტორია:

- 101 – 120. M.G. (00:08:16.000 – 00:09:21.000) zogiertepi re, ma magalito, tīenerepi ȝundu, vtvat, sopels ȝlaselepi, xo? a, ma margali vorekȝ do arti gvalo ticali ȝundȝ, margali vorekȝ do margalīei ȝasðorï i miðunia. ȝasðorï i miðunia do, supras voret do zusī as, ȝkimi komonþi xolo tak re do, ȝasðorï i makvso da supraze vart da zusī ad, ȝemi kmaric ak aris da, muþoxonia - uȝu... vadmaþerebenia mutuniâe, muþoxo, munero giðunia margalīei ȝasðorï i? kova - morti devnirzatȝ - muâava

do kacariêa devnirzatia do didis kinjodv<sup>3</sup> ena xolo dudi, muêen da, teê mangarat<sup>3</sup> rd<sup>3</sup> dargmunebuli demuri, "margali" mugo inagaruapunia ðasðorï is? do mogebul mainia, kacars ðilunkiava. geylagijinu e margalk<sup>3</sup> - "margali" inugar<sup>3</sup> ðasðorï iêa. erovneba: margali. dñ, sole miðia boêi, "margali" mik<sup>3</sup> inoigaruua? ena rusetiêa gileêgn<sup>3</sup> peri boêi rd<sup>3</sup> do sodgareni teure dinapili, sabgoê<sup>3</sup> dros, sodgaren<sup>3</sup> dinapils &ope do... kimevrtiava do nacionaloba miguesiani, margalia - vugia. do kinagaruua i yojik<sup>3</sup> - "margali". do giluðudu tena. i upi a rd<sup>3</sup> ti ðasðorï i mudgareni... tis tiê<sup>3</sup> mangarat<sup>3</sup> uðudu ti muêi margaloba.

მეგრელი რომ ეროვნება არ არის, ამაზე არავინ დავობს:

8. b.k. (00:00:48:00:00:55) emdeg gavtxovdi, gavlevi kartvels.  
8. n.p. (00:00:48:00:00:55) megrels.  
10. b.k. (00:00:56:00:01:01) megreli ar ari ra isa... ra kvia...  
11.n.m. (00:01:01:00:01:03) ara, me daton+re°ebit vambob.

12. b.k. (00:01:03:00:01:11) xo, me... a, daton treºebit , ei³aleba ese? ai megrelebi megreloben, magram...
13. n.m. (00:01:11:00:01:12) gasagebia.
- 14-16 .b.k. (00:01:12:00:01:15-00:16:21:00:01:20) es ari tutxuri da... megruli rodis... eºo ne nacionalnosº, megrel. es erovneba ar aris, megreli (ბელა ქერქაძე, დაბა ჯვარი).

ძალიან კარგად ჩანს დამოკიდებულება (და შეფასებაც) იმ ფეხომენის მიმართ, რასაც პასპორტში **მეგრულად ჩაწერა** ჰქვია, – ყოველივე ეს აღქმულია, როგორც საოცარი და დაუჯერებელი რამ.

აქეე შეიძლება მოვიყვანოთ ზემოთ ხსენებულ ინტერნეტ-ფორუმში ([www.forum.ge](http://www.forum.ge)) ჩატარებული ერთგვარი სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგები. ეს მასალა, საზოგადოდ, საინტერესო გვეჩვენა იმ თვალსაზრისით, რომ მისი მონაწილეები არიან აბსოლუტურად გახსნილი რესპონდენტები, ამოფარებული რაღაც ფსევდონიმებს, არც კამერის კომპლექსი აწუხებთ და არც უცხო ადამიანთან უშუალო კონტაქტის გამო ექმნებათ ბუნებრივი უხერხეულობა. ცხადია, სწორედ ამ თავისუფლების გამო (ხშირად ასაკის გამოც) ფორუმების მნელად თუ მოსთხოვ აკადემიურობასა და კორექტულობას, ვერც დიდი განსწავლულობითა და საკითხის სიღრმეში ჩახედულობით გამოირჩევა უმრავლესობა, მაგრამ წარმოდგენა მაინც გვექმნება მათს პოზიციასა და განწყობაზე (როგორც თვითიდენტიფიკაციის, ასევე პეტეროიდენტიფიკაციის თვალსაზრისით).

„გთხოვთ, პოლიტიკაში ნუ გადაიჭრებით..., -  
აფრთხილებს საინსტრუქციო შესავალ ნაწილში  
ინიციატივის ავტორი ფორუმელებს, - კითხვა არ ეხება  
მეგრულის პოლიტიკურ სტატუსს, ანუ არც პირდაპირ და  
არც შეფარვით არ გეკითხებით თქვენს აზრს იმასთან  
დაკავშირებით, უნდა ქონდეს თუ არა მეგრულს ან სვანურს  
რაიმე ოფიციალური სტატუსი, მაგალითად, გამოცხადდეს  
რეგიონალურ ენად.... ეს არ არის ამ თემის მიზანი....

არა, მიზანი არის გაირკვეს, როგორ აღიქვამებ მეგრულს  
საქართველოს მოქალაქეები და თუ განვაზოგადებთ ამ  
პასუხებს, რამდენად მოქმედებს კონკრეტული  
საკითხისადმი ადამიანის დამოკიდებულებაზე მისი  
წარმოშობა. არ ვიცი თქვენ როგორ, მაგრამ მე მეტად  
საინტერესოდ მეჩვენება ეს საკითხი... თან საქართველოში  
საკმაოდ აქტუალური კითხვაა....

ერთგვარი სოციოლოგიური პლევის მაგვარი რამე  
გამოდის... იმ მხრივაც არის საინტერესო ეს კითხვა, რომ  
გაირკვევა, უმრავლესობას რაც გონია საქართველოს ერთ  
კუთხეში და სახელმწიფოს პოზიცია რაც არის, ის თუ  
ემთხვევა ერთმანეთს...“

**როგორ ფიქრობთ, მეგრული ენაა თუ დიალექტი?**

1. მეგრული არის ენა (მეგრელი გარ) [ 30 ]  
[23.81%]
2. მეგრული არის ენა (არ გარ მეგრელი) [ 28 ]  
[22.22%]

3. მეგრული დიალექტია (მეგრელი ვარ) [ 18 ]  
**[14.29%]**
4. მეგრული დიალექტია (არ ვარ მეგრელი) [ 41 ]  
**[32.54%]**
5. არ ვიცი. [ 9 ] [7.14%]

**Total Votes: 126**

„რა მნიშვნელობა აქვს, მეგრელი ხარ თუ არა?“ – კითხვა უჩნდება მავანს და პასუხიც თითქოს ლოგიკური მოსდევს:

„ის მნიშვნელობა აქვს, რომ, სავარაუდოდ მეგრელები სუბიექტურნი იქნებიან ამ საკითხში და თავიანთ დიალექტს ენას დაარქმევენ. ასე რომ, მგონი საჭიროა სუბიექტური და შედარებით სხვა მიზეზებით წარმოშობილი შეხედულებების და პოზიციის გამიჯვნა“.

როგორც გამოკითხვის სქემიდან ჩანს, მთლად ასევც არ ყოფილა საქმე (თუმცა ამ ფაქტორის გათვალისწინება ნამდვილად არ იყო ზედმეტი), საკითხი „გადაწყდა“ იმ შეხედულების სასარგებლოდ (მინიმალური ანგარიშით – 59:58, შვიდმა თავი შეიკავა), რომელიც თვლის, რომ მეგრული არის დიალექტი.

ამ გამოკითხვაში ნამდვილად საინტერესოა ერთი დეტალი: სათანადო სტატუსის მინიჭებისას მეგრელი-არამეგრელის ფაქტორი პრაქტიკულად არ მუშაობდა (ყოველ შემთხვევაში ისე, როგორც იდეის აგტორი შიშობდა): 58 კაციდან, ვინც მიიჩნევს, რომ მეგრული ენაა,

28 არამეგრელი იყო, ხოლო საპირისპირო აზრის მქონე 59 ადამიანიდან 18 მეგრელი იყო (თვითოდენტიფიკაცია!).

ამგვარი გამოკითხვის რაციონალურობაში ეჭვი გამოითქვა: „იქნებ გამოკითხვა ლინგვისტებში მოგვეწყო? აქ რა აზრი აქვს, გარდა იმისა, რომ მოხდება დასკვნების პოლიტიზირება და ერთმანეთის დაპირისპირება? კომპეტენტურმა ხალხმა თქვას თავისი აზრი. პირადად ჩემთვის რა დადგინდება - „ენაა თუ დიალექტი“ - ამით აბსოლუტურად არაფერი შეიცვლება“.

საერთოდ, თემა – **მეგრულ-ლაზური და სვანური ენებია თუ დიალექტები** – ძალიან პოპულარულია სხვადასხვა ტიპის ფორუმში. ბუნებრივია, პასუხების დიაპაზონიც ვერ იქნება ფართო, – ნაწილი მიიჩნევს, რომ ესენი ენებია, მეორე ნაწილის აზრით კი - დიალექტებია. ერთია, რომ პოლემიკა არცოუ იშვიათად არასასურველი მიმართულებით ვითარდება, რასაც შემდგომ თემის დახურვა მოსდევს....

აქცენტი მაინც, როგორც წესი, მეგრულზე კეთდება. ერთ-ერთი ფორუმელის განცხადებით, „ვინც იძახის, რომ მეგრული მხოლოდ დიალექტია, ამ საკითხს მხოლოდ პოლიტიკური კუთხით უყურებს! სეპარატიზმის შიშით სიმართლის უგულებელყოფა და, მით უმეტეს, მისი დევნა, ერთიანობას ვერ განამტკიცებს! სიმტკიცე სიმართლეშია! მეგრული არის ენა!“ მას ასევე აინტერესებს, „რატომ ჩნდება ყოველთვის კითხვა სამეგრელოს სეპარატიზმზე? სად და რაში ხედავთ მას? რატო ვერ იშორებთ შიშის ამ

ლანდს?“ – მიმართავს იგი ოპონენტებს, უკვირს, რატომ აღიქვამებ „მეგრულის ენად აღიარებას საქართველოს მთლიანობისათვის საფრთხედ“, მოითხოვს არგუმენტაციას: „თუ მართლაც ასე ფიქრობ, იქნებ დაასაბუთო ეს კავშირი ამ ორ მოვლენას შორის. თანაც გაითვალისწინე, რომ საფრთხეს ტყუილი ქმნის და არა სიმართლე...“; მისი აზრით, „ვინც მეგრულს დიალექტად აცხადებს, ის აბუნტებს მეგრულობას და ნერგავს მათში საშიშ სეპარატიზმს!“.

„მეგრული არის ენა! მაგრამ წინააღმდეგი ვარ, ისწავლებოდეს სკოლებში, ითარგმნებოდეს ბიბლია მეგრულად და ა.შ. ისე, ვეფხისტყაოსანი მეგრულად უკვე დიდი ხანია არსებობს“, – აცხადებს მაგანი.

ზოგი ფორუმელი პატიოსნად სწავლობდა, რასაც ასწავლიდნენ:

„იმის თქმა, რომ მეგრული არ არის ენა, არ მიმაჩნია სწორად. დიდი ხანია, ქართველი ლინგვისტები და ქართველოლოგები შეთანხმდნენ იმ საკითხზე, რომ მეგრული და სვანური არიან ენები და, ქართულთან ერთად წარმოადგენენ ქართველურ ენათა ოჯახს. ასე ვისწავლე მეც“.

ასეც ხდება: სხვა რამეს ასწავლიდნენ და ახლა თურმე სულ სხვა რამეს ამტკიცებენ მათი მასწავლებლები:

„...ჩემი ლექტორი... ძალიან ნიჭიერი ენაომეცნიერია, რომლისგანაც ვისწავლე, რომ მეგრული არის ენა. ეხლა კი

საწინააღმდეგოს ამბობსო, ასე მითხვეს... რა ვიცი, იქნებ არაა მართალი, მარა მე არა მგონია, რომ ტყუილით შეიძლება კარგი საქმის დაცვა. ეს არის და ეს“.

სხვა ფორუმელისთვისაც უსწავლებიათ, რომ მეგრული ენაა, მაგრამ ამის აღიარება მას სახიფათოდ ეჩვენება: „მეგრულიც მთელი ცხოვრებაა მესმის, ასე თუ ისე ვსაუბრობ და რატომდაც არასოდეს თავში აზრად არ მომსვლია იმაზე ფიქრი, ენაა მეგრული თუ არა, მერე ჩემმა შესანიშნავმა პედაგოგმა აგვისნა, რომ მეგრული ენაა, მაგრამ რაღაც განსაკუთრებული, საშინაო ენის მსგავსი, როგორც ბასკური. ცოტა ხნის წინ ერთ ბასკონა (საფრანგეთიდან) საუბრისას მანაც ასე თქვა ბასკურზე, საშინაო ენაო, მაგრამ ვიბრძებით იმისთვის, რომ სტატუსი ავუწიოთო... ისინი სერიოზულად მუშაობენ ამაზე. მე მგონია, დღვენდელ სიტუაციაში იმის მტკიცება, რომ მეგრული დამოუკიდებელი და სრულფასოვანი ენაა, სახიფათოა, სხვა თუ არაფერი, იმიტომ, რომ მეგრელებში ყოველთვის გამოჩნდება ვიდაცა "განმანათლებელი", რომელიც "ბნელ" ხალხს "აუხსნის" რაღაცებს და სრულიად რეალურია აფხაზეთის პრეცედენტი გამეორდეს, ხალხში ეს იგრძნობა და ძალიან მეშინია“.

მაგანს ეშინია: „მალე დამწერლობას მოიგონებენ და გავლენ საქართველოდანო“.

ასეთსავე „პოლიტიკურ წინდახედულებას“ იჩენს მეორეც: „საერთო ქართველური ენიდან წამოვიდა სამი დიალექტი.

1. სვანური

2. ზანური

3. ქართის ენა (დღევანდელი ლიტერატურული ქართული) მეგრული ზანური ენის დიალექტია!!!

რა ცალკე ენები სალხო!!!! ენა არის ერის დამახასიათებელი ერთ-ერთი ნიშანი, ჩვენ რომ ვაღიაროთ ზანური და სვანური ენებად, ცოტა სანში მოგვიწევს სალხებადაც აღიარება... ეგლა გვინდა ჩვენ ზუსტად რა...“.

ზოგს მეგრულისთვის ენის სტატუსის მინიჭება მისი სახელმწიფო ენად გამოცხადება ჰგონია: „მეგრული ენა არასდროს არ გახდება სახელმწიფო ენა და ტყუილად წყლის ნაყვას ჯობია უფრო სერიოზულ რაღაცემზე იმუშავოთ, ისეთი, როგორიცაა მეგრული ენის და კუტურის ფონდის გადარჩენაზე“.

ერთ-ერთი ფორუმელი დილეტანტების ზერელე განცხადებებს აუღელვებია და მათი „განათლება“ მოუწადინებია, როგორც ჩანს, პროფესიონალ ლინგვისტს:

„ამდენი ხანია, თვალს ვადევნებ ფორუმში საოცარ წიობს, რაც მეგრული ენის (ერთხელ და სამუდამოდ შევთანხმდეთ, რომ მეგრული და ლაზური ზანური ენის დიალექტებია! - იფიქრეთ კარგად ამაზე და არა მხოლოდ წმინდა ლინგვისტური კრიტერიუმების გათვალისწინებით, პოლიტიკური თვალსაზრისითაც ფრიად მოგებიანი რომ არის ეს ხედვა - დამეთანხმებით, იმედია) „გადარჩენას“ თუ სეპარატისტული საფრთხის გამოწვევას ეხება... ფაქტია,

რომ ვერავინ ვერავის შეაცვლევინა თვალსაზრისი. ერთხელ, ადრე, განვაცხადე ფორუმზე, რომ ამ თემით მანიპულირება გაცილებით მავნე შედეგებს მოიტანს-მეთქი, ვიდრე ის, რომ საქმით სპეციალისტები დაკავდნენ... ტყუილით კარგ საქმეს ვერ გააკეთებ!.. მოდი, ვცადოთ კომპეტენტური ლინგვისტების მობილიზება (თუნდაც აქ - ფორუმზე; ყველას გამოვათქმევინოთ აზრი და დარწმუნდებით, რომ ორიოდე პროვოკატორისა და თაღლითის (მეცნიერებაშიც „მოსულა“ თადღლითობა) გარდა, ქართულ ენათმეცნიერებას არასოდეს სხვანაირად არც უფიქრია: მეგრულ-ლაზური და სვანური, ისევე, როგორც ქართული, ქართველური ენებია... ეს დებულება, თავისთავად, „სეპარატისული“ არ არის... სხვა საქმეა წამოწყებული კამპანია, თითქოს ის, ვინც მეგრულ-ლაზურსა და სვანურს ენებად მიიჩნევენ - სამეგრელოსა და სვანეთის საქართველოდან გამოყოფას ქადაგებს... ერთხელ და სამუდამოდ ზღვარი გავავლოთ მეცნიერებასა და პოლიტიკას შორის!.. მოკლედ, წყლის ნაყვაა დილეტანტებთან ამ თემაზე სერიოზული სჯა-ბასი: კიდევ ერთხელ ვთავაზობ ყველას, ფორუმზე მოვაწყოთ ლინგვისტთა პაქტორება და მათ გვითხრან სათქმელი!“

არ ვიციო, შედგება თუ არა ლინგვისტთა პაქტორებაზე ფორუმზე, მაგრამ ფაქტია: „რაც შეეხება, ენაა თუ დიალექტი, რომ მაგას პოლიტიკურ სტატუსთან არანაირი კავშირი არ აქვს, არ უნდა ბევრი მტკიცება (ბევრი

დიალექტი ქცეულა სახელმწიფო ენად და ბევრ ენას კი სახელმწიფო ენის სტატუსი არ გააჩნია). უბრალოდ, უკეთ რომ გაერკვეთ საკუთარ საკომუნიკაციო საშუალებასა და მის ნათესაურ კავშირებში, ანუ საკუთარი თავი უკეთ რომ შეიცნოთ, ენა/დიალექტის საკითხზეც მოგიწევთ დაფიქრება“.

მართებული დაკვირვება-შეფასებაა: „დიალექტები არანაირად არაა მეგრული და სვანური. მეგრულზე კი შეიძლება ოქას კაცმა, რომ ზანურის დიალექტია. მაგრამ არცერთი მათგანი არ არის ქართული ენის დიალექტი. ზოგიერთი, ვითომ ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე მათ დიალექტებს უწოდებს, რაც მეცნიერულად არ არის გამართლებული. მათ უბრალოდ ეშინიათ, რომ თუ მეგრული და სვანური ცალკე ენებად გამოცხადდება, და ეს სეპარატიზმს წარმოშობს... რა სისულელეა!“

ეს ახლახან „აღმოუჩინეს“ მეგრელ-ლაზებსა და სვანებს, რომ ისინი ქართულის დიალექტზე ლაპარაკობენ, – თითქოს, ამით უნდობლობა კი არ გამოუცხადეს მათ, უბრალოდ, გზა მოუჭრეს სეპარატიზმისკენ. მალიან ნიშანდობლივია ერთ-ერთი ფორუმელის კატეგორიული განცხადება: „რაც შეეხება ენათმეცნიერებს, მე მწამს, რომ მათ ის უნდა ამზადონ, რაც საქართველოსათვის იქნება სასარგებლო!“.

კვლევისას შეიძლება პატიოსანმა მეცნიერმა შეცდომები დაუშვას, არასწორი გზით წავიდეს, მაგრამ მის კვლევას

მაინც შეიძლება პქონდეს გარკვეული ღირებულება, – განსხვავებით იმ შემთხვევისაგან, როდესაც ჯერ დებულებები (სლოგანები) და დასკვნები იწერება და მერე იწყება „პვლევა“.

ფაქტია, რომ მეგრელ-სვანებიც ისეთივე მემკვიდრეები და შემოქმედნი არიან ქართული კულტურისა, როგორც დანარჩენი კუთხის წარმომადგენლები, – არც ამ ნიადაგზე აქვთ მათ არასრულფასოვნების კომპლექსი („ძალიან კარგია, რომ მეგრელებიც, სვანებიც ქართულად ქმნიდნენ თავიანთ შემოქმედებას“, – აცხადებს ერთ-ერთი ფორუმელი); სწორედ აქ ხედავენ ყველაზე დიდ „საშიშროებას“, რის გამოც საჭიროა მეგრულის კილოდ გამოცხადება(?!), ის, რომ ამ ბოლო დროს მაგანთა გააქტიურებული მთარგმნელობითი ოუ ორიგინალური შემოქმედებითი მუშაობა მეგრულ-სვანურ „დიალექტზე“ მიმდინარეობს, ბევრს აღიზიანებს („ვეფხისტყაოსანი“ რომ გამოუშვეს მეგრულად, ამაზე ძალიან გავბრაზდი“), მაგან ფორუმელს კი ეს დიდ უსაქმურობად მიაჩნია: „ხალხნო, ჯობია სხვა უფრო სერიოზულ საქმეს მიყოთ ხელი, ვიდრე ბიბლიის მეგრულად თარგმნა... უბრალოდ ძალიან დიდ უსაქმურობად მეჩვენება ბიბლიის მეგრულად თარგმნა... ვიდაცამ რო თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“ მეგრულად, რა მერე მაგით, ვინმე კითხულობს ან იყენებს რამეში? არ ვამბობ არაფერს ლექსიკონებზე და გრამატიკაზე, რადგან ეს ჩვეულებრივი სამეცნიერო ნაშრომია ენათმეცნიერებაში,

რომელიც გამოყენებას მხოლოდ ძალიან ვიწრო წრეში პოულობს. კაცს საქმე გამოელია და რაღაცას აკეთებდაო, ზუსტად ამაზეა ნათქვამი...“;

არის ასეთი პოზიციაც: „ან რა საჭიროა მეგრულიად თარგმნილი ბიბლია? რატომაც არა? ყველა ენაზე თარგმნეს უკვე და იყოს“.

ძნელია არ დაეთანხმო გულწრფელ სიტყვებს: „ზოგი ენებად თვლის, ზოგი არა და დავანებოთ რა თავი. მთავარია რო ყველა საქართველოს შვილები ვართ და ერთ ქვეყანაში ვცხოვრობთ“.

ან ამას: „განსხვავება არსებობს საქართველოს ყველა კუთხეს შორის. ეს მათ ურთიერთნათესაობას არ არღვევს. საქართველო არის ქართველების, ანუ კახელების, მეგრელების, გურულების და ა.შ. ერთად ყოფნის სურვილი და ლოგიკური ერთობა. მისი კუთხეების მრავალფეროვნება მისი სიმდიდრეა“.

ფორუმელთა „წყლის ნაყვაში“ მაინც იკვეთება ისეთი საკითხი, რაშიც შეთანხმება არ ჭირს: ენაა თუ დიალექტი, მეგრულ-ლაზურსა და სვანურს მზრუნველი პატრონი სჭირდება (ისევე, როგორც თავად ქართულს: „თუკი იმას გავიძახით, რომ გლობალიზაციის პირობებში ისეთი დიდი ლიტერატურული ტრადიციის მქონე ენას, როგორიც ქართულია, გადაგვარება ან სულაც გაქრობა ემუქრება, მეგრული რა წითელი კვერცხია? მითუმეტეს, არავითარი

მექანიზმები არ არსებობს იმისთვის, რომ ეს ენა მის დღეგანდელ ფარგლებში მაინც შენარჩუნდეს“):

„საჭიროა, რომ განვაცხადოთ: მეგრული არის ენა, ქართველური ენა, ისევე, როგორც სვანური. ეს არის ლამაზი ენა, რომელსაც სჭირდება შენახვა და მოფრთხილება“;

„მე საერთოდ არა ვარ მეგრული, მაგრამ მიმაჩნია რომ მეგრული ენა საქართველოსთვის დიდი სიმდიდრეა და არ უნდა დაიკარგოს“.

ქართველური ენების გადარჩენის ერთ-ერთ გზად მავან ფორუმელს მათი სკოლაში სწავლება მიაჩნია, სპეციალური გამოკითხვაც მოუწყვია. პასუხები ზოგადად ამ ტიპისაა:

„მეგრული ენა! მაგრამ მეგრულად იოანეს სახარებას თარგმნა არ არის საჭირო. სკოლებში სწავლება შეიძლება, მაგრამ არა ისე, რომ ქართული უცხო ენასავით იყოს! მაგრამ მეგრული მაინც ენაა;

მეგრული არის ენა! მაგრამ წინააღმდეგი ვარ ისწავლებოდეს სკოლებში, ითარგმნებოდეს ბიბლია მეგრულად და ა.შ. ისე ვეფხისტყაოსანი მეგრულად უკვე დიდი ხანია არსებობს....“

გამოკითხვის შედეგები კი მთლიანობაში ასეთია ასეთია:

უნდა ისწავლებოდეს თუ არა საგანი "ქართველური ენები" სკოლაში?

1. უნდა ისწავლებოდეს [ 50 ] [48.54%];

2. არ უნდა ისწავლებოდეს [ 43 ] [41.75%];

3. მიქირს პასუხის გაცემა [ 10 ] [9.71%].

ამ სახის კითხვა ჩვენს რესპონდენტებსაც დავუსვით:

166. L.E. (0:11:43.000) *sjolaēi* rom i os, vtvat raðacis  
saxit, megrulis *sgavleba*, svanuris *sgavleba*?  
167. G.P. (0:11:51.000) me, magalitad, ara var amisi...  
168. L.E (0:11:54.000) momxre?  
169. G.P. (0:11:55.000) momxre namdvilad ara var, megruli da  
svanuri... es ubralod, adamians tu akvs, exla,  
sakartveloēi vcxovrobt da ar aris ðroblema *gaxvide*  
da coī a xani da icxovro, xalxi sazðvargaret dadis...  
inglisursa da imas *sgavlobs*. visac akvs survili,  
survilisamebr *isgavlon...*  
180. L.E. (0:12:32.000) da *êesabamisad*, *saēiêroeba* ar  
emukreba e.i. megruls, rom xval da zeg... ai, 21-e  
*sauȝunea* da...  
182. G.P. (0:12:42.000) da rom daiviȝ on?  
183. L.E (0:12:42.000) xo...  
184. G.P. (0:12:43.000) ara mgonia, ðirikit, axla *sgavloben*  
megruls, bevri *sgavlobs* (*ȝos*, *ȝaðhþoðj*, *thð.*, *þjȝ*).  
*þlendaðm*).

მთლიანობაში, მეგრულის პერსპექტივასთან  
დაკავშირებით ოპტიმიზმი ჩანს:

„მეგრული ენა არ დაიღუპება არასდროს, თუ ხარ სამეგრელოში ნამყოფი მაშინ ნახავ იქ, რომ ქართულად არავინ ლაპარაკობს და ბევრმა ლაპარაკიც არ იცის ქართულად (მაგალითები ამ ფორუმზეც უამრავია). ამიტომ მეგრულ ენას გადაშენება ნამდვილად არ ემუქრება...“

„ისე კი სიმართლე რომ გითხრათ სულაც არ ვფიქრობ რომ მეგრული ენა რაიმე საფრთხე ემუქრება.... მიუხედავად იმისა რომ დღეს [განსხვავებით წინა საუკუნეებისა] 99.9%

მეგრელმა ქართული კარგად იცის. ამ ფაქტმა სულაც არ შექმნა საფრთხე რომ მეგრული დავიწყებოდა ხალხს...“

აღსანიშნავია, რომ სოციოლინგვისტურ კითხვარში, რომელიც ქართველური ენების ჯგუფის წევრებმა აწარმოეს, გამოკითხულთა 92 %-მა, მიუხედავად იმისა, პირველ ენად ქართულს აღიარებს თუ მეგრულ-ლაზურს / სვანურს, გამოოქმდა სურვილი, მათმა შვილებმა იცოდნენ (ისწავლონ) თავიანთი კუთხური ენა (დასმული იყო შეკითხვა: როგორ ფიქრობთ, საჭიროა, რომ თქვენმა შვილებმა იცოდნენ მეგრულ-ლაზური / სვანური ენა?).

დროთა განმავლობაში, ბუნებრივია, იცვლებოდა და იცვლება ენობრივი სიტუაცია. საუკუნეების წინ ქართული ენა მეგრელი საზოგადოების დაბალი სოციალური წრის წარმომადგენლებმა, პრაქტიკულად, ძირითადად ეკლესიის მეშვეობით იცოდა, ქართული იყო რელიგიის ენა და ამდენად ქართველური ტომების ენობრივად შემკვრედ-მაკონსოლიდირებულის ფუნქციაც ეკისრებოდა – ამდენად, არ შეიძლება იმის თქმა, რომ მეგრელმა გლეხმა საუკუნეების წინ ქართული საერთოდ არ იცოდა, იმიტომ რომ არ სჭირდებოდა... იგი არ იყო მოწმვეტილი საერთოქართულ რეალობას, ეროვნულ ფესვებს. ერთიცაა, რომ წერა-კითხვის პრობლემა მეოცე საუკუნეშიც გადმოჰყვა სრულიად საქართველოს (და არა მხოლოდ სამეგრელოს თუ სვანეთს).

მაგრამ ქართული მისოვის არ იყო უცხო ენა (თუნდაც ისეთი, როგორიც იყო რუსული, რომელიც მას ქართულზე ინტენსიურად ესმოდა, მაგალითად, XIX საუკუნეში), ადრეც

და დღესაც კლასიფიცირდება, როგორც **მეორე ენა** („მეორე მშობლიური ენა“ – როგორც ხშირად ახდენენ რესპონძენტები სახელდებას):

ხშირად ხაზი ესმევა იმ გარემოებას, რომ  
ქართულენოვან ადამიანს არ უჭირს მეგრულის სწავლა, –  
ბელა ქერქაძეს, სათანადო ენობრივ გარემოცვაში  
აღმოჩენისას, მეგრულის ადსაქმელად სულ რადაც სამი  
ოჯე დასჭირდა:

18-23. b..k. (00:01:22:00:01:30)-(00:01:56:00:01:59) megruli visavle, ro gavtxovdi, ese igi, ert sam tve.i. <sup>^</sup>emma meu-lem <sup>^</sup>amomi <sup>¶</sup>vana... |amovedit <sup>^</sup>ven engurgesze samu,aod aket, <sup>°</sup>var.i. ak cxovrobda <sup>^</sup>emi meu-lis bebia, romelic la'aratobda megrulad, kartuli ar icoda da ik me samezoblo <sup>¶</sup>vela megrulad la'aratobda da i<sup>3</sup>rulebuli vi<sup>¶</sup>avi mesavla megruli. sam tve.i utve absolu<sup>°</sup>urad <sup>¶</sup>velaperi mesmoda.

la'arati rodis dai<sup>¶</sup>et?

25-28. b..k. (00:02:00:00:02:08-00:02:22:00:02:32) la'arati davi<sup>¶</sup>e... ma,inatac davi<sup>¶</sup>e la'arati, magram, rogor vtvka exla, gamartulad da imad ver vla'arat...obdi, ese igi, mo<sup>°</sup>exili megruli. nu exla, kartvelebsa akvt eseti isa, ro dacinian, gaige? magram me ar vi<sup>¶</sup>avi... rogor gitxra... nu ne abra, <sup>^</sup>ala vnimanie na e<sup>°</sup>o.

xo, mainc la'aratobdit.

30. b.k. (00:02:33:00:02:37) xo, mainc vla'aratobdi da mere upro gamartulad.

31. b.k.(00:02:37:00:02:44) ert |eli|ad.i utve normalurad vicodi megruli (ბელა ქერქაძე, დაბა ჯვარი).

ენობრივი სიტუაცია სამეგრელოში თუნდაც რამდენიმე ათეულის წინ იყო საქმაოდ განსხვავებული დღევან-დელისგან – ტენდენცია აშკარად ქართული ენის სასარგე-ბლოდ განვითარდა.

## 7. სოციოლინგვისტური პითხვარების ანალიზი

კითხვარებში, რომლებიც გამოიყენება სოციოლინგვისტური აღწერისას, ენობრივ საკითხებზე დასმული შეკითხვები, როგორც წესი, ფოკუსირებულია, ერთი მხრივ, მშობლიურ ენაზე, მეორე მხრივ - ყოველდღიურად გამოყენებულ ენაზე (სახლში, სახლს გარეთ); ენაზე, რომელზეც ლაპარაკობენ სკოლაში ან სამსახურში და ა. შ. (მეტწილად - სახელმწიფო ენა); ძალიან მცირე აღწერა მოიძებნება, რომელთა კითხვარებში შესულია ისეთი კითხვები, რომ გამოავლინოს იმ ენების შესახებ სრულყოფილი ინფორმაცია, რომლებსაც რესპონდენტი ფლობს. გვიქრობთ, ამ მხრივ კითხვარი, რომელიც ჩვენი ჯგუფის მიერ შემუშავდა, საკმაოდ ინფორმატიულია.

კითხვარებში უნდა იყოს ადგილი, სადაც რესპონდენტი ასახავს უფრო მეტ ინფორმაციას და კითხვა არ უნდა შეიცავდეს მხოლოდ ერთ პასუხს არამედ საშუალებას იძლეოდეს პასუხების მრავალფეროვნებისათვის და, შესაბამისად, ენობრივი ფუნქციების მრავალფეროვნების ასახვისთვის. (განსაკუთრებით ამა თუ იმ ჯგუფისადმი პიროვნების ასოცირების მრავალფეროვნებასთან მიმართებით).

ეს სტატისტიკური ჩვეულება გვხვდება სტატისტიკური დათვლის პროცესშიც; მაგალითად, სტატისტიკის მისა-

დებად ამა თუ იმ რეგიონში ენობრივი უმცირესობების რაოდენობის მისაღებად გამოიყენება შემდეგი ტენდენცია: ენობრივი უმცირესობების იდენტიფიკაცია ხდება მხოლოდ ერთი ენის მეშვეობით, ანუ მშობლიური ენის მეშვეობით, იდენტიფიკაცია ხდება ამ ენის მეშვეობით და სტატისტიკა არ იძლევა არანაირ ინფორმაციას ამ პირის მიერ თვით მშობლიური ენის ფლობის დონის შესახებ; ისევე, როგორც ის, თუ რა დანიშნულებით, რომელ სფეროებში ხდება ამ ენის გამოყენება. სამწუხარო რეალობაა, რომ ერთი ენის საშუალებით იდენტიფიკაციის მიდგომა დომინანტურია საზოგადოებათა უმრავლესობაში. შესაბამისად, ამ ტიპის დევექტი გხვდება სოციოლინგვისტურ კვლევებშიც.

მაგალითად შეგვიძლია ავილოთ ფრიული გენეტი გიულიას (ჩრდილო-აღმოსავლეთი იტალია) მაგალითი: მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს არავითარი ოფიციალური მონაცემი იმის შესახებ, თუ რამდენი მოსახლე ლაპარაკობს ამ რეგიონში სხვადასხვა ენაზე, გამოთვლილია, რომ იტალიურად მოლაპარაკე მოსახლეობა შეადგენს რეგიონის უმრავლესობას – **52 %**-ს. შემდგომ მოდის ფრიულურ ენაზე მოლაპარაკე მოსახლეობის რაოდენობა (526 000 პირი)... სლოვენიურად მოლაპარაკეები წარმოადგენენ 56 000 ადამიანს. მთლიანობაში ამ ავტონომიური რეგიონის მოსახლეობის 43 % ლაპარაკობს ფრიულურ ენაზე, რაც მათ მშობლიურ ენას წარმოადგენს ; მხოლოდ 4 % საუბრობს სლოვენიურ, 53 % იტალიურ და 0.4 % გერმანულად.

მიუხედავად ამ მონაცემებისა, სტატისტიკა არაფერს გვეუბნება, რამდენი იტალიურად მოლაპარაკე ადამიანი საუბრობს ამასთანავე, ფრიულურ ენაზეც; ან სლოვენიურად მოლაპარაკე თუ საუბრობს აგრეთვე იტალიურად ან ფრიულურად.

ამ მონაცემებში საერთოდ არ არის განმარტებული, რას ნიშნავს ცნება „საუბრობს“. მიუხედავად იმისა, რომ ამ სიტყვის განმარტება საკმაოდ მნიშვნელოვანია ყველა კვლევის ანალიზისთვის და ალბათ დეტალურმა ქვლევებმა უნდა მოახდინონ ამ სიტყვის განმარტება. რაოდენობრივი კლასიფიკაცია არ არის დაზღვეული ცდომილებისაგან, როდესაც ახდენს ერთი ენის საფუძველზე გარკვეული კულტურული ჯგუფისადმი ინდიკიდის მიკუთვნებას, განსაკუთრებით, თუკი ეს კლასიფიკაცია არ არის ძალიან ზუსტად და ფრთხილად შესრულებული (ჟ. ბეკო, 2008, გვ. 30)

ინდიკიდის მრავალენოვანი რეპერტუარი შედგება სხვადასხვა ენისგან, რომელთაც ის დაეუფლება სხვადასხვა გზით (ბავშვობაში, სწავლებით, დამოუკიდებელი სწავლით და ა. შ.) და ამ პროცესში ის დაეუფლა სხვადასხვა უნარს (ზეპირმეტყველება, კითხვა, წერა და ა. შ.) სხვადასხვა დონეზე. ამ ენებს შეიძლება პქონდეთ სხვადასხვა ფუნქცია და დანიშნულება; მაგალითად, ოჯახის შიგნით კომუნიკაციის, მეზობლებთან სოციალიზაციის, სწავლის პროცესებში თუ სამსახურში... ენა წარმოადგენს საფუძველს, რომელიც ადუდაბებს გარკვეულ ჯგუფს კულტუ-

რული მახასიათებლების მიხედვით საიდენტიფიკაციო ენის გარშემო. ენობრივი რეპერტუარი განსხვავებულია: ზოგიერთ ჯგუფს გააჩნია იდენტური ენობრივი რეპერტუარი, რაც განპირობებულია ისტორიული თუ გეოგრაფიული მიზეზებით და ენობრივი რეპერტუარიდან ინდივიდი ირჩევს რომელიმე ერთს, სიმბოლურ ენას, რომლის გარშემოც ყალიბდება ჯგუფი, თუმცა, ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშავს, რომ ენობრივ რეპერტუარში შემავალ სხვა ენებს კარგავს. ხდება სხვა ენების შენიდბულად ან თვითცენზურით გამოყენება, ანუ არ ხდება ამ ენებთან ინდივიდის თვითიდენტიფიკაცია; თუმცა ხდება ამ ენების გარემოებებიდან და სიტუაციიდან გამომდინარე გამოყენება (9.34).

საიდენტიფიკაციო ენის თვალსაზრისით ძალიან საინტერესო სურათს გვიჩვენებს ქართველოლოგიური ჯგუფის კითხვარი; ზემოთ აღნიშნული მრავალფეროვნების (სხვადასხვა ენის ფლობის თვალსაზრისით) წარმოსაჩენად: პირველი, ასე ვთქვათ, „სტანდარტული“ კითხვა დასმულია ამ სახით:

„რომელ ენაზე / ენებზე მეტყველებთ?“.

დასმულ კითხვაზე 1189 პირმა გასცა პასუხი. მათგან მონოლინგვად წარმოადგინა თავი მხოლოდ 7-მა პროცენტმა (87 რესპონდენტი: 81 – ქართული, 4 – მეგრულ-ლაზური, 1 - სვანური). ორ (და მეტ) ენოვნად ყველა დანარჩენმა (53 % - 630 რესპ. – ქართული და მეგრულ-ლაზური; 28 % - 331 რესპ. – ქართული და სვანური, 6, 5 % - 77 რესპონდენტი

ფლობს სამსავე ქართველურ ენას). აღსანიშნავია, რომ რუსული მეორე ენად აისახება 45 რესპონდენტის პასუხებში (ძირითადად, ქართულ-რუსული ენების ფლობა დასტურდება).

„მესამე“ ენად, როგორც მოსალოდნელია, ჭარბობს რუსული: 664 რესპონდენტი; სხვა ენებიდან გვხვდება ინგლისური, გერმანული, თურქული, ბერძნული, ფრანგული, ესპანური, აფხაზური, აზერბაიჯანული, ოსური).

წარმოდგენილი სურათით ძნელია იმაზე მსჯელობა, თუ რა დონეზე ფლობს რესპონდენტი ამა თუ იმ ენას (მაგალითად, იყენებს თუ არა დასახელებულ ენებს ყოველდღიურ ცხოვრებაში; ზეპირმეტყველების სფეროში გამოიყენება ეს ენები, ოფიციალური ურთიერთობის ენაა და ა. შ. – ამ პასუხებით ვერ აღიწერება); თუმცა, კარგად აისახება იმ ენათა ჩამონათვალი, რომელთაც რესპონდენტები ფლობენ თვითიდენტიფიკაციის ენის („სიმბოლური ენის“) გარდა. გარდა ამისა, შესაძლებელია საუბარი „სიმბოლურ ენასთან“ იდენტიფიცირების თვალსაზრისით გამოვლენილ ტენდენციებზე: არსებითი მაინც ის არის, რომ რესპონდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა იმ ენად, რომელზეც „საუბრობს“, ასახელებს ქართულს (მხოლოდ 5 რესპონდენტი ვერ ფლობს მას).

ბუნებრივია, რეალური ვითარების დასაზუტებლად საჭირო გახდებათ „საკონტროლო“, დამაზუსტებელი კითხვების დასმა (მაგალითად, ისეთი კითხვებისა, რომელთა

მეშვეობითაც, თუნდაც მიახლოებით, გაირკვეოდა, რა დონეზე ფლობს რესპონდენტი ამა თუ იმ ენას; აგრეთვე ამ ენათა გამოყენების არეალს – ფუნქციებსა და პრაგმატულ დანიშნულებას). ამ მხრივ საჭმაოდ გაჭირდა ადეკვატური კითხვების დასმა: მაგალითად, კვლევის პროცესში აღმოჩნდა, რომ პირდაპირ დასმული კითხვა: „რომელია თქვენი მშობლიური ენა“ რესპონდენტებში ხშირ შემთხვევაში იწვევდა დაფარულ თუ დაუფარავ აგრესიას, შესაბამისად, უნდობლობას კითხვარის მიმართ (200-მდე კითხვარი შეივსო ამ რედაქციით და ორასივე რესპონდენტმა „მშობლიურ ენად“ დაასახელა ქართული, მიუთითებდა რა იქვე არგუმენტს: „მე ქართველი ვარ და ჩემი მშობლიური ენა ქართულია! – რა საჭიროა ასეთი მაპროვოცირებელი კითხვების დასმა?“; ამასთან, შემდგომ ირკვეოდა, რომ ქართული ენა ზოგიერთ მათგანს – ძირითადად ადგილმონაცვლე პირებს აფხაზეთიდან თბილისში ჩამოსვლის მერე ჰქონდა შესწავლილი). შესაბამისად, კითხვარზე მომუშავე ჯგუფმა მიიღო გადაწყვეტილება, შეეცვალა კითხვის ფორმულირება: „რომელ ენაზე დაიწყეთ ლაპარაკი?“; რომელსაც მოხდევს: „რომელია თქვენთვის მეორე ენა?“, „რომელია თქვენთვის მესამე (მეოთხე...) ენა?“...

გამოკითხულ ორ (და მეტ) ენოვან რესპონდენტთაგან პირველ ენად (ტერმინ „მშობლიური ენის“ გამოყენებას, ევროსაბჭოს საბაზისო დოკუმენტებზე დაყრდნობით, ვარჩიეთ ამგვარი გადანაწილება: პირველი ენა, მეორე ენა, მე-

**სამე /მეოთხე/ ენა...)** ქართული დასახელდა 46 პროცენტმა (546 რესპ.); მეგრულ-ლაზური – 28 % (331 რესპ.); სვანური – 18 % (212 რესპ.); სხვა ენებიდან დასახელდა რუსული, აფხაზური, ოსური – 2 % (29 რესპ.).

აღსანიშნავია, რომ რესპონდენტებს საშუალება მიეცათ, „პირველ“ (შესაბამისად, „მეორე“, „მესამე“) ენად შემოეხაზათ რამდენიმე (როგორც წესი – შემოიხაზებოდა ორი ენა) ენა: როგორც ცნობილია, ორენოვან რესპონდენტებს ხშირად უჭირთ გაცნობიერება, რომელ ენაზე დაიწყეს საუბარი და როდის შემოვიდა მათს ცხოვრებაში „მეორე ენა“; საინტერესოა ამ თვალსაზრისით შემდეგი მონაცემები: ქართული და მეგრულ-ლაზური – 37 რესპ.; ქართული და სვანური – 34 რესპ (სულ გამოკითხულთა 6 %).

ამ ორი კითხვის ანალიზიდან ირკვევა შემდეგი:

696 რესპონდენტიდან რომელიც ფლობს **ზანურ** (მეგრულ-ლაზურ) ენას, 328-მ პირველ ენად მონიშნა ქართული (47,2 %); 331-მა – მეგრულ-ლაზური (47,5 %), ორივე გაათანაბრა – 37-მა (5,3 %).

412 რესპონდენტიდან რომელიც ფლობს **სვანურ** ენას, 166-მა პირველ ენად მონიშნა ქართული (40,4 %); 212-მა – სვანური (51,4 %), ორივე გაათანაბრა – 34-მა (8,2 %).

წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით, შესაძლებელია ზოგადი დასკვნის გაკეთება:

გამოკითხულ რესპონდენტთა ცალსახად მიკუთვნება (მათი თვითიდენტიფიკაცია) კონკრეტული ენისადმი არ

**ხდება:** გამოკითხულთა თითქმის ნახევარი პირველ ენად აღიქვამს მეგრულ-ლაზურს / სვანურს (49,4 %); რესპონდენტთა დიდი ნაწილი პირველ ენად ე. წ. „სიმბოლურ ენას“ („დედაენას“ - ქართულს) აღიქვამს (43,8 %); 6,8 % მკაფიო იდენტიფაკაციას ვერ ახდენს და აფიქსირებს **კლასიკური დიგლობის** ფაქტს.

აღსანიშნავია, რომ მოსალოდნელი იყო გარკვეული სხვაობის არსებობა ადგილობრივ მკვიდრთა და ადგილმონაცვლე პირთა პასუხებს შორის: საზოგადოდ, ადგილმონაცვლე პირებს, რომელთაც სხვა ენოვან გარემოსთან მეტი კონტაქტი აქვთ, ენობრივი ინტეგრაციისთვის მეტი მოტივაცია ექმნებათ; მიუხედავად ამისა, კითხვარების ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ადგილმონაცვლე პირთა უფრო მაღალი პროცენტი პირველ ენად მეგრულ-ლაზურს / სვანურს ასახელებს (ვიდრე ადგილობრივი მცხოვრებნი); საინტერესო შედეგი მივიღეთ სვანურენოვან და ზანურენოვან რესპონდენტთა გამოკითხვის შედეგად ამ თვალსაზრისით: აღსანიშნავია, რომ სვანურენოვანი რესპონდენტები მთლიანად ადგილმონაცვლე პირები იყვნენ (პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული არ იყო საკუთრივ სვანეთში სოციოლინგვისტური კითხვარის შევსება – ამ სახის კვლევა სპეციალური პროექტის ფარგლებში უკვე ჩატარებული გახდდათ); როგორც ზემოთ აღინიშნა, მათი მხოლოდ 40,4 % მიიჩნევს ქართულს პირველ ენად (მაშინ, როცა ზანურენოვანი რესპონდენტების 47,2 % - თითქმის 7 %-

ით მეტი – ქართულს პირველ ენად აღიქვამს); ზანურენოვანი ადგილმონაცვლე პირების ასევე, დაახლოებით 40 % აღიქვამს ქართულს პირველ ენად (მაშინ, როცა სამეგრელოში გამოკითხულთა 50 %-ზე მეტი მიიჩნევს ქართულს პირველ ენად).

ვფიქრობთ, ამ მოვლენას ეძებნება ლოგიკური ასენა: სხვა ენობრივ გარემოში მოხვედრილი ეთნოგრაფიული ჯგუფი (ზანურენოვანი, სვანურენოვანი – ქართულენოვან გარემოში) ცდილობს თვითმყოფადობის შენარჩუნებას: თუ სვანეთსა თუ სამეგრელოში ეს ჯგუფები ენობრივი თვითი-დენტიფიკაციის თვალსაზრისით საფრთხეს ვერ ხდავენ, ამ შემთხვევაში ისინი ცდილობენ, „დაიცვან“ ეს კულტურული ფენომენი - ეს ჯგუფი ერთიანდება საიდენტიფიკაციო ენის გარშემო და მას აღიქვამს, როგორც სიმბოლურ ენას სა-კუთარი კულტურული მახასიათებლების „დაცვის“ მიზნით.

ქართულის, როგორც საიდენტიფიკაციო ენის აღქმა ესოდენ მაღალი პროცენტით (როგორც ზემოთ აღინიშნა, კითხვარის ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ ფუნქციონირების თვალსაზრისით: ოჯახში, მშობლებთან, შვილებთან, მეზობლებთან და ა. შ. საკომუნიკაციო ინსტრუმენტი მათი დიდი ნაწილისთვის ზანური / სვანური ენაა), ასევე ლოგიკურ ასენას ექვემდებარება: ქართული, როგორც „დედაენა“, როგორც „ელიტარული“ სამეტყველო კოდი, რესპონდენტებისთვის პრესტიჟულობისა და ეთნიკური იდენტობის // იგი-ვეობის („მეგრელი ვარ, სვანი ვარ – ეს იგი, ქართველი

**გარე** მაჩვენებელია; შესაბამისად, მიუხედავად ობიექტური წანამძღვრებისა, არჩევანი კეთდება ემოციური ნიშნით – თვითიდენტიფიკაცია ხომ ყველა შემთხვევაში ინდივიდის ემოციური არჩევანია და არა რეალობის პირდაპირი ასახვა მის პასუხში.

**რომელია შენი მშობლიური ენა?** – ეს, ერთი შეხედვით, მარტივი და უწყინარი კითხვა ჩვენს რესპონდენტებს ხშირად აბნევთ, არ იციან, რა უპასუხონ – **ქართველები არიან, ესე იგი, ქართულია მშობლიური ენა, ასევე იციან მეგრული ენა, იციან კი არა, ამით დაიწყეს მეტყველება (ქართული მერე ისწავლეს), ამდენად, მეგრული თავისთავად გამოდის მშობლიური ენა („ჩემი მშობლიური ენა არის მეგრულიც“, – აცხადებს ერთ-ერთი ფორუმელი). ცხადია, უფრო არ დავაძნიეთ რესპონდენტები და შეგნებულად მოვერიდეთ კიდევ ერთ ტერმინს – „დედაენა“ (ამ ტერმინის შესახებ იხ. ზემოთ).**

**მოსამართეშ გამნარყ** = შესიტყვება ჩაწერილია სოფ. საბერიოსა და დაბა ჯვარში. ტერიტორიულად ისინი ერთ-მანეთს ემიჯნებიან, ამდენად, ამ არეალისთვის (ჩრდილო-დასავლური მეგრული) დამახასიათებლად შეიძლება ჩავთვალოთ. შესიტყვების მეორე წევრი გამნარყ დამოუკიდებლადაც იხმარება და ოჯახის განაყოფს, შოა-მომავლობას აღნიშნავს. მოსამართე ფორმა ქართულიდან ჩანს ნასესხები და იგივე უნდა იყოს, რაც შესიტყვებაში: ხელის მომართვა, ხელმოსამართი... თუ გავითვალისწინებთ, რომ ნათესავი სწორედ ის კატეგორიაა, რომელიც გეხ-მარება, ხელს გიწვდის, გიმართავს ჭირსა თუ ლხინში, ბუნებრივი ჩანს მეგრულში ნათესავის აღსანიშნავად ზემოთ ხელებული შესიტყვების გამოყენება.

**ჩილორთიშ პარტია** – შესიტყვების მეორე წევრი ნასესხებია და მას მეგრულში ხშირად იყენებენ ადამიანთა ამა თუ იმ ჯგუფის, თავშეეყრილი ახალგაზრდობის და ა. შ. აღსანიშნავად. მაგ. პარტია-პარტიათ ოხუნუანდეს ხალხის გილენგარუას „ნაწილ-ნაწილ (ჯგუფ-ჯგუფი) სხამდნენ

ხალხს სატირალზე“. **ჩილორთიშ** – ნათესაობითი ბრუნვის ფორმაა და **ჩილო-ორთი** ფორმაში თავისთავად გამოიყოფა **ჩილ „ცოლ“** ძირი, რომელსაც ერთვის -ორთ წარმომქმნელი აფიქსი. **ჩილ-ორთი** იგივე უნდა იყოს, რაც **ცოლ-ოური**... სამწუხაროდ, ეს უძველესი ლექსემა ერთადერთ რესპონდენტთან დაფიქსირდა მარტვილის რაიონში.

**ნათესავის** აღსანიშნად ლაზურში გამოიყენება თურქულიდან ნასესხები **დოსტი / დოსთი**...

სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ რიტუალები წარმოადგენს იმგვარ სოციალურ სიტუაციას, რომელიც გვიჩვენებს მონაწილეობა სოციალურ როლს. შესაბამისად, რიტუალის მონაწილეობა და საგანთა სახელდება ემყარება იმ წარმოდგენებს, რაც რიტუალის ღირებულებას განსაზღვრავს.

საყურადღებოა საქორწილო რიტუალების მონაწილეობა აღმნიშვნელი ლექსიკა.

ნეფე-დედოფლის აღმნიშვნელი ძირითადი ერთეულებია **ნინჯა „ნიძე“** და **ნოხა / ნიხა „რძალი“**. პატარძლის აღმნიშვნელი ლექსემები: მეგრულში – **ხაცევი** ° **ხაცევი**, მოჭყუდჟ, ლაზურში – **აღნე ნიხა, ჭიტა ნიხა**. ეს უგანასკნელი ისეთივე შესიტყვებაა, როგორც პატარა-რძალი → პატარძლი: \***ჭიტალ ნიხალ** → **ჭიტა ნიხა**.

მეგრულ-ლაზური ლექსემების ეტიმოლოგია განსხვავებულია: მოჭყუდჟ მიმდევბური წარმოშობისაა და გამოიყოფა **ჭყუდ** ფუძე, რასაც „გამოწყობის“ მნიშვნელობა აქვს

და ბგერათშესატყვისობაც დასტურდება: **ჭუჭღ** ~ **წყობ**. ხოლო მასდარი ჭუჭღა აღნიშნავს „მზითევ-“ს. შეიძლება ითქვას, რომ **მოჭუჭღუ** „გამზითვებეული“-ს სემანტიკას-თანაა ახლოს. გალის რაიონსა და მიმდებარე სოფლებში (ინგირი, ზუგდიდის რ-ნი) დასტურდება სიტყვა **ხათეცი**, **ხაცეცი**, რომელიც ნასესხებია აფხაზურიდან, სადაც -**ხაც**-ძირს რამდენიმე მნიშვნელობა აქვს, ერთ-ერთია „ქმარი“, ხოლო კომპოზიტურ ფორმაში მეუღლეებს აღნიშნავს: *Xapeci-pxaxi ey „ნეფე-დედოფალი“* (აფხაზურ-რუსული ლექსიკონი, II, 287-289).

როგორც ჩანს, მამრობითი სქესის აღმნიშვნელი ლექსემა მეგრულში გადააზრიანდა და პატარძლის აღმნიშვნელად მოგვევლინა. თავისთავად, მოტივაცია სიტყვებისა: ქართ. **პატარძალი**, ლაზ. **ჭიტა ნისა, აღნე ნისა** „ახალი რძალი“, მეგრ. **მოჭუჭღუ**, **ხაცეცი** განსხვავებულია. ქართულ-ლაზურ ლექსემებში ხაზგასმულია სიახლის, უმცროსის, პატარის თვისობრიობა, ხოლო მეგრ. **მოჭუჭღუ** წინ წამოწევს ნივთიერ სიკეთეს, რაც თან ახლავს პატარძალს, ესაა – მზითვი. **ხაცეცი** ლექსემის ფონეტიკური ვარიატულობა მიანიშნებს, რომ ეს სესხება მეგრულ-აფხაზური ურთიერთობის (მათ შორის ქორწინების) ინტენსიურობის შედეგია.

განვიხილოთ სიტყვები: მეგრ.: **მინოსინჯალაფირ** და გენოსინჯალაფირ, მინორინაფილი, მუნოსინდალაფირ, გესინჯებული: ლაზ. **სიჯა ამაყონერი**. ქართულში სიტყვა

**ჩასიძებული** გულისხმობს ქალის (resp. ცოლის) ოჯახში, სახლში მცხოვრებ კაცს (resp. ქმარს). საინტერესოა, რომ ამ სოციალურ სტატუსს გამოხატავს **ჩა-** ზმნისწინიანი ფორმა: **ჩა-ა-სიძებ-ს, ჩა-ი-სიძებ-ს, ჩა-უ-სიძებ-ს, ჩა-ე-სიძებ-ა...** როგორც წესი, ამ ზმნურ ფუძესთან სხვა ზმნისწინები არც იხმარება, გარდა გა- ზმნისწინისა, ისიც იშვიათად და გარდაქცევითობის სემანტიკით: **გა-ა-სიძებ-ს** „სიძედ გადააქცევს“... ჩა- ზმნისწინის სემანტიკური კორელატი ზანურში არის **შა- ← შქა-** გართულებული ვარიანტებით: **მიშა-, გეშა-**... ზანურ ლექსემებში ეს ზმნისწინი აღარ დასტურდება, სამაგიეროდ, გვაქვს: მარტივი ზმნისწინი **გუ-** რაც გამოხატავს მიმართულებას ზემოდან ქვევით: **გუ-რე** „დგას“, **გუ-ხე** „ზის“... და **მინო / მუნო** – რაც გულისხმობს მიმართულებას: აქეთ და ზემოთ: **მუნოფურინუნი:** „ზემოდან მოფრინავს ჩემსკენ“.

ფაქტობრივად, ორივე ლექსემაში **გეხინჯებული, მუნხინჯალაფირი** ხაზგასმულია ოჯახში ახალი წევრის გაჩენის, შემოყვანის ვექტორი: ზემოდან ქვემოთ. ქართულში წინ წამოწეულია სიძის მდგომარეობა, ანუ მყოფობა სადღაც, რაღაცაში: **ჩა-სიძებული;** ხოლო ზანურში უპირატესია ხაზგასმა დინამიკისა, რომ სიძე ზემოდან ქვემოთ მოძრაობს. და მაინც, ორივე ენაში იგრძნობა სიძის აღმატებული სოციალური სტატუსი.

საინტერესოა ლაზ, **ხიჯა ამყონერი,** რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს: აყვანილი „შემოყვანილი“ სიძე. ამგვარ შესიტყვე-

ბაში ნაკლებად იკითხება სოციალური სტატუსი. მხოლოდ ფიქსაცია ხდება მოვლენისა, რომ ოჯახში შემოყვანილია სიძე.

მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ქართულ და მეგრულ შესიტყვებაში უარყოფითი, ირონიული ელფერი დაჟკრავს სიტყვებს: ჩასიძებული, **მინოსინჯალაფირ**, ჩვენ მიგვაჩინია, რომ ისტორიულად, პირიქით, სიძის, ოჯახში შემოსული მამაკაცის უფრო მაღალ სტატუსზე ხდებოდა მითითება ქალთან შედარებით. **მინორინაფილი** თავისი მნიშვნელობით ლაზ. **ამაყონერის** ტოლფარდია.

ქორწილის ნათლიების აღმნიშვნელი ლექსემებია: **დადე**, **მორდია**, **მეჯგარე**, **ალმარენჯი**, **დადე** დო გაგე **სეჭა**, **მეგურგინე** **მორდია**, **ხელისმომკიდე**, ლაზ. **კულანის** (**ნოდამეს**) **მაყარი**, **დადე**. მეგრულსა და ლაზურს საერთო აქვთ სიტყვა **დადე** (მეგრ. **მდადე**). მეგრულ-ლაზური **დადე** იგივეა, რაც ლაზური **დადი** (არნ. ჩიქობავა, 1938, გვ. 29) როგორც ჩანს, სწორედ ესაა უძველესი ტერმინი **ზანურში**, ხოლო მეგრულში მსგავსი მნიშვნელობის სინონიმთა გაჩენა მოგვიანო პერიოდისაა. ჯერ ერთი, აშკარაა სესხება ქართული-დან ისეთი სიტყვებისა, როგორიცაა: **მეჯგარე**, **ხელისმომკიდე**. რაც შეეხება ლექსემებს: **მორდია**, **მეგურგინე** **მორდია**, **ზანურში** სხვა მნიშვნელობაც ეძებნება. **მორდია** ზოგადად აღნიშნავს ნათლიას, თუმცა სიტყვის ეტიმოლოგია მონათვლას კი არ აღნიშნავს, არამედ გაზრდაზე მიუთითებს. **რდ:** **რდ-უ-ალა** „გაზრდა“, **მო-რდ-ილ-ი** „გაზ-

**რდილი**“, **მთ-რდ-უ** „გამზრდელი“**, მა-რდ-უ** „მზარდი“... მე-გრულში არც თუ იშვიათად გამოიყენება ლექსემები: **მანა-თალი**, **ნათილია** „ნათლია“, თუმცა უპირატესად **მორდია** დასტურდება. აღსანიშნავია, რომ გამზრდელისა და ნათლის მნიშვნელობათა დიფერენციაცია მოხდა მორფოლოგიური ალიბების მიხედვით: **მთ-უ** „მორდუ“ ~ **მთ-ია** „მორდია“.

თავისთავად, ფორმათა სემანტიკა მიუთითებს სოციუმის დამოკიდებულებაზე ორი მოვლენის მიმართ: აღზრდა და მონათვლა. ორივე შემთხვევაში მთავარია ადამიანის ჩამოყალიბება ქრისტიანული ზნეობის მატარებლად. **მორდუ** უპირატესად პასუხისმგებელია აღსაზრდელის ფიზიკურ სრულყოფილებაზე, ხოლო მორდია – სულიერ სრულყოფილებაზე. მორდუობის ანუ ძიძიშვილობის ძლიერი სოციალური ინსტიტუტი, რომელიც შესაძლოა წარმართულ ხანაში შეიქმნა, ქრისტიანობის შემდგომ ეპოქაში მოდიფიცირდა იმდენად, რამდენადაც **მორდუ** ერთდროულად შეიძლება ნათლიაც ყოფილიყო. ძიძიშვილობის აღმნიშვნელ ტერმინოლოგიაში უკვე იგრძნობა მნიშვნელობათა აღრევა: ძიძიშვილის აღსანიშნავად არც თუ იშვიათად იყენებენ **მორდუს**, ნაკლებად სიტყვას **მორდილი**. ეს უკანასკნელი უფრო მთაშია შემორჩენილი, ხოლო ბარში **ძიძეშისქუა** და ქართული **ძუძუმტე** გამოიყენება. სამაგიეროდ, ლაზურში სტაბილურად იხმარება ტერმინი **ძუძიჩამჯრისი**, რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს „ძუძუთი ნაკვები“. მორდიაა ქორწილის

მეჯვარეც, რადგანაც ის ნათლავს კიდეც ჯვრისწერის შემ-დეგ დაბადებულ ჩვილს. თუმცა ენობრივად მაინც ხდება საჭირო ზოგადად **მორდია-სა** და ქორწილის **მორდიას** გარ-ჩევა, ამიტომაც ჩნდება შესიტყვება: **მეგურგინე მორდია „გვირგვინის ნათლია“.**

ძალიან საინტერესოა შესიტყვება **დაღე დო გაგე სქუა,** რომელიც ჩხოროწყუს რ-ში (მთიან სამეგრელოში) დაფიქსირდა. **დაღე** ითქმის ქალზე, ხოლო **გაგე** – მამაკაცზე. **გაგეს** ეტიმოლოგია ნათელი არაა, თუმცა, შესაძლოა, ის უკავშირდებოდეს **გერგე / გეგე / ჯერგე** ფორმებს, რომლებიც წმინდა გიორგის მეგრული სახელდებაა.

მაყრიონის აღსანიშნად მეგრულ-ლაზურში იხმარება **მა-ყარი / მაყარე**, თუმცა მეგრულში შეიძლება ამ მნიშვნელობით შეგვხვდეს სიტყვები **მაჭვენჯეფი** „თანმხლები“ შდრ. **ალმარჯენჯი** „გვერდით მდგომი“ მეჯვარის მნიშვნელობით, ასევე: **მოჭყუდიშიანეფი** „პატარძლისიანები“, **სინდაშიანეფი** „სიძის (ნეფის) იანები“.

ქორწილის რიტუალის საკუთრივ ზანური ლექსიკიდან ყურადსაღები გვგონია **მორდია**, **{მ}დაღე დო გაგე სქუა.** ერთი მხრივ, საინტერესოა სემანტიკური ველი: **მორდია – მეჯვარე**, გამზრდელი, ძიძა; **{მ}დაღე** – ქალი მეჯვარე, დეიდა, მამიდა, ბიცოლა. სოციუმი ერთიან დირებულებით სისტემაში აქცევს მეჯვარეს, გამზრდელს, ძიძას, დეიდას, მამიდას, ბიცოლას, საკვანძო მნიშვნელობაა – მეჯვარე.

მეორე მხრივ, ენობრვი დიფერენციაცია სქესის მიხედვით გარჩევასაც უმყარება: **მორდია** ქალიც არის და კაციც, ხოლო **დადე** მხოლოდ ქალია, კაცი კი – **გაგე სქუა**, ან **გაგარე**.

როგორც მოსალოდნელი იყო, გათხოვილი ქალის დედმამისეული ოჯახის აღსანიშნად გამოყენებული ლექსიკა საკმაოდ ჭრელია. ესენია: მეგრულში – **დოხტი**, **მოყვარე**, **მოსამართე**, **ოსურშიანეფი**, **გუმოჭყუდური**, **ჩილორთი**, **ნაჭართი**, **დედულეთი**, **ჯინჯი ჭუდე**, **ლაზურში** – **დონიკონი**, **ნისაშ ოხორი**. როგორც ვხედავთ, გამოიყოფა ქართულიდან შემოსული ლექსიკა: **მოყვარე**, **მოსამართე**, **დედულეთი**, ასევე თურქ. **დოხტი**. საკუთრივ ზანურია **ოსურიშიანი**, **გუმოჭყუდური**, **ჩილორთი**, **ნაჭართი**, **ჯინჯი ჭუდე**, **ნისაშ ოხორი**... ამათგან საყურადღებოა **ნაჭართი**, რომელიც მხოლოდ ჩხოროწყუს რ-ში შეგვხვდა. მოგვაგონებს სიტყვას **გრძნართ**, რაც „გამოყოფილს“ ნიშნავს. ანუ **ნაჭართი** შეიძლება იყოს ის, ვისაც გამოეყნენ. მეორე მხრივ, არსებობს ტერმინი **გამნარყი**, რომელიც გაყოფასთანაა დაკავშირებული, ამჯერად, შთამომავლობის მნიშვნელობით.

ე. ი. **ნაჭართი** – ოჯახი, საიდანაც წავიდა (გათხოვდა) ქალი, **გამნარყი** – ამავე ოჯახის შთამომავლობა. ამ მნიშვნელობით იხმარება სიტყვები: **ჯიში**, **ჯილაგი**, **გვარიშ გრძაგრძელებელი**, **ართი თურეფი**. ბუნებრივია, ურად ებას იქცევს თურეფი სიტყვა, რომელიც თითქმის დავიწყებას მიეცა და გვარის, გვარის კუთვნილს აღნიშნავს. ეს

უკანასკნელი ტერმინი უცხოა ლაზურისთვის, სადაც ამ მნიშვნელობით იხმარება: **ნომბრიალები**, **სულაჟ** (თურქი).

დიდი ოჯახის გაყოფა ცალ-ცალკე ოჯახებად მე-გრულში აღინიშნება სიტყვით **გუმორთუალა**, **გიშნარო**... **რთ** ზანური ფუძე პოლისემიურია და ერთ-ერთი მნიშვნელობაა გაყოფა: **რთ-უნ-ს** „ყოფს“, მაგრამ **გან-ო-რთ-უნ-ს** „გადახურავს“, **დი-რთ-უნ** „დაბრუნდა“... იმავე ფუძე ჩანს ლაზ. **ოკორთუ** ფორმაში, რაც ასევე გაყოფის მნიშვნელობით იხმარება. თუმცა სხვა ლექსემებიც გვხვდება იმავე მნიშვნელობით: **ოხორიშენ** გამახთიმუ „სახლიდან გამოსვლა“, **ხანს** **ოყოფიმუ** „ცალკე ყოფნა“, **აირი დოხუნერი**.

სოციუმის შესწავლის ერთ-ერთი კრიტერიუმია ასაკობრივი ცენზი. ზოგადი ოპოზიცია უფროსი ~ უმცროსი იშლება პარადიგმებად. უმცროსის პარადიგმა წარმოდგენილია ასაკის ყველა საფეხურით ჩვილიდან ახალგაზრდამდე.

ოჯახის უმცროსი წევრების – ბავშვების – აღმნიშვნელი ლექსიკა ყურადღებას იქცევს უფროსის და უმცროსის მიმართების თვალსაზრისით. მაგალითად, რას ეძახიან იმას, ვინც ხასიათით ზედმიწევნით ჰგავს დედას, მამას? – როგორც ირკვევა, ლაზურში ეს გამოიხატება სინტაგმით: „**ბაბა-ნანა გამაჭჭანდერი / ნანა-ბაბაშ გამაჭჭანდერი / ბაბა გამაჭჭანდერი**“ სიტყვასიტყვით ეს შეიძლება ითარგმნოს, როგორც „დედის-მამის გამოჭ-

ედილი“, თუმცა შინაარსით უტოლდება ქართულ გა-  
მონათქვამს „ზედგამოჭრილი დედაა... / მამააა...“ ეოველ  
შემთხვევაში, გამონათქვამი ლაზურში მეტაფორულია. რაც  
შეეხება მეგრულს, როგორც მოსალოდნელი იყო, მრავალ-  
ფეროვნებაა: **შურუკოხოხილი, ალაპვალა, დიდაჯგუა, მუმა-  
ჯგუა, დიდასგა, მუმასგა, ართო დიდა / მუმა...**

**ალიკვალი** ქართულიდან ჩანს შემოსული, ხოლო **შურუკოხოხილი** საინტერესოა თავისი მეტაფორულობით. ესაა  
კომპოზიტი, რომლის პირველი ნაწილი **შურ** „სული“  
ფუძეა, ხოლო მეორე ნაწილი – **გოხოხილი** – მიმღეობა,  
რომლის ზუსტი თარგმნა ძნელია: **გოხ-ხოხ-ილი** – ფორ-  
მაში **ხოხ** ფუძე მნიშვნელობით იგივეა, რაც **ხოხ-იალი,**  
**ჩოხ-იალი...** **შურუკოხოხილი** შეიძლება აიხსნას, როგორც  
თითქოს დედის / მამის სული გადასულა შვილში... ამ  
მხრივ, გვახსენდება ქართულის დიალექტებში გავრცელე-  
ბული გამონათქვამი: **გამოხოხებული დედამისიათ.** მეგრული  
ლექსემა ხაზგასმით მიანიშნებს, რომ შვილში მშობლის  
სულმა გადაინაცვლა.

შეიძლება ითქვას, რომ შვილისა და მშობლის მსგავსე-  
ბის აღსანიშნავად გამოყენებული ლექსემები მიანიშნებენ  
არა მარტო ფიზიკურ მსგავსებაზე, არამედ ხასიათის  
მსგავსებაზეც.

ბავშვის აღმნიშვნელი ლექსემებია: მეგრულში **ბაღანა,**  
**ლაზურში ბერე** თოთო, ჩვილი ბავშვის აღსანიშნავად მე-  
გრულსა და **ლაზურში** გამოიყენება **ჩქჩქ // ჩქიჩქ,** რაც

ქართ. **ჩვილის** შესატყვისია. როგორც მოსალოდნელი იყო, მეგრულში ამავე მნიშვნელობით გამოიყენება **ლილი ჩქჩქ;** საერთოდ, მეგრულში **ლილ** სინორჩის აღმნიშვნელია და ხშირად გვხვდება სხვა საგნებთან მიმართებით, **ლილ სიმინდ** – აქედან **ლილა „სამჭადე ფქვილი“.**

ვაჟიშვილისა და ქალიშვილის აღმნიშვნელი ლექსემებია: მეგრულში **ქომოლსქუა, ოსურსქუა, ხოლო ლაზურში, ბიჭი / სქირი / ბიჭი ბერე, კულანი / კულანი ბერე / ბოზო.** ცხადია, რომ ლაზურში ქალიშვილის აღსანიშნავად თურქულიდან ნასესხები ლექსიკა იხმარება. თუმცა ვაჟიშვილის აღსანიშნავად საკუთრივ ლაზური სიტყვებია შენარჩუნებული. ბუნებრივია, დაისმის კითხვა: ამგვარი სხვაობა ხომ არ არის სოციალური ფაქტორის ზეწოლის შედეგი.

როგორც მასალიდან ჩანს, სახელდებითი ლექსიკისგან განსხვავებით, მიმართებითი ლექსიკა უფრო მრავალფეროვანია. თუნდაც მრავალშვილიან, წვრილშვილიან ოჯახში ბავშვების აღსანიშნავად გამოყენებული სიტყვები ავიღოთ:

მეგრ.: გმჰენჯეფი, გეჭიშე ბაღანეფ, ჭიჭელეფი, გეუნელ<sup>^</sup> ომორდუალეფი... ბაღაჭუჭიეფი... ლაზ.: მეყონერი ბერეფი, ჭიფე ბერონი... მეყონა...

სიტყვა ომორდუალეფი „აღსაზრდელები“ იშვიათად იხმარება. საინტერესოა სიტყვა **ბაღაჭუჭიეფი**, რომელიც შესაძლოა კომპოზიტური წარმოშობისა იყოს: **ბაღანა + ჭიჭეფი** „ბაგში – პატარები“, შდრ. ჭიჭელეფი. მეგრული: **გმჰენჯე, გეჭიშე, გმჰენჯელი** და ლაზური: **მეყონერი, მეყონა**

საერთო სემანტიკურ ველში ერთიანდება მნიშვნელობით: „ერთმანეთის მომდევნო, მიყოლებული“.

როგორია **ნაბოლარა** და ერთადერთი შვილის აღმნიშვნელი ლექსიკა, რამდენადაა სოციალურად მოტივირებული სახელდება?

**ნაბოლარა** მეგრულში აღინიშნება ძირითადად ლექსემით **ნაკიდირა** // **ნაკიდურა**, მაგრამ შეგვხვდება შემდეგი შესიტყვებებიც: **ორჩინელიშ სქუა** „სიბერის შვილი“, **არძაშ უკულაშ, ბოლოსქუა**.

**ნაკიდირა** ეტიმოლოგიურად შესაძლოა უკავშირდებოდეს **კიდე** ფუძეს. ვფიქრობთ, ამით ხაზგასმულია დედის ცხოვრებაში ჩვეულებრივი მოვლენის ბოლოგზისობა. ასევე, შესიტყვება „**ორჩინელიშ სქუა**“ მიანიშნებს იმაზე, რომ შვილი იმ ზღვარზეა გაჩენილი, რომლის მერე იწყება ცხოვრების გზის მეორე ნახევარი. თუმცა სოციალური მოტივაცია მოულოდნელი სახით წარმოჩნდა ნაბოლარა შვილის აღმნიშვნელ სინტაგმაში, რომელიც ერთადერთ რესპოდენტან დაფიქსირდა: „**ჭკაჭიში ოხვამერი**“ – პირდაპირი თარგმანი იქნება: „მამაკაცის ასოს სალოცავი“. ამგვარ სახელდებაში ხაზგასმულია ოჯახის მამის სიძლიერე, უპირატესობა. „**ორჩინელიშ სქუა**“-ც შეფარვით, ევფემისტურად მიანიშნებს მამრის ძლიერებაზე. ნაბოლარა შვილი, რომელიც შესაძლოა მართლაც ასაკში მყოფ მშობლებს გაუჩნდეთ, განსაკუთრებულია, სალოცავია, მამრული საწყისის სიმბოლოა.

ლაზური ამ მხრივ უფრო მოკრძალებული ჩანს. ნაბოლარა აღინიშნება შესიტყვებით **გამაფათხერი ბერე**, რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს „რაღაციდან გამოსული ბავშვი“. ბუნებრივია, ბავშვის გაჩენა ნიშნავს მის გამოსვლას დედის საშოდან. ამჯერად სწორედ ამ მოვლენის ბოლოგზისობაა ხაზგასმული ნაბოლარის სახელდებისას.

ცხადია, ბოლო შვილის გაჩენა ოჯახის, როგორც სოციუმის უჯრედის საბოლოო სახით ჩამოყალიბებას ნიშნავს. ამდენად, ბოლო შვილის აღმნიშვნელ ლექსემათა სოციალურობა ბუნებრივია. ასევე ლოგიკურია ერთადერთი შვილის აღმნიშვნელ სიტყვათა სოციალური შეპირობებულობა. ესენია: მეგრ.: **დიდაშართი**, **აკასქუა**, **ართ კაკალ სქუა**, **ხვალახესქუა**, ლაზ.: **ნანაშართი**, **ნანა-ბაბაშ ართე**, **ნანა-ბაშ ართედი**.

ჩვეულებრივ, ლაზურში ერთგვარია ლექსემები და ის შეესაბამება ქართულ დედისერთა სიტყვას, შდრ. **ნანა-შართე** ← **ნანაშ + ართი**. თუმცა ხშირად ფიქსირდება ორივე მშობელი: **ნანა-ბაბაშ ართე** „დედმამის ერთა“. მეგრულში ერთადერთობა გამოხატულია შემდეგი სიტყვებით: ართი „ერთი“, ართ კაკალი „ერთი კაკალი“, აკა „ერთადერთი“, **ხვალახე** „მარტოდმარტო“. მიმართების თვალსაზრისით, მთქმელი მათ უკავშირებს დედას: **დიდაშ ართი**, **დიდაშ აკასქუა**, **დიდაშ ართ კაკალი სქუა**. ერთადერთი **ხვალახესქუა** არ მოითხოვს ამგვარ კავშირს.

როგორც სვანური აჩვენებს, **ეშხუ გეზალ, ეშხუ ბოფშ –** ნეიტრალიზებულია დედის უპირატესობა. თუმცა მეგრული და ქართული, ნაწილობრივ ლაზურიც – ერთადერთ შვილს დედასთან მიმართებაში გამოხატავენ.

ჩვენი შთაბეჭდილებით, მეგრულში ნაბოლარა შვილის აღმნიშვნელი ლექსიკა მამის უპირატესობას აჩვენებს, ხოლო ერთადერთი შვილის აღმნიშვნელი ლექსიკა – დედის მნიშვნელობას წარმოაჩენს.

ოჯახის წევრთა ფუნქციური სახელდების თვალსაზრისით საინტერესოა ოჯახის მარჩენალის აღმნიშვნელი ლექსიკა. მეგრულში გამოიყენება სიტყვები: **მარჩენალ**, **ოჯახიშ ემაჯუმალარი**, **მადიარაფალი**. ამათგან **მარჩენალი** ქართული ნასესხობაა და ძირითადად გავრცელებულია ზუგდიდურ-სამურზაყანულ ბარის მეტყველებაში. **ემაჯუმალარი** „მარჩენალი“ და **მადიარაფალი** „ვინც საჭმელს გაჭმევს“, შდრ. **დიარუა** „ჭამა“, **დიარა** „მოლხენა“... ლექსემები უფრო შემორჩენილია მთიან სამეგრელოსა და მარტვილურ მეტყველებაში. ლაზური **ოხორჭეუა** კომპოზიტი ჩანს: **ოხორ – ჭეუა**, რაც ნიშნავს „სახლის, ოჯახის მარჩენალს, გამომკვებელს“. აღსანიშნავია, რომ მეგრ. **მადიარაფალი** და ლაზ. **ოხორჭეუა** ჭამის სემანტიკურ ველში ერთიანდებიან. მეგრ. **ემაჯუმალარი** პოლისემიურია: **ჯუმა** – ფუძე რადაცის თან გატანებას, წალებას გამოხატავს. **ქიძი-ჯუმა-უ ოჭეუმალ** „თან მოიტანა“, „ხელს გამოაყოლა“ საჭმელი. **ემაჯუმალარ** არის „ოჯახის მარჩენალი, გამტანი“.

საყურადღებოა გოგოს, ქალიშვილის აღმნიშვნელი ლექსიკის პარადიგმა. აღმოჩნდა, რომ ზოგადად ნებისმიერ ასაკში ქალიშვილი მოიხსენიება სიტყვით **ძღაბი** მეგრულში, **კულანი** ლაზურში. 14 წლამდე ასაკის ქალიშვილი ლაზურში შეიძლება აღინიშნოს შესიტყვებით **ჭიტა კულანი**, ხოლო 14 წლის ზემოთ, შეიძლება აღინიშნოს სიტყვებით: **ბოზო, ქალი.** მეგრულში მოწიფულ ქალიშვილზე იტყვიან: **ცირა, ცირასქუა, გასათხუალ**՝ **ცირა, მაძღაბია...** საინტერესოა, რომ თამამ ქალიშვილს მეგრულში მხოლოდ **ძღაბი** სიტყვით აღნიშნავენ, მთიან სამეგრელოში კნონბითი ფორმა **ძღა** დაფიქსირდა ამავე მნიშვნელობით. ხოლო ლაზურში განსხვავებული ინტონაციით წარმოთქვამენ სიტყვას **კულანი.**

უმცროსი ასაკის ბავშვების აღმნიშვნელი ლექსიკაა:

მეგრული – **მაბოშია** „პატარა ბიყი“, მაცირია, **მარდაბია** „პატარა გოგო“, **მოჩიტოლირი** შდრ. ქართ. წამოჩიტდა, **მორდილი** „მოზრდილი“ ლაზური: **მარდაფუ ბერე** „მოზრდილი ბავშვი“, **მორდელი**, **დელიკანი.** ეს უკანასკნელი თურქულიდანაა ნასესხები. მეგრულსა და ლაზურს საერთო აქვთ **რდ** „ზრდა“ ფუძიდან ნაწარმოები ლექსემები: **მარდაფუ, მორდილი...** შესაძლოა **მოჩიტოლირი** ქართულიდან იყოს შემოსული. ფორმაწარმოების თვალსაზრისით საინტერესოა ფორმები: **მა-ბოშია, მა-ძღაბია, მა-ცირია...** ესაა ოდნაობითი ხარისხის მა- პრეფიქსისა და კნინობითის -ია სუფიქსის კომბინაციით წარმოქმნილი სიტყვები, რომ-

ლებიც ზუსტად ასახავენ ასაკის გრადაციას ბავშვობასა და ქალიშვილობას / ვაჟიშვილობას შორის.

ე. წ. „თინეიჯერის“ ანუ ყმაწვილის აღსანიშნავად მე-გრულში ქართულიდან ნასესხები ახალგაზრდა გამოიყენება. თუმცა მთიან რეგიონში უმეტესად შეკვეცილი ფორმა ახალი გამოიყენება, ვარიანტებით: **ახალ რდილი, ახალეფი.** აღსანიშნავია, რომ ლაზურშიც თურქულიდან ნასესხები **ენითმე** ფორმა გამოიყენება. შესაბამისად, აბ-სქტრაქტული ცნება ამ ასაკის აღსანიშნავად იმავე ფუძეებს ემყარება: მეგრ. **ახალგაზრდობა, ახალობა, ლაზ. ენითმობა.**

როგორც ჩანს, ნასესხებმა ლექსიკამ მეგრულ-ლაზურში მთლიანად ჩაანაცვლა საკუთარი ლექსემები, რომლებიც მხოლოდ თითო-თითო რესპონდენტთან დაფიქსირდა. ესაა: მეგრ. **ბოშკობი** „ბიჭიკაცი“ და ლაზ. **მარდალი.** შდრ. მრ. ფორმები: **ბოშკათა** და **მარდალეფი**.

საცოლე ახალგაზრდისა და ცოლის შერთვის აღმნიშვნელი ლექსიკა გვიჩვენებს, რომ ლაზურში უფრო ძველი ფორმებია შემორჩენილი, ვიდრე მეგრულში. ლაზურში გვაქვს: **ოჩილუ** „ცოლის შერთვა“, მასდარული წარმოების ფორმაა: **ო-ჩილუ** შდრ. **ო-ხონუ** „ხვნა“. **ოჩილუში** „საცოლე“ მასდარის ნათ. ბრ.-ის ფორმაა გამოყენებული. მეგრულში **-ჩილ-** ფუძე არ ჩანს და მას ჩანაცვლებია **ოსური** **ოსურიშ მოჭუნალა** „ცოლის მოყვანა“, **საოსურე** **ბოში** / **კოჩი** „საცოლე ბიჭი, კაცი“. მთიან სამეგრულოში დადასტურდა ფორმა **დაჩილება** „ცოლის შერთვის“

მნიშვნელობით. ანუ მასდარის ზანური მოდელი თ-ჩილ-უ შეცვლილია ქართული მოდელით: **და-ჩილ-უბ-ა.**

უნდა ითქვას, რომ **ჩილ** ფუძე მეგრულმა მყარად შემოინახა კომპოზიტში **ჩილდოსქუა** „ცოლშვილი“, ხოლო ლაზურში – პირიქით: **ოხორჯა-ბერჯ**, **ბერჯ-ოხორჯა**, **ბერჯ-ბა**. **ოხორჯა** დიასახლისს, რძალს აღნიშნავს ლაზურში, ხოლო **ბერჯ** – ბავშვს. ანუ ლაზურში მოსალოდნელ **ჩილ-დოსქირის** ნაცვლად სხვა ლექსემებს დაეკისრა ამ მნიშვნელობის გამოხატვა.

შეიძლება ითქვას, რომ მეგრული და ლაზური ლექსემები ავსებენ ერთმანეთის ე. წ. ცარიელ უბნებს: ერთი მხრივ, ლაზურში დადასტურებული **ოჩილუ**, **ოჩილუში** ფორმები, ხოლო, მეორე მხრივ, მეგრული **ჩილდოსქუა**, **ჩილორთი** მიუთითებს **ჩილ** ფუძის პირვანდელობაზე არა მარტო ზანური, არამედ ქართულ-ზანური ერთიანობის დროსაც: ზან. **ჩილ-** ~ ქართ. **ცოლ-**.

ცნობილია, რომ ევფემისტური ლექსიკა უხვად გამოიყენება ორსული ქალისა და მასთან დაკავშირებული მოვლენების აღსანიშნავად. მეგრულში ორსული ქალი გამოიხატება სიტყვით: **მოწერა** „მძიმე“, **მოწერათ რე** „ფეხმძიმედაა“. **მოწერა** გვხვდება ლაზურშიც, თუმცა მეტად გამოიყენება **ქორბონი**, **ქორბადონი**, **ქორბასრენ**, **ენყონი**. **ქორბა** ლაზურში „მუცელს“ აღნიშნავს, ანუ **ქორბონი** იგივეა, რაც „მუცლით მყოფი“, იგივე **ქორბას რენ. ენყონი** თურქული ნასესხობა ჩანს.

მაშასადამე, ორსული ქალის სახელდებისას ორი მო-  
მენტია გათვალისწინებული: სიმძიმე და მუცლად ყოფნა. არ  
ჩანს ის აქცენტი, რაც ქართ. სიტყვაში ორსული იკითხება.

მეცხრე თვეში მყოფ ორსულზე იტყვიან: **თუთას ენორე /**  
**დინორე,** ხოლო ლაზურში დაფიქსირდა სიტყვა **ხაზირი,**  
რაც აშკარად თურქულიდანა შემოტანილი მზაობის  
მნიშვნელობით, ხოლო საკუთრივ ლაზური ჩანს შესიტყ-  
ვება: „**მოჩითინუში რენ**“

თუ მშობიარობამდე რამდენიმე დღეა დარჩენილი,  
ლაზები იტყვიან: **ნდღაში ჯინ რენ** „დღეზე მეტია“, ხოლო  
მეგრელები ასე გამოთქვამენ: **მახელადი** „ვინც მორჩება“,  
შდრ. **სქილადა-ა** „მორჩენა“... მშობიარობის აღმნიშვნელია  
ლაზ. **დობადუ** დობადუ **ბერე** ოყოფომუ და მეგრ: **ხალა,**  
**სქილადა.** ლაზურში **ბად-** ფუძეა გამოყენებული, შდრ. **ო-და-**  
**ბად-ე** „სამშობლო, სადაც დაიბადე“, ხოლო მეგრულში ნახ-  
მარია **ხალა** და **სქილადა.** **სქილადა** საერთოდაც  
პოლისემიურია და, მშობიარობის გარდა, ის აღნიშნავს  
„მორჩენას ავადმყოფობისაგან“, ასევე „სადლაც დარჩენას“  
**ხალა-ში** გამოიყოფა **ხ-** ძირი: **გე-ხ-უ** „გააჩინა“ (ხომ არაა  
კავშირში ქართ. **ხუ-ებ-ა?**).

ახალშობილი ბავშვი, ტრადიციისამებრ, აკვანში იზ-  
რდებოდა. ცნობილია, რომ **აკვანი** ნასესხობაა არა მარტო  
ქართულში, არამედ მეგრულშიც: **არკვანი.** გამონაკლისია  
ლაზური, სადაც ამ მნიშვნელობით იხმარება სიტყვა **ონ-**  
**წელი,** რაც მეგრულშიც დასტურდება და „**სარწეველას**“

აღნიშნავს. **ო-ნ-წ-ელი-ი** შდრ. ქართ. **რწ-ევ** ფუძე. ერთ-ერთ  
მეგრელ რესპოდენტთან დაფიქსირდა სიტყვა **ონწე**.  
საინტერესო ფაქტია, რომ ლაზურმა შემოინახა სწორედ ის  
ლექსემა, რომელიც საერთო მოხმარების იქნებოდა ქარ-  
თულ-ზანურ არეალში, მაგრამ მონდოლთა შემოსევის შემ-  
დეგ **აკვან** სიტყვამ გამოაძევა. უფრო მეტიც, აკვნის ლეიბ-  
საბანსა და მთელ მორთულობაზე მეგრულში იტყვიან: **არჯ-**  
**განიშ მონწყილობა / მოსანწუვე / განწყული „აკვნის**  
**მოწყობილობა“**, ხოლო ლაზურში: **ონწელიში მოწოდეული**.

აღსანიშნავია ჩვილი ბავშვის ორი მთავარი მოძრაობის:  
ხმის გადებისა და გადააგილების პირველი მცდელობის  
გამომხატველი სიტყვები. პირველ შემთხვევაში იტყვიან:  
**ბაგშეი ლაზ:** **კურტულანს, პუტულაფს, ულულაფს, ალუ-ს**  
**იძახ,** მეგრ.: **ლურდინუნს, ლუმინუნს, ბურდლინუნს.**  
სვანურში **აღუ** ფორმით გადმოიცემა. რეალურად სამსავე  
ქართველურ ენაში საერთო ხმაბაძვითი ლექსემებით (მისი  
ვარიანტებით) გადმოიცემა ბავშვის ლულუნი. რაც შეეხება  
ბავშვის ოთხით ფოთხვას, ლაზურში ეს გამოიხატება  
ლექსემით: **ოხოხუ**, ხოლო მეგრულში **ჩოჩუა**, თუმცა  
**ხოხუაც** შეიძლება შეგვხვდეს. საინტერესოა, რომ სვანური  
მხარს უჭერს მეგრულს: **ლიჩოჩლ**, თუმცა გვხვდება **ლიძო-**  
**ბლალ**, **ითრიელ** ლექსემებიც. ქართულშიც იხმარება  
ლექსემები: **დახოხავს, დაჩოჩავს, დაფოხავს, დაბობლავს**  
და ა.შ.

საინტერესოა, რომ უფროსის დახმარებით ბავშვის სიარულს მეგრულსა და ლაზურში ხშირად გამოხატავენ სიტყვით: **ტატა, ატატათ გილურს,** სვანურშიც **ლიტოტე, ლიდ'ტალ** იმავე **ტატ** ძირთან ჩანს დაკავშირებული. თავის მხრივ, ქართულში არსებული **ტატი** ← **ტატ-ტატი** მხარს უყერს იმას, რომ ეს ფუძე ნასესხებია სპარსულიდან ქართულში და აქედან ჩანს დანარჩენ ქართველურ ენებში გავრცელებული. **ლაზურში** გამოიყენება **შესიტყვება:** **ხეგეკლიმერი გოყონუ „ხელჩაკიდებული სიარული“.**

შეიძლება ითქვას, რომ ჩვილ ბავშვთან დაკავშირებული ლექსიკა თითქმის იდენტურია ქართველურ ენებში. ჩვილის ზრდის პროცესის შეფასების თვალსაზრისით, საინტერესოა მეგრ. შესიტყვება „**მაჭირხოლვეგუა ბაღანა**“ „**მერცხალივით ბავშვი**“, იგივე **მერცხალა**. ადსანიშნავია, რომ შესადარებლად მოყვანილია ფრინველი და, რაც მთავარია, მეგრულსა და ქართულშიც ეს ერთი და იგივეა: **მერცხალი.** ამითაც კარგად ჩანს ერთიანი ეთნოფსიქოლოგია.

მეგრულში ხმაბაძვითი სიტყვაწარმოების ფართო ასპექტი გამოჩნდა პუტგუნა ჩვილის ეპითეტების სახით. ესენია: **ფეშკერია, შვეპერე, ჩვაპურია, კვაბურია, ლვეტერია, ბომბორა, ბეთვერია, გოპიტკინაფილი, მექვალიტელი, ბეშქერე, ბეთქერია, ბეხვერე, ბუნჩურია, ბისქალი, პისკვალი, ბუხულია, სკვინჩალი, ბესკვერია, გიტალი, ბითქალი, ბითქალი...**

ლაზური ამ მხრივ მწირია: **ბაბუცოლა, ბუნთულა.** შეიძლება ითქვას, რომ ლექსიკური მრავალფეროვნება სინონიმურ რიგთა ხარჯზე ლაზურისთვის არაა დამახასიათებელი, თუმცა, საკუთრივ ზანური ლექსიკა თითქმის მთლიანადაა შენარჩუნებული სწორედ ნათესაობასა თუ ადამიანთან დაკავშირებულ სფეროში.

## 9. 2. ადამიანის მოთხოვნილებათა აღმნიშვნელი ლექსიკა

როგორც ცნობილია, ადამიანის ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების აღმნიშვნელი ლექსიკა ექვემდებარება ევფემიზაციას. რაც უფრო დიდი კულტურისა და სამწიგნო-ბრო ტრადიციების მქონეა ენა, ევფემიზაცია უფრო ძლიერია. ცოცხალ მეტყველებაშიც ბუნებრივია ტაბუსა და ევფემიზმების გამოყენება. სოციუმის მაღალი განვითარების

ერთ-ერთი მახასიათებელი პირადი მოთხოვნილებისა და თვისებების აღმნიშვნელ სიტყვათა „გაკეთილშობილებაა“.

ქართულ ენაში შარდი, შარდგა ლექსემები შეფასებულია, როგორც ერთგვარი ტერმინოლოგია, რომელსაც ბუნებრივად ხმარობენ შესაბამისი ფიზიოლოგიური მოთხოვნილების აღსანიშნავად. თუმცა, ენაში ამავე მნიშვნელობისაა ფსელი სიტყვა, რომელსაც ვხვდებით ზანურშიც: მეგრ. ფხ'ძა, ლაზ. ო-ფსიძ-უ. როგორც მოსალოდნელი იყო, მეგრულ-ლაზურიც მიმართავს ევფემიზაციას. მეგრული იყენებს შარდი ლექსემას: შარდაშა მეურს „მოსაშარდად მიდის“, ლაზურში კი საინტერესო შესიტყვება გამოიყენება: წარით გამახთიმუ „წყლად წავიდა“, წარი დობუ „წყალი დაასხა“. შეიძლება ითქვას, რომ ლაზურში გადატანითი მნიშვნელობა ჩაიდო სრულიად უმტკიცნეულო შინაარსის წინადაღებაში.

საპირფარეშოს, ფეხისალაგის აღმნიშვნელი ლექსიკა ძირითადად ნასესხებია: ლაზურში იხმარება ჩეჩმე (თურქ), ხოლო მეგრულში: ჩეჩმანი, ოჩეჩმანე, უბორნია (რუს.), ტუალეტი, აგრეთვე ჯუჩხიშ ადგილი, რაც ქართ. ფეხისალაგის პალკია.

### **9. 3. ფრაზეოლოგიზმები**

ადამიანის წარმოდგენები სამყაროზე, საზოგადოებაზე, ადამიანის ღმერთთან მიმართებაზე, მოკლედ რომ ვთქვათ, ადამიანის კულტურული ფასეულობები აპუმულირდება ენაში ფრაზების, მეტაფორული გამონათქვამების სახით. ადამიანის ბუნება და დამოკიდებულება გარესამყაროსთან ჩანს ფიცის, დალოცვის, წყევლის, გინების ფორმულებში.

ასევე იმ ფრაზებშიც, რომლებსაც ერთგვარი მაგიური დატვირთვა აქვს ბოროტებისაგან თავდასაცავად.

სიტყვის მასალა, რომლითაც იწყებენ უსიამოვნო ამბავს, აქაოდა მსგავსი შემთხვევა ჩვენ გვაშოროსო, მეგრულში მრავალფეროვანია. ასეთი ფრაზებია: **დორონთქ დამფარას** „ღმერთმა დამიფაროს“, **წყარ მალუს** „(სიტყვასიტყვით) გამდინარე წყალს [გაჰყოლია]“ **დორონთქ მაშორან** „ღმერთმა გვაშოროს“, **თშ გვალაშ იშო** „ასი მთის იქიო“, **ჯაჭუა დო ბორიას** „(სიტყვასიტყვით) ხე-ქვასა და ქარს [გაჰყოლია]“, **თაქ ირველი ჯვირობუა** „აქ ყოველგვარი სიკეთე“ შდრ. ქართ. აქა მშვიდობა, შორს თაურეშე „აქედან შორს“.

აღნიშნული მასალიდან **დორონთქ დამფარას** და **დორონთქ მაშორან** საერთოქართველური მსოფლედვის მაჩვენებელია, ხოლო დანარჩენი საკუთრივ მეგრულ ნიადაგზეა აღმოცენებული. საფიქრებელია, რომ ამ მეგრულ მასალაში წარმართობის დროინდელი ელემენტები იგრძნობა. მაგალითად, **წყარ მალუს** სემანტიკა გვაგონებს საქართველოში გავრცელებულ ცრურწმენას: ცუდი სიზმარი უნდა მოუყვე და გააყოლო გამდინარე წყალს. ასევე საინტერესოა გამონათქვამი **ჯაჭუა დო ბორიას**, რომელშიც ასევე იგულისხმება: ცუდი ამბავი თან წაედოს დელგმას, ქარბორიას ანუ წყალი, ქვა, ძელი, ქარიშხალი არის ის ელემენტები, რომლებსაც მიეწერებოდა ბოროტი ძალები (თუ ბოროტი ძალების დათრგუნვის უნარი?).

**მეგრ. შორს თაურეშე „შორს აქედან“ ფრაზის კონტექსტსთან ახლოს დგას ლაზ. ფრაზები: **ჩქინდენ მენდრა** „ჩვენგან წასულა“, **მეზიმაშენ მენდრა**; ხოლო **თრანგიქ მუჭვას / მოყვას“** „ღმერთმა ნუ ქნას“ იმავე რიგისაა, როგორც **ღმერთმა დამიფაროს** გამონათქვამი.**

ცხადია, რომ ყველა გამონათქვამი ადასტურებს ადამიანის მიმართებას ზეადამიანურ ძალებთან. ბოროტისგან, ცუდი ამბისგან დამფარავ ძალად ან წარმართული კერპუბია წარმოდგენილი, ან ქრისტიანული ღმერთი. რელიგიური მოტივაცია განსაზღვრავს ამ ფრაზათა სოციალურობას.

ფიცის ფორმულები, როგორც მოსალოდნელი იყო, მარტივია და დედის ან შვილის დაფიცებას გულისხმობს: მეგრ. **დიდაქ გადომდურ** „დედა არ მომიკვდეს“, **დიდას გოუჟეჟა** „დედას გეფიცები“, **სქუაქ გადომდურ** „შვილი არ მომიკვდეს“, **დიდაშ შურ ქოპწანსდა** „დედის სულს გმფიცები (თუ მწამს)“, **დიდა ქომიჭორსდა** „(სიტყვასიტყვით) თუ დედა მიყვარდეს“... **დიდაშ შურმე** „დედის სულისა“. იშვიათად ფიცის ფორმულებში გამოყენებულია სიტყვები: **ღურელევ** „მიცვალებულები“, **შური** „სული“, **ჯიმალობა**, „ქმობა“...

**ჩქიმ ღურელევ ქოპწანსდა** „ჩემი მიცვალებულები თუ მწამს“, **ჯიმალობას გიფუზეჟა** „ქმობას გეფიცები“, **თიშ შურს იფუფჩანექ** „მის სულს ვიფიცებ“...

ფრაზები ადასტურებენ, რომ დაფიცების საგანი ძირითადად სისხლისმიერი ნათესავებია: დედა, შვილი, ოჯახის

გარდაცვლილი წევრები, ან, შესაბამისად, მათი სულები. მეგრულისგან განსხვავებით, ლაზურში ვერ დავაფიქსირეთ მსგავსი გამონათქვამები, თუმცა სავარაუდოა მათი არსებობა – ამას მეტი მასალის მოგროვება და უფრო ფართო ტერიტორიაზე შესწავლა სყირდება.

დალოცვის ფორმულები შეიძლება ორ ჯგუფად დაიყოს: ერთი მხრივ, დმერთის აღმნიშვნელი ფრაზები, მეორე მხრივ, სხვა მოვლენების აღმნიშვნელი ფრაზები. პირველ ჯგუფში ერთიანდება შემდეგი გამონათქვამები: **დორონთქ დორხევამას „დმერთმა დაგლოცოს“, დორონთქ გომორძგას „დმერთმა გაგიმარჯოს“; ლაზ. თრანგიქ გმირხამს „დმერთმა დაგლოცოს“.**

განსაკუთრებით საინტერესოა შემდეგი ფრაზა:

**„თქან თჯახის გოტიბაფუდას დორონთი დო მარდიანი“** სიტყვასიტყვით: „თქვენს თჯახის გათბობოდეს დვთის მადლით“. აღსანიშნავია, რომ დვთის მადლი დაკავშირებულია სითბოსთან, კერიასთან. დალოცვილია თჯახი, სადაც კერია ანთია, რადგან იქ სიცოცხლეა – ცხოვრების გაგრძელების სიმბოლოა. აქვე უნდა ითქვას, რომ ამავე რესპონდენტისგანაა ჩაწერილი შემდეგი დალოცვა: **კოჩიშე დო თრინჯაშე აშენებედა** სიტყვასიტყვით: „**კაცითა და საქონლით აშენებული ავი (გამრავლებულიყავი)**“. ამ გამონათქვამშიც გამჭვირვალე კონტექსტია: ცხოვრება გრძელდება იქ, სადაც ადამიანი მრავლდება, სადაც ხბო ბლავის და ფური იწველება.

შეიძლება ითქვას, რომ პირველი ჯგუფის დალოცვებში რელიგიური კონტექსტია, ხოლო მეორე ჯგუფისაში – მოწიერი ყოფის, სიცოცხლის ნიშან-სვეტების ხაზგასმა ხდება. სითბო, კერია, ადამიანი, შინაური ცხოველი... აი, რაა აუცილებელი თჯახის არსებობისთვის, ცხოვრების გაგრძელებისთვის.

საალერსო მიმართვის ფორმულები ქართველურ ენებში ერთიან სემანტიკურ ველს ქმნიან. ქართ. **გენაცვალე, შემოგვევლე** გულისხმობს ჩანაცვლებას, ანუ მიმართვის ობიექტისთვის გამიზნული ცედი, უკეთური, ბოროტი ძალა შემობრუნდეს სუბიექტისკენ, ანუ იმისკენ, ვინც მიმართავს ობიექტს. ამავე კონტექსტისაა მეგრ. **გოლგაფირო** „შემოგვევლა“, **ძაბ’გალე** „გენაცვალე“, ლაზ. **გოგიხთა** „შემოგვევლა“, **გოგაყრა**.

საინტერესოა გამონათქვამი „**სქან სანთელო**“, სიტყვა-სიტყვით „შენს სანთლად [დავიწვა]“, ანუ სანთელივით დავიწვა შენთვის. აქ ბუნებრივია გვახსენდება ერთი მეგრული ლექსი:

**მახა, მა სქანოთ კირიბი გორდა,** „მახარე, მე

შენთვის თიკანი ვიყო,

**სქანი დუდიში გალუფაფარი,** შენთვის შემოსაწირი

„შენი თავის შემოსავლები“,

**მახა, მა სქანოთ სანთელი გორდა,** მახარე, მე შენთვის სანთელი ვიყო,

**ხატიშ წოხოლე თნდღულაფარი.**

ხატის წინ ას-

ანთები „დასადნობი“.

თავის შემოვლების, შეწირვის ნიშნად ჩნდება ხატი ან-  
თებული სანთლისა.

საინტერესოდ გვეჩვენება ამ ხალხური ლექსის და-  
კავშირება აკაკი წერეთლის ლექსთან „ხატის წინ“:

„ჩემი ხატია სამშობლო,

სახატე – მთელი ქვეყანა,

და რომ ვიწვოდე, ვდნებოდე,

არ შემიძლია მე განა?!“

აგრეთვე აკაკისგვე ლექსზე შექმნილი მელოდია:  
„სანთელივით დაგდნები“...

ძნელია იმის თქმა, აკაკი იცნობდა ამ მეგრულ ლექსს,  
თუ მოგვიანო ხანაში შეიქმნა ეს უკანასკნელი, მაგრამ  
ერთი რამ ცხადია: ქართველურ მსოფლხედვის სისტემაში  
თანაარსებობენ მხატვრული სახეები, რომლებიც ლექსებსა  
თუ სხვადასხვა ფრაზეოლოგიზმებში იჩენენ თავს.

**ლაზური შური მშინე „სულის სენებავ“** მოგვაგონებს  
მეგრ. **შურიგუს** და ქართ. **სულიკოს;** ამ შემთხვევაშიც ერ-  
თიან ენობრივ ხატწერასთან გვაქს საქმე.

შეიძლება ითქვას, რომ საალერსო მიმართვის ფორმებში  
ნათლად იკითხება სი ვარულის, თავგანწირვის, თავდადე-  
ბის სემანტიკა, რაც მიანიშნებს სოციუმის, საზოგადოების  
ირებულებებზე.

როგორც ცნობილია, დალოცვის ფორმულების საპირისპირო სემანტიკა დევს წყევლის ფორმულებში. ჩვენ უპიშა აღვნიშნეთ, რომ გამონათქვამების ერთი წყება რელიგიური კონტექსტის მქონეა, ხოლო მეორე – სიცოცხლის ნიშან-სვეტებთანაა დაკავშირებული. როგორც მოსალოდნელი იყო, წყევლის ფორმულებიც ამავე რიგის ჯგუფებად იყოფა. ერთი მხრივ, გვაქვს ფრაზები, რომლებშიც აქცენტი კეთდება და მათის რისხვაზე: **დორონთქ დორჟუას „ღმერთა დაგწევლოს“**, **დორონთს დოუჭურდას სკან დუდ** „ღმერთს დაეწყევლოს შენი თავი“, **დორონთქ გაგახარას „ღმერთმა არ გაახაროს“**. ლაზურში ამ რიგისაა გამონათქვამი „**თრანგიქ მუგორელას**“. მეორე მხრივ, უხვადაა წარმოდგენილი მასალა, რომლის თანახმად წყევლის საგანი არის ყველაფერი, რაც სიცოცხლეს უკავშირდება: ადამიანის სხეულის ნაწილით დაწყებული, სიკვდილის აღმნიშვნელი ლექსიკით დამთავრებული – **კისერქ გამძაბვარჩხუ „კისერი მოსტებია“**, **კისერმუკოტახილი „კისერმოტეხილი“**, **თოლიშ სინთე გეხვიტილი „თვალის ჩინი ჩაქრობილი“**... **ეშვევედინელი „ფეხზე [ზევით] ნუ ამდგარა“**.

განსაკუთრებით საინტერესოა შემდეგი ფრაზები:

**გადოირინდას „არ დამდგარი ავი“, გოზიქინაფილი დაახ. „გაწყვეტილი“, ჭუმანერი დღა გაგოთანაფილი „ხვალინ-დელი დღე არ გათენებული“, აშ გამოირთუმულას „აქეთ არ მობრუნებული ავი“, სკან დურა „შენი სიკვდილი“, სკან ჭითა „შენი წითელი“... ეს უკანასკნელი თითქოს მოულოდ-**

ნელია, უფრო **სკან** უჩა მუკუჭუნუდას „შენი შავები ჩაეცვას“ – ფრაზაში არსებული ფერის აღმნიშვნელი სიტყვა იყო ბუნებრივი: **სკან** უჩა... როგორც ჩანს, ჭითა „წითელი“ ფერი შეიძლება წითელ პარასკევთან ასოცირების შედეგად გაჩნდა, როგორც სიკვდილის აღმნიშვნელი.

გვხვდება ასეთი წყევლის ფორმულებიც: **ჩხვიჩხვი** დო ბოლო ელაფირი „ფესვი და ძირი ამოვარდნილი“... დიხაშა გილუდას „მიწაში წასულხარ“, **სკან** კუბო დომჭკადდას „შენი კუბო დამეყედოს“, დიხაშინაციმილი „მიწადა რილი“, ოთვალიარი „სატირალი“ [მოთქმით დატირება], ონგარალი „სატირალი“, ორჯიალი „სატირალი [კივილით]“, ოდურალი „სასიკვდილე“, ჭყვადილი „გაწყვეტილი“, მოსირილი „მოსრილი“...

როგორც ვხედავთ, **სიკვდილის**, გადაშენების აღმნიშვნელი ლექსიკა მრავალფეროვანია და, რაც მთავარია, ენობრივი თვალსაზრისით, ძირითადად მიმღეობური ფორმებია გამოყენებული.

ლაზურში შეგვხდა ასეთი ფრაზა: **ვაი გეგახას** დო **ვალალაი,** **გამაჭუნდა კედანი გოგიხთას...**

არის თუ არა სხვაობა ფორმულებში ქალისა და მამაკაცის მეტყველების მიხედვით? როგორც ჩანს, გარკვეული სხვაობა მაინც იჩენს თავს. სამეგრელოში მამაკაცის წყევლის ფორმულები ამგვარია:

**ჯიშო ეშაქიაჩელი** „ჯიშიანად ამოძირკული“, **ჩხე ტყვიაში** ოჭვილარი „ცხელი ტყვიით მოსაკლავი“, **ზიარობა**

**გაჭარელი** „არ ედირსოს ზიარება“, ამ გამონათქვამს სხვა ვარიანტიც აქვს: **პაპაშ ზიარობა გემუშიშაფილი** „მღვდლის ზიარება არ ედირსოს“ („არ მოსწრებული“), **ჯანდაბაშ ლტულარი** „ჯანდაბაში წასასვლელი“. ხშირია ამგვარი შესიტყვებიც: **ღორონთვონჭყორილი** „ღმერთგამწყრალი“, **ხატგონჭყორელი** „ხატგამწყრალი“. რეალურად მამაკაცის წყევლის ფორმულებში უფრო მეტად ჩანს რელიგიური მოტივაცია. თუ ქალების წყევლაში მხოლოდ ღმერთი იყო ნასესხები, აქ გვაქვს ისეთი ლექსემები, როგორიცაა: **პაპა „მღვდელი“, ზიარობა „ზიარება“, ხატი...**

საინტერესო გვეჩენება მთიან სამეგრელოში ჩაწერილი წყევლის ფორმულა **ჯიშო ეშაქიაჩელი. ეშაქიაჩელი** ფორმის ფუძეა **ქიაჩ**, **ეშა** ზმისწინია, -**ელ** – წარმომქმნელი აფიქსი. **ქიაჩი** წალენჯიხის რაიონში ცნობილია, როგორც წმინდა გიორგის ხატის სახელი. გადმოცემის თანახმად, ეს იყო სასწაულმოქმედი ხატი, რომელსაც თავისი მამაკაცი მცველები ჰყავდა. სწორედ ამ მცველებს მოიხსენიებდნენ **ქიაჩელებად**. შემთხვევითი არაა, რომ ცნობილმა ქართველმა მწერალმა ლეო შენგელაიამ ფსევდონიმად აიდო ქიაჩელი და ასე შევიდა მწერლობის ისტორიაში. სავარაუდოა, რომ წყევლაში **ჯიშო ეშაქიაჩელი** იგულისხმებოდეს ქიაჩის, ანუ წმინდა გიორგის ხატის მიერ შეჩვენება, რაც დიდი უბედურება იყო.

#### **9. 4. დარგობრივი ლექსიკა**

დარგობრივი ლექსიკის გაქრობა უკავშირდება ამ დარგის მივიწყებას, ან მისი მნიშვნელობის დამცრობას სხვა სამეურნეო საქმიანობასთან შედარებით. ცნობილია, რომ მიწათმოქმედებასა, მესაქონლეობასა და სხვა სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული ლექსიკა სულ

უფრო და უფრო მცირე ადგილს იკავებს თანამედროვე ადამიანის სამეტყველო ლექსიკურ ფონდში. ტექნოლოგიებისა და ინდუსტრიის, აგრეთვე მომსახურების ახალი დარგების განვითარების კვალდაკვალ, ახალი ტერმინები და სიტყვები იკავებენ ძველის ადგილს. ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, მეტყველთა ლექსიკური მარაგის შესწავლა წარმოაჩენს ზოგად ტენდენციას – რაც უფრო ახალგაზრდაა რესპონდენტი, მით უფრო ნაკლებად ფლობს ტრადიციულ დარგობრივ ლექსიკას. მაგრამ შეიმჩნევა მეორე ტენდენციაც: არეალური სხვაობა. მაგალითისათვის ავიღოთ ვაზის დარგობრივი ლექსიკა. სულ დასტული იყო 13 კითხვა. სამეგრელოს ჩრდილო-დასავლურ არეალში გამოკითხულთაგან პასუხი მივიღეთ 4 კითხვაზე. ესენია: **ბინები „ვენახი“, ბარჯისი „ვაზის საყრდენი ჯოხი“, ეფშა ტიანი, გოჭკადილი ტიანი „სავსე მტევანი“, საფელამუშე წვენი, ბადაგი, ნე „შესანახად განკუთვნილი ყურძნის დაღუდებული წვენი“;** სამხრეთ-აღმოსავლურ არეალში კი რესპონდენტებმა ცამეტივე კითხვას გასცეს პასუხი. ლაზები დიდი ხანია ვაზის კულტურას აღარ მისდევენ. თურქული ოთხასწლიანი ბატონობის შედეგი ამაზეც აისახა – ყურძნის დაწურვა და დვინის დაყენება აღარ ხდებოდა. მიუხედავად ამისა, აღმოჩნდა, რომ ლაზების სამეტყველო ლექსიკა უხვად მოიცავს ვაზთან დაკავშირებულ სიტყვებს. ქვემოთ წარმოვადგენთ ამ ლექსიკას მეგრულთან მიმართებით.

„ტოტის, ფოთლის ძირში გამონაზარდი ლორტები“  
ლაზურად გადმოიცემა სიტყვებით: **ელამალური, აშემალეკი.**  
ორივე ზმნისწინიანი მიმღეობაა: **ელა-მა-ლური, აშე-მა-ლ-**  
**ერი.** გამოიყოფა -ლ-ა-რ- ძირი, რომელიც სიარულს,  
ასვლას აღნიშნავს. შდრ.: **მეულურს** „მიდის“, მეგრ. **მეურს**  
„მიდის“. მეგრულში ამავე მნიშვნელობით ნახმარია სიტყვა  
**ელნაფალა** წინავითარების მიმღეობა: **ფალ-** ძირი აღნიშნავს  
„ყვავილობას, გაფურჩქვნას, ამოზრდას“.

აქეე უნდა აღინიშნოს, რომ ლაზურშივე დაფიქსირდა  
ამავე მნიშვნელობით შესიტყვება **ფაზლა ფილოსი,** რაც  
თურქული ნასესხობა ჩანს. სიტყვა **კუძული** აშკარად მოუ-  
ლოდნელი იყო, რადგან ის ქართ. **კუჯურის** ლაზური ვარი-  
ანტი გვვინია. **კუჯური** საბასთან განმარტებულია, როგორც  
გაუშლელი ფოთოლი. ამდენად, ლაზურში გვაქვს როგორც  
საკუთარი, ასევე ქართულიდან და თურქულიდან შემოსული  
ლექსემები ერთნაირი მნიშვნელობით:

**ელამალური, აშემალეკი, კუჯული, ფაზლა ფილოსი.**

„ვაზის გასამრავლებლად გადაწვენილი რქა“ ლაზურში  
გამოიხატება სიტყვებით: **დონგამინუ, დონგამინერი.**  
პირველი მასდარია, მეორე – მიმღეობა. ორივეში  
გამოიყოფა საერთო ძირი -გ-, რაც მეგრულშიც გვაქვს და  
ქართ. **დაგება** მასდარის -გ- ფუძესთან არის  
დაკავშირებული: მეგრ. **ო-გ-ან-ს, ლაზ. ო-გ-აფ-ს,** ქართ. **ა-გ-**  
**ებ-ს. დო-** ზმნისწინიანი ფორმები გამოხატავს ქვევით  
მოძრაობას. მეგრ. **დო-ო-გან-ს > დაგანს ლუმს** „დომი

ამოაქვს ქვაბიდან და დებს ტაბაკზე“. დონგამინუ, დონგამინური ზუსტად ასახავს პროცესის მიმართულებას: „ზემოთ ამოწვდილი ვაზის რქის დაწვენა“.

როგორც ელამალური, ასევე დონგამინური ფორმები გვიჩვენებენ ახალ სემანტიკას იმ ძირებისა, რომელთაც ამოსავალი მნიშვნელობა თითქოს განსხვავებული აქვთ: სიარული, დაგება. ვფიქრობთ, რომ ზმნური ფუძის სემანტიკური ველის გაფართოება არის ის გზა, რომლითაც წავიდა ლაზური.

ლაზ. დონგამინურის მნიშვნელობით მეგრულში იხმარება სიტყვები: გინორშუა, გინოჭარშილი. გინო-რშუა მასდარის -{რ}შ- ფუძე თოკით, ძაფით ხლართვას, გადაქსოვას აღნიშნავს. გინოჭარშილი მიმღეობაა, რომლის ჭარშ ფუძე „დამუნობას“ აღნიშნავს. გინო- ზმნისწინის მნიშვნელობა გულისხმობს ზემოდან ქვემოთ მოძრაობას. ამდენად, ორივე ლექსემა დამატებით სემანტიკას ანიჭებს აღნიშნულ ფუძეებს.

„ვაზის გასხვლის დროს წაყრილი ტოტები“ ლაზურში გამოიხატება სიტყვით წალამი და შესიტყვებით ბინებიშ ჭა. წალამი ქართულიდანაა ნასესხები, ხოლო ჭა ზანურში ტოტის აღმნიშვნელი ფუძეა. აღმოჩნდა, რომ მეგრულშიც იხმარება ქართულიდან ნასესხები ლერწი: ლერწეფი, თუმცა დასტურდება დაარშალი, ნასხუნა, წმნაძგათა, რომლებიც პროცესის შედეგს გამოხატავენ და არა საკუთრივ საგანს.

„ვაზის გამონაზარდი, რომლითაც ეხვევა სარს“ მეგრულში გადმოიცემა სიტყვით ოშმეში, რაც „ულვაში“-ს მნიშვნელობისაა. ლაზურში ამ მნიშვნელობით გამოიყენება სიტყვები კულება და ფელარი (სავარაუდოდ, ნასესხებია თურქულიდან).

ვაზის საროს აღმნიშვნელი სიტყვებია ლაზურში: ლჯა, მეგრულში ბარჯგი, მასარი. ბარჯგი ქართულის დასავლურ დიალექტებშიც იხმარება. ლაზური ლჯა მოგვაგონებს მეგრ. ჯლა-ს, რაც ტოტებს აღნიშნავს.

ურძნის მტევანი მეგრულში აღინიშნება სიტყვით ტიანი, ხოლო ლაზურში – ჭაბა. მეგრული ლექსებმა ქართულთან ჩანს დაკავშირებული, ხოლო ჭაბა განცალკავებით დგას. ლაზურშივე გვაქას ჭაბალონი. -ონი სუფიქსით სიტყვების წარმოება დამახასიათებელია ზანურისთვის: ქუალ-ონი, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ჭაბა < \*ჭაბალ, ამჯერად ჩვენთვის ძნელია ეტიმოლოგიაზე საუბარი.

მჭიდროდ მოსხმული მტევანი ლაზურში გამოიხატება შესიტყვებით: გონჭადერი ჭაბა „გაჭედილი მტევანი“. ამავე ტიპისაა მეგრული შესიტყვება: მეყკადილი ტიანი, თუმცა მეგრულში შეიძლება შეგვხვდეს ამგვარი შესიტყვებაც: ეფშა ტიანი „სავსე მტევანი“. საინტერესოა, რომ მეჩხერ მტევანზე მეგრელები იტყვიან „ექი-ექი მიკოჩანსფერი“ „აქა-იქ რომ ასხია ისეთი“, ანუ აღწერითი ფორმაა გამოყენებული, ხოლო ლაზურში დასტურდება კონკრეტული სიტყვები, როგორიცაა: ხელი ყურძენი,

**სეიული ჭაბა, ცხანჯა.** ეს უკანასკნელი ზანური ჩანს, რომლის ეტიმოლოგიაც ჩვენთვის უცნობია. რაც შეეხება ხევლი, სეიული სიტყვებს, თურქულიდანაა შემოსული.

„მარცვალგაცლილი მტევანი“ ლაზურად გამოითქმის, როგორც ჭაბაში ფონიუფე, ხოლო მეგრულად – **ქუნცხი,** **ქუნცარი,** **ცრუკი.** ვფიქრობთ მთლიანად ზანური ლექსიკაა წარმოდგენილი. ლაზურში შემონახულია ისეთი სიტყვა, როგორიცაა **ჩენჩახელი** – „მრავალმტევნიან აჭრილ რქას“ ნიშნავს. შესაძლოა ის უკავშირდებოდეს ქართ. **ახონჩხილი** ლექსემას. ლაზურისაგან განსხვავებით, მეგრულში აღწერითი ფორმებით გადმოიცემა ორმტევნიანი და მრავალმტევნიანი რქა: **ჯირტიანამი,** **ბრელტიანამი.** რაც შეეხება **ბადაგს,** მეგრულში ის აღინიშნება ლექსემით **ნე,** ხოლო ლაზურში – **პეტეზი,** ლოდა. **პეტეზი** თურქული ნასესხობაა, ხოლო **ლოდა** ლაზური გვგონია.

როგორც ვხედავთ, ვაზის დარგობრივი ლექსიკა კარგადაა შემონახული სამეგრელოს სამხრეთ-აღმოსავლეთითა და ლაზებში. თვალშისაცემია ის გარემოება, რომ მეგრულში ჭარბობს აღწერითი ფორმები, ხოლო ლაზურში უფრო ტერმინოლოგიური ლექსიკა გვხვდება.

ვფიქრობთ, რომ სამეურნეო საქმიანობის ამ დარგის გავრცელება – არგავრცელებაზე მეტად მნიშვნელოვანია სოციუმის სტრუქტურა. რაც უფრო აქტიურად არის ჩართული საზოგადოების წევრი თანამედროვე

ბექნოლოგიურ პროცესებში, მთ მეტია საშიშროება ტრადიციული დარგობრივი ლექსიკის დავიწყებისა და პირიქით – საზოგადოების წევრის ნაკლებ ჩართულობა არის მიზეზი ლექსიკური ფონდის მდგრადობისა.

## ლიტერატურა

- ა. არაბული, 2003 - Avtandil Arabuli, Einige Eigentümlichkeiten der Verwandtschaftsterminologie in den ostgeorgischen Bergdialekten, Kaukasische Sprachprobleme, herausgegeben von Winfried Boeder, bis, 2003.  
აფხაზურ-რუსული ლექსიკონი, 2005 - Абхазско-Русский словарь, II, Сухум, 2005, 287-289

- ქ. ბეკო, 2008 - ქან-კლოდ ბეკო, ენები და ენათა  
მრავალფეროვნება, თბილისი, 2008.
- თ. ბოლქვაძე, 2007 – თ. ბოლქვაძე, ქართველური დი-  
გლოსია: კრ. ქართული სალიტერატურო ენის სა-  
კითხები; თბილისი, 2007.
- გ. ბოედერი, 2005 – გ. ბოედერი, ენა და კილო  
ქართველოლოგიაში; ენათმეცნიერების საკითხები,  
№ 1-2, თბილისი, 2005.
- თ. გვანცელაძე, 2003 – თ. გვანცელაძე, არის თუ არა  
გაგებინება ენის დიალექტისგან გამიჯვნის კრი-  
ტერიუმი? ენათმეცნიერების საკითხები, № 2,  
თბილისი, 2003.
- ნ. დენისონი, 1986 - Dennison, N. (ed.). *Grazer Linguistischer Studien*, 27, 1986;
- ეფთქ, 2008 - ენათა ფლობის ზოგადევროპული  
კომპეტენციები - შესწავლა, სწავლება, შეფასება,  
თბილისი, 2008.
- ენობრივი განათლების პოლიტიკის განვითარება  
ევროპაში - სახელმძღვანელო პრინციპები,  
თბილისი, 2008.
- უ. ვაინრაიხი, 1968 - Weinreich, U. *Languages in Contact: Findings and problems*. The Hague: Mouton, 1968.
- ჰელმუტ იოპანეს ვოლმერი, ენობრივი განათლების  
ზოგადევროპული ინსტრუმენტი, თბილისი, 2008.

- ბ. კიკვიძე, 2004 - ბ. კიკვიძე, დედა: დენოტაცია,  
კონტაცია და ცნებითი მეტაფორები // ქართული  
სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი  
მეთორმეტე. თბილისი: ქართული ენა, 2004:
- ჸ. კლოსი - Kloss, H. Types of multilingual communities. A discussion of ten variables. *Sociological Inquiry*, 36 (2), 1966:
- ჸ. მარტინიუკი, 2008 - ვოლდემარ მარტინიუკი,  
ენობრივი კომპეტენციების გეროპული  
სტანდარტები, თბილისი, 2008.
- მრავალენოვანი განათლება ევროპაში, თბილისი, 2008.
- ა. მეიე, 1938 – A. Meier, Введение в сравнительной  
изучении европейских языков, М-Л, 1938.
- ა. ონიანი, 2003 – ენა და დიალექტი (ქართველური  
დიალექტები თუ ქართველური ენები ?!), ენათ-  
მეცნიერების საკითხები, № 1, თბილისი, 2003.
- დ. პატანაიაკი, 2003 - Pattanayak, D. P. Mother tongues: the problem of definition and the educational challenge. *Towards a Multilingual Culture of Education*, ed. by A. Ouane. Hamburg: UNESCO Institute for Education, 2003.
- გ. რამიშვილი, 2000 – გ. რამიშვილი, დედაენის თეო-  
რია, თბილისი, 2000.
- ჸ. რიაგენი, ჯ. ლუდი, 2008 - პადრაიგ თ რიაგენი  
ჯორჯ ლიუდი, ბილინგვური განათლება,  
თბილისი, 2008.

- ვ. დე სოსიური, 1977 – Фюде Соссюр. Курс общей лингвистики, Труды по языкоznанию, М, 1977.
- ჩ. ფერგიუსონი, 1959 – Ferguson Ch. A., Diglossia in Word, 15, 1959.
- ჩ. ფერგიუსონი, 1971 – Ferguson Ch. A., Language Structure and Language Use, Stanford, 1971.
- ჯ. ფიშმანი, 1968 - Fishman, J. A. Sociolinguistic Perspective on the Study of Bilingualism. *Linguistics*, 39, 1968.
- ბ. ფუტკარაძე, 2003 – ბ. ფუტკარაძე, მონათესავე ენობრივ ერთეულთა კვალიფიკაციის პრობლემა და ქართველთა დიალექტების დაჯგუფების საკითხი, ენათმეცნიერების საკითხები, № 1, თბილისი, 2003.
- ბ. ფუტკარაძე, 2005 – ბ. ფუტკარაძე, ქართველები; თბილისი, 2005.
- ფრენსის გულიე, გვროპის საბჭოს ენათა სწავლების ინსტრუმენტები, თბილისი, 2008.
- არნ. ჩიქობავა, 1936 – ჭანურის გრამატიკული ანალიზი, თბილისი, 1936.
- არნ. ჩიქობავა, 1938 – არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბილისი, 1938.
- ბ. ჯორბეგნაძე, 1989 – ბ. ჯორბეგნაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბილისი, 1989.
- დ. ჯარდელი, 1982 – Jardel, J.-P. Le concept de ‘diglossie’ de Psichari à Ferguson. *Lengas* 11, 1982.